

ანდრეი შევჩენკო "ოქროს ბურთის" და "ზვეზდას" შემდეგ

B4



ფოლკსვაგენის ოთხი სიახლე

B6



გამილიმე გადაგიხდი

B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 25 თებერვალი, 2005 წელი. №43 (903)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### აზარტული საუბრები "აზარტული თამაშობების" ფონზე



"ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თავიდან ძალზე მოსაწყენად წარიმართა.

A2

## სამართალი

### ქუთაისის მერიის კორუფციულ საქმიანობას ფინანსური პოლიცია და კონტროლის პალატა ამოწმებს



ქუთაისის ვიცე-მერი კორუფციულ ბრალდებებს უარყოფს.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 25/2 | 26/2 | 27/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 13 | 15 | 13 |
| ქუთაისი | 15 | 17 | 14 |
| ბათუმი | 16 | 17 | 14 |
| სოხუმი | 13 | 15 | 12 |
| ფოთი | 15 | 17 | 14 |
| თელავი | 11 | 14 | 11 |
| ზუგდიდი | 16 | 17 | 14 |
| გორი | 10 | 12 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8360 |
| ევრო | 2.4320 |
| ბირთანული სტერლ. | 3.4934 |
| რუბლი | 0.0662 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# კონსტრუქციული კამათი

## ბუშისა და პუტინის სამიტი



ხათუნა გაბიევი
ნიკა თარაშვილი

ბრატისლავის სამიტის მთავარი ინტრიგა პრეზიდენტ ბუშის არცთუ სახარბიელო მდგომარეობა იყო. ერთი მხრივ, იგი ვერაფრით ელევა პუტინთან თავის "პირად მეგობრობას" – თუნდაც იგივე ანტიტერორისტულ ბრძოლაში მხარდაჭერის გამო. მეორე მხრივ, შეუძლებელია მან თვალი დახუჭოს "რუსული დემოკრატიის", უფრო სწორად, ამ სახელით მოხსენიებული რეჟიმის სავალალო და საშიშ ხასიათზე. ამის შესახებ მას როგორც ოპოზიციონერი დემოკრატები, ასევე საკუთარი გუნდის წევრები, მათ შორის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მუდამ ახსენებს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კი აცხადებს, რომ "რუსეთი არ აპირებს თავისებური რუსული დემოკრატიის გამოგონებას". კრემლი კვლავაც ერთგული რჩება დემოკრატიის პრინციპებისა, თუმცა ისინი რუსული საზოგადოების განვითარების დღევანდელი მდგომარეობის, რუსეთის ისტორიისა და ტრადიციების ადეკვატური უნდა იყოს. "დემოკრატიის პრინციპებისა და ნორმების დანერგვას თან არ უნდა ახლდეს სახელმწიფოს ნგრევა და ხალხის გალატაკება," - განაცხადა პუტინმა.

აშკარაა, რომ ბუში და პუტინი "სხვადასხვა ენაზე საუბრობენ".

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ექო პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკა "მემარჯვენე ოპოზიციას" რიკოშეტით ყოველთვის უკან უბრუნდება. ასე მოხდა გუშინაც, როდესაც მამუკა კაციტაძემ მიხეილ ქარელი "კონტრაბანდის ლოკალურ მამად" მოიხსენია. ამ ბრალდებას გივი თარგამაძე "უსინდისობას" უწოდებს. "ასე დაუსაბუთებლად მეც შემიძლია ვთქვა, თითქოს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისგან მოვისმინე, რომ მამუკა კაციტაძე სუბოტექსით ვაჭრობს", - აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

გაგრძელება A2 გვერდზე



იური მეჩითოვის ფოტო

გოგა ხაინდრავა და მისი მოადგილე გია ვოლსკი პარლამენტის წინაშე გამოსვლისთვის ემზადებიან.




იხილეთ B3 გვერდზე

# ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

## გაზვიადებული თუ რეალობასთან მიახლოებული ხმები?

ვერიკო თევზაძე

პარლამენტის რიცხოვნობის შემცირების თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილების მიღების შემდეგ კულუარებში კიდევ უფრო გაძლიერდა ეჭვები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თაობაზე. ოფიციალურ კომენტარებში პარლამენტარები, განსაკუთრებით - უმრავლესობის რიგებიდან, ამ სავარაუდო ვერსიას არარეალურად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, პირად საუბრებში ბევრი პოლიტიკოსი ვადამდელ არჩევნებს მიიჩნევს, როგორც ერთ-ერთ სათადარიგო და ხელსაყრელ სვლას, შესაფერისი დროისთვის გადანახულს სააკაშვილის "პოლიტიკურ ზანდუკში". თუ ამას ქვეყანაში მიმდინარე საკადრო რევოლუციებს და, ზოგადად, ბოლოდროინდელი პოლიტიკის არაპროგნოზირებადობას დავუმატებთ, მაშინ უმრავლესობის წარმომადგენლის მაია ნადირაძის მიერ რიგგარეშე არჩევნების ვერსიის "მოცლილი ხალხის საუბრებად მონათვლა" ნაკლებად დამაჯერებელი გახდება.

ოპოზიციონერი ლევან ბერძენიშვილი, ჯერჯერობით, რიგგარეშე არჩევნების საჭიროებას ვერ ხედავს. **"პრეზიდენტს ჰყავს ძალიან კარგი უმრავლესობა,"** – აცხადებს ბატონი ბერძენიშვილი. იმავე აზრს იზიარებს უმრავლესობის წარმომადგენელი მაია ნადირაძე, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ უმნიშვნელო ნიუანსს: ქალბატონი ნადირაძე დღევანდელი უმრავლესობისთვის შესაფერის ეპითეტად "სერიოზულს" მიიჩნევს.

"სერიოზული უმრავლესობის" ლიდერი არაფერს ამბობს ნაციონალების საპარლამენტო დაჯგუფებაში მეტ-ნაკლები ტემპით მიმდინარე ცვლილებებზე და იმ რეალობაზე, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს ვივარაუდოთ, როგორი იქნება უმრავლესობის შემადგენლობა 6 თვის, ერთი წლის, თუნდაც, ორი წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ

გაგრძელება A2 გვერდზე

# მუხროვანის ინციდენტის სათავე

ვერიკო თევზაძე
პაატა ცნობილაძე

19 დეკემბრის მუხროვანის ინციდენტი სერიოზული დარტყმა იყო ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლებისათვის, რომელიც მოსახლეობას უკვე სისტემატურად აუწყებდა ქართულ ჯარში მომხდარ შემობრუნებაზე, იქ მიღწეულ სერიოზულ წარმატებებზე. ოფიციალური ვერსიით, გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით დღემდე არ დასრულებულა. არადა, ჯერ კიდევ 21 დეკემბერს შინაგანი ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა გოგი თავთუხაშვილმა საზოგადოებას განუცხადა, რომ მოკვლევა დაწყებული იყო და დაახლოებით, ათ დღეში საზოგადოებას ეცნობებოდა შედეგების შესახებ. რასაკვირველია, არც ახალი წლის წინა დღეს, 31 დეკებერს და არც მას შემდეგ მოკვლევის შესახებ არავის არაფერი სმენია.

გაგრძელება A6 გვერდზე

# პარლამენტი თბილისისთვისაც მოიცლის

*პარლამენტმა დღის წესრიგიდან ამოიღო "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ამ კანონპროექტის ავტორი - უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია - თბილისში არ იმყოფებოდა.*

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტმა მოისმინა და მოიწონა ის ცვლილებები, რომელიც თბილისის შესახებ კანონში უნდა შევიდეს. ამ ცვლილებებს მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობაც.

ამ ცვლილებების თანახმად, თბილისის მერი ირიბი წესით, საკრებულოს შემადგენლობიდან აირჩევა. თავად საკრებულოს არჩევნები პროპორციული, ანუ პარტიული სისტემით გაიმართება და თბილისელები 25 დეპუტატს აირჩევენ.

უკვე წინასწარ შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისის საკრებულოს დეპუტატთა რაოდენობის განახევრება არც ერთ პოლიტიკურ გუნდში პროტესტს არ გამოიწვევს. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობაა თავად მერის არჩევნებთან დაკავშირებით. საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, მერი საკრებულოს შემადგენლობიდან აირჩევა. არჩევნების მერე მას უფლებამოსილება შეუწყდება და მის ადგილს პარტიული სიის მომდევნო წევრი დაიკავებს.

ოპოზიცია კი მერის პირდაპირ არჩევნებს ითხოვს. მაგალითად, "ახალი მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ თბილისის მერი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, ამიტომ ხელისუფლებას მისი არჩევითობის არ უნდა შეეშინდეს.

ამასთან ერთად, "ახალ მემარჯვენეებს" ალტერნატიული პროექტი აქვთ მომზადებული, რომელსაც პარლამენტის წინაშე წარმოადგენენ.

პარლამენტარ მამუკა კაციტაძის თქმით, **"თვითმმართველობის არსი წარმომადგენლობითობაში, არჩევითობასა და დამოუკიდებლობაშია, ხოლო თვითმმართველობის დანიშნულება ამომრჩეველთან ტერიტორიული სიახლოვე, გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა, ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა და ნებისმიერი ჩვენგანისათვის დროის მინიმალური დანახარჯებია."**

"ახლების" პროექტის თანახმად, თბილისის თვითმმართველობის სტრუქტურა ორი დონით იქნება განსაზღვრული. პირველი დონე უბანია: თბილისი, თავისი კულტურული და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, 33 ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყოფა. უბნის ხელისუფლება უბნის მმართველისგან და უბნის სათათბიროსგან იქნება შემდგარი. პირველს მოსახლეობა აირჩევს, ხოლო სათათბირო, ორი წლის ვადით, მაჟორიტარული წესით აირჩევა. რაც შეეხება მეორე დონეს. მამუკა კაციტაძის განცხადებით, **"ეს დონე ქალაქი იქნება, რომელსაც რეგიონის სტატუსი და უფლებები უნდა მიენიჭოს."** მისი თქმით, **"ქონება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე იმყოფება და აუცილებელია მისი ექსკლუზიური ფუნქციების განხორციელებისთვის, თვითმმართველობის საკუთრება უნდა იყოს. ასევე, დედაქალაქს მაქსიმალურად ფართო საბიუჯეტო დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს."**

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ექო პარლამენტში

პირველი გვერდიდან

ეს სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ე.წ "სამთავრობო საათზე" მოხდა, რომელზეც, "მემარჯვენე ოპოზიციის" მოთხოვნით, სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში დღეს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, კონფლიქტის ზონაში ამჟამად სროლები შეწყვეტილია და შედარებით სტაბილური ვითარებაა. ხაინდრავას აზრით, სიმშვიდე, გარკვეულწილად, კლიმატურმა პირობებმა განაპირობა - დიდთოვლობის გამო, საფორტიფიკაციო ნაგებობების გამოყენება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, გარკვეული პაუზა იმითაც არის გამოწვეული, რომ მხარეები ელოდებიან, როგორ განვითარდება საერთაშორისო მოვლენები - როგორ პოზიციას დაიკავებენ დასავლეთი და რუსეთი; როგორ ჩარჩოებში მოექცევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები...

გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული პოლიტიკური და ადამიანური დამოკიდებულებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან: პირველი მათგანი საკმაოდ რთულია, მეორე - ძალიან კარგი.

**"პოლიტიკური დაძაბულობა რეგიონში მოხსნილია, მაგრამ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაზე, ჯერჯერობით, ლაპარაკიც კი ზედმეტია,"** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

გუშინ ოპოზიცია ბევრს ცდილობდა, რომ პარლამენტში მოწვეული მთავრობის წევრისთვის "ჩამჭრელი" შეკითხვები დაესვა. **"რატომ განახევრდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობა?" "სად იმყოფება ამჟამად ქართული მხარის მიერ ცხინვალში გადაგზავნილი კრიმინალი ალიკ ფუხაევი?" "რატომ დაივიწყეთ ალიკ კოზაევი, რომელიც, თავის დროზე, პიარისთვის გამოიყენეთ?"** - მიკროფონებთან რიგი დააყენეს ოპოზიციური ფრაქციის წევრებმა.

**"სამშვიდობო ბატალიონის მთლიანი კვოტის გამოყენება და კონფლიქტის ზონაში 500 ქართველი ჯარისკაცის ყოფნა თვითმიზანი არ არის. თუ მდგომარეობა კვლავ გამწვავდება, ჩვენს კვოტას უპრობლემოდ შევავსებთ... ფუხაევი დღემდე რუსი სამშვიდობოების დროებითი დაკავების საკანში იმყოფება. ამის დადასტურება შეუძლიათ როგორც ქართული მხარის წარმომადგენლებს, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებს,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

მისივე თქმით, ქართული მხარისთვის ამჟამად ყველაზე დიდ თავსატეხს როკის გვირაბი ("შავი ხვრელი" – ასე უწოდა მას გოგა ხაინდრავამ) წარმოადგენს, საიდანაც კონფლიქტის ზონაში დიდძალი უკონტროლო იარაღი შემოდის. თუმცა, ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, მალე ეს პრობლემა მოგვარდება.

**"შეიძლება როკის გვირაბთან ქართველი მებაჟეები და მესაზღვრეები ჯერ ვერ დავაყენოთ, მაგრამ მალე, ალბათ, იმას მაინც მოვახერხებთ, რომ ჩვენმა სამშვიდობოებმა იარაღის მოძრაობა გააკონტროლონ,"** - დასძენს სახელმწიფო მინისტრი.

# აზარტული საუბრები "აზარტული თამაშობების" ფონზე

*"ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თავიდან ძალზე მოსაწყენად წარიმართა. მონოტონურად მიმდინარე პლენარული სხდომა მხოლოდ ბეჟან გუნავასა და კობა ბექაურის შორის კამათმა გამოაცოცხლა.*



*ბექაურის გუნავასთან დაპირისპირებამ მდორედ მიმდინარე განხილვა გაამწვავა.*

დეპუტატებს შორის გაჩაღებული დავის საგანი ზემოთ დასახელებული კანონპროექტი არ ყოფილა. ხალხის რჩეულები გაცილებით "მაღალი მატერიების" გამო აუმხედრდნენ ერთმანეთს.

**"გამსახურდიას ხელისუფლებას ვებრძოდი, შევარდნაძის ხელისუფლებას ვებრძოდი, რა გახდა ეს ზუგდიდის გამგებელი, რომ ვერაფერი მოვუხერხე,"** - შესჩივლა გუნავამ ბექაურს.

სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ უმრავლესობიდან სულ ახლახანს გასულ კოლეგას "აუხსნა", რომ დღეს უკვე სხვა ხელისუფლებაა და **"გამგებლები დეპუტატის ჭკუაზე ვერ ივლიან"**.

ბეჟან გუნავას ბექაურის დიდაქტიკური ტონი არ მოეწონა, მას უმალ გაახსენა აეროპორტის ტენდერის გარშემო ატეხილი ხმაური და ყოფილ თანამოაზრეს ტენდენციურობაში და პროტექციონიზმში დასდო ბრალი.

დეპუტატებს შორის ჩხუბის დაწყებას წინ აღარაფერი ედგა. მისი მოახლოება ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც იგრძნო, რომელმაც პლენარული სხდომა შეწყვიტა, შესვენება გამოაცხადა და მოდავეები დარბაზის გარეთ გაიხმო.

ამით ინციდენტი ამოიწურა, მაგრამ "აზარტულმა" საუბრებმა აზარტული თამაშების შესახებ კანონპროექტს სიმძაფრე ნამდვილად შემატა: "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს შეუტია და იგი პოზიციის შეცვლაში დაადანაშაულა.

**"ადრე ამბობდი, ამ კანონპროექტს მხარს არ დავუჭერო, ახლა კი მისი მიღების აუცილებლობაზე საუბრობ,"** - გაურკვევლობაში იყო ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე.

თავის მხრივ, რომან გოცირიძემ განმარტა, რომ კაზინოების გაუქმების წინააღმდეგი არასდროს ყოფილა და დღესაც იგივე პოზიციაზეა. მან წარსულიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინათ პრობლემის მოგვარება გაცილებით ადვილი იქნებოდა.

**"კაზინოების დახურვა წინა ხელისუფლებამაც მოინდომა, მაგრამ ეს კარგი ინიციატივა შუა გზაზე მიატოვა. არადა, მაშინ სულ ოთხი კაზინო იყო, დღეს კი მათი რაოდნობა ოცს აჭარბებს,"** - აცხადებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც კაზინოების დახურვის შემთხვევაში, მხოლოდ იმაზე დასწყდება გული, რომ **"იქ დასაქმებული ჭკვიანი ხალხი უმუშევარი დარჩება"**.

*24 საათი*

### მოკლედ

## ლეონიდ ლაკერბაია დაითანხმეს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა “აიტაირას" თანათავმჯდომარე ლეონიდ ლაკერბაია აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი გახდა. ამ თანამდებობაზე ლაკერბაიას დანიშნვის შესახებ განკარგულებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გუშინ მოაწერა ხელი.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბაგაფშმა თავისი განკარგულებით, ჯერჯერობით, მხოლოდ თავისი თანაგუნდელები დააწინაურა: პრემიერ-მინისტრად - ალექსანდრე ანქვაბი, უშიშროების საბჭოს მდივნად - სტანისლავ ლაკობა, ვიცე-პრემიერად კი ლეონიდ ლაკერბაია დანიშნა.

ამ ფონზე, ოპოზიცია ბაგაფშს გასული წლის 6 დეკემბერს მასსა და რაულ ხაჯიმბას შორის ხელმოწერილი შეთანხმების პუნქტების განუხრელი შესრულების აუცილებლობას შეახსენებს, რომლითაც ხაჯიმბას ძალოვანი უწყებებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა შერჩევა და აღნიშნული უწყებების კურირება დაევალა.

ოპოზიცია, რომელმაც მიმდინარე წლის 8 თებერვალს ოპოზიციურ გაერთიანებათა ფორუმი დააფუძნა, დღეს გავრცელებული განცხადებით, კიდევ ერთხელ შეახსენებს ახლად არჩეულ პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს, რომ მის ყოფილ ოპონენტთან - საპრეზიდენტო არჩევნების დროს კრემლის ფავორიტ ხაჯინბასთან ხელმოწერილი შეთანხმების შესრულება აუცილებელია.” *ინტერ-პრესი*

## შამბა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს შეინარჩუნებს

სოხუმიდან მიღებული ინფორმაციით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს ყოფილი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას მთავრობის ერთ-ერთი სახე - სერგეი შამბა შეინარჩუნებს. სავარაუდოდ, სწორედ ის უხელმძღვანელებს აფხაზურ დელეგაციას გაეროს ეგიდით, აპრილის დასაწყისში, ჟენევაში დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი მაქსიმ გვინჯია კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად ასოციაცია “აფხაზეთის ქალების" თავმჯდომარე ნათელა აკაბა დაინიშნა. გვიმჯიას თქმით, იგი "99 პროცენტით" არის დარწმუნებული, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად სერგეი შამბა დაინიშნება. *ინტერ-პრესი*

# ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები
## გაზვიადებული თუ რეალობასთან მიახლოებული ხმები?

პირველი გვერდიდან

არჩეულ პარლამენტში შევარდნაძისდროინდელი მაჟორიტარებიც სხედან. აღნიშნული ფაქტი, ბუნებრივია, რიტორიკულ შეკითხვას ბადებს: რამდენად წაადგებიან ეს ადამიანები ახალ ხელისუფლებას?

“მემარჯვენე” ფიქრია ჩიხრაძე ცალსახა პასუხისგან თავს იკავებს: **“ვერ ვიტყვი, რამდენად რეალური ან არარეალურია კულუარებში გავრცელებული ხმები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ არაპროგნოზირებადია და, აქედან გამომდინარე, გამორიცხვით არაფერი უნდა გამოვრიცხოთ.”** ჩიხრაძის თქმით, პრეზიდენტს და მის გუნდს, ბუნებრივია, ექნება სურვილი იმისა, უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩასატარებელ რიგით არჩევნებს ვადამდელი დაასწროს და **“სასწორზე არ შეაგდოს საპრეზიდენტო არჩევნების ბედი. მოგეხსენებათ,** - განმარტავს ფიქრია ჩიხრაძე, - **საპარლამენტო არჩევნები ერთგვარი ინდიკატორი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებისა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ხელისუფლებამ ისარგებლოს შემთხვევით, სანამ მისი ავტორიტეტი კატასტროფულზე უფრო ქვემოთ არ ჩამოსულა.”**

**“რიგგარეშე არჩევნები არანაირად არ არის მომგებიანი ხელისუფლებისთვის. რას მიიღებს იგი ამით?”** – ასეთ კითხვას სვამს მაია ნადირაძე და თავადვე პასუხობს: **“სულ სხვა ტიპის პარლამენტს, რაც არანაირად არ შედის მის ინტერესებში.”**

ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, თუ გარემოებამ მოითხოვა და პრეზიდენტს ვადამდელი არჩევნები დასჭირდა, იგი არგუმენტად დაასახელებს ბიუჯეტის ეკონომიური ხარჯვის ფაქტორს, ანუ, პრეზიდენტი იტყვის: რა საჭიროა 2008 წლამდე შევინახოთ იმ რიცხოვნობის პარლამენტი, რომელიც ჩვენს რეალობას არ შეეფერება?

იმავე კულუარული ხმების თანახმად, როგორც კი საარჩევნო კოდექსში მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესის შესახებ ცვლილებებს შეიტანენ, ვადამდელი არჩევნების იდეა ქართული პოლიტიკისთვის კიდევ უფრო ახლობელი გახდება. რაც შეეხება ამ იდეის საბოლოო ფრთაშესხმას, მას გარკვეული დრო დასჭირდება. უფრო ზუსტად კი - ის დრო, რომელსაც პრეზიდენტი ვითარებისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

# პიტერ ფითი გიორგი ბარამიძეს შეხვდა

ევროკავშირის ევროპული უსაფრთხოების, თავდაცვის პოლიტიკისა და ოპერაციების საბჭოს გენერალური დირექტორის მოადგილე პიტერ ფითი გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძეს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა, რუსეთის მოთხოვნით, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთოს მონიტორინგის მისიის გაუქმების შემდეგ შექმნილი ვითარება და საზღვრის ამ მონაკვეთზე საერთაშორისო დამკვირვებლების ჩანაცვლების პერსპექტივები განიხილეს.

ევროკავშირის შემფასებელი მისია საქართველოს 23 თებერვალს ეწვია. ვიზიტის მიზანს საქართველო-რუსეთის საზღვარზე (ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის მონაკვეთები) ეუთო-ს მონიტორინგის მისიის (BMO) დახურვის არსებული და შესაძლო შედეგების ადგილზე გაცნობა წარმოადგენს.

მისიის წევრები მოლაპარაკებას გამართავენ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ბადრი ბიწაძესთან.

ევროკავშირის შემფასებელი მისიის ვიზიტი 27 თებერვალს დასრულდება.

*ინტერ-პრესი*




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კონსტრუქციული კამათი

პირველი გვერდიდან

## "თავისუფლების ჩემპიონები" და ჯორჯ ბუშის "რევოლუციური" მგზნებარება

**"თავისუფლების დაცვა ადვილი არ არის. ეს იციან მათ, ვინც კიევში დამოუკიდებლობის მოედანზე და თბილისში თავისუფლების მოედანზე გამოვიდნენ,"** - შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე ამბობდა ჯორჯ ბუში და მთელ მსოფლიოში "თავისუფლებისა და დემოკრატიის" გარანტის რანგში გამოდიოდა. საქართველო თავის გამოსვლაში მან ოთხჯერ ახსენა. პუტინთან შეხვედრამდე აშშ-ს პრეზიდენტი ჯერ "თავისუფლების ჩემპიონებს", ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყნის 21 წარმომადგენელს შეხვდა, მოგვიანებით კი, ბრატისლავის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ათასობით სლოვაკის წინაშე წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკმაოდ მკვეთრი განცხადებების გაკეთებასაც არ მორიდებია იმ ადამიანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მისამართით, რომელთანაც შესახვედრად იყო სლოვაკეთის დედაქალაქში ჩასული.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელთა მიერ შერჩეულ "თავისუფლების ჩემპიონებს" ერთი საერთო ნიშანი – უსისხლო, დემოკრატიულ რევოლუციაში მონაწილეობა აერთიანებთ. აქ იყვნენ ჩეხოსლოვაკიის 1989 წლის "ხავერდოვანი", სერბეთის 2001 წლის, საქართველოს "ვარდების", უკრაინის "ნარინჯისფერი" და სხვა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში განხორციელებული (თუ მომავალში მოსალოდნელი) რევოლუციის გმირები, აღიარებული "დემოკრატები" ბალტიისპირეთიდან და უნგრეთიდან. (შეხვედრას ესწრებოდნენ, მოლდოვისა და ბელორუსის თავისუფლების დამცველები. სავარაუდოდ, მომავალში პოსტსაბჭოთა სივრცეზე სწორედ ამ ქვეყნებში აგორდება რევოლუციური ტალღა.).

საქართველოს "ვარდების რევოლუციას" თინათინ ხიდაშელი და გიგა ბოკერია წარმოადგენდნენ, რომლებმაც აშშ-ს პრეზიდენტს აუხსნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისადმი ამ ეტაპზე ამერიკის მხარდაჭერას. ამასთანავე, სთხოვეს ჯორჯ ბუშს, რუს კოლეგასთან შეხვედრისას კავკასიისა და საქართველოს პრობლემებზეც ესაუბრა.

**"მოლდოვისა და ბელორუსის მოქალაქეებმა თავისი შანსი უნდა გამოიყენონ და უახლოეს არჩევნებში გადადგან თავისუფლებისკენ ნაბიჯი,"** - ამის შესახებ გუშინ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უკვე ბრატისლავას ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ქალაქის მცხოვრებთა წინაშე გამოსვლისას საუბრობდა.

**"15 წლის წინ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარმა დემოკრატიულმა რევოლუციებმა ახლახან საქართველოსა და უკრაინამდე მიაღწია. 10 დღის შემდეგ, საარჩევნო უბნებზე მისვლისას, მოლდოვას მოქალაქეებსაც მიეცემათ საკუთარი დემოკრატიული პოტენციალის რეალიზების შანსი,"** - განაცხადა ბუშმა. მისი თქმით, საკუთარი ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესაძლებლობა ბელორუსის მოქალაქეებმაც უნდა გამოიყენონ. **"ეს გარდაუვალი იქნება - ბელორუსი ხალხი ერთ მშვენიერ დღეს იამაყებს, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრობს. საბოლოოდ, თავისუფლებისკენ სწრაფვა ყველას გონებასა და ყველას სულში იღვიძებს,"** - აცხადებს პრეზიდენტი ბუში.

ასეთი აღმატებული, შეიძლება ითქვას, ზედმეტად "რევოლუციური" მუხტით გაემგზავრა აშშ-ს პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინთან შესახვედრად, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად გაიზიარებდა ამერიკელი კოლეგის ემოციურ განწყობას.

### ბუში-პუტინის შეხვედრა - დიალოგად წარმოჩენილი მონოლოგები?

რუსეთ-აშშ-ს სამიტი ბრატისლავაში დაახლოებით 3 საათი გაგრძელდა დაგეგმილი ორსაათნახევრის ნაცვლად, აქედან საათნახევრის განმავლობაში შეხვედრა ორ პრეზიდენტს შორის პირისპირ მიმდინარეობდა. მოლოდინისამებრ, განსახილველ საკითხთა ნუსხა მრავალფეროვანი აღმოჩნდა. მოლაპარაკებებისას განიხილეს ტერორიზმთან ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხები, მათ შორის ბირთვული იარაღისა. გარდა ამისა, პრეზიდენტებმა ისაუბრეს კოსმოსურ სივრცეში თანამშრომლობის შესახებ, ქვეყნებსა და რეგიონებში შექმნილ კონფლიქტურ ვითარებებზე, საგანგებო მდგომარეობათა და ტექნოგენური კატასტროფების დაძლევაში თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დიალოგით კმაყოფილი ჩანდა, მაშინ, როცა მისი "თავდაჯერებული" რუსი კოლეგა პროვოკაციულ განცხადებებს არ მოერიდა.



**"ჩემი მმართველობის წინა 4 წლის განმავლობაში ჩვენ კონსტრუქციული ურთიერთობა გვქონდა და მე მომავალშიც ვაპირებ მის შენარჩუნებას. ჩვენი შეხვედრა უამრავი დადებითი შედეგით დასრულდა. ჩვენ გვქონდა ძალიან ღია და გულწრფელი საუბარი. შევთანხმდით, გავააქტიუროთ მუშაობა ჩვენი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ბირთვული იარაღისა და ნედლეულისაგან მომავალი საფრთხისაგან დაცვის მიზნით,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მის პოზიციას აბსოლუტურად იზიარებს რუსი კოლეგა. **"შევთანხმდით, რომ ირანსა და ჩრდილოეთ კორეას არ უნდა ჰქონდეთ ბირთვული იარაღი. მე ვაფასებ ამ საკითხში ვლადიმირ პუტინის თანხმობას. ჩვენ გვქონდა კონსტრუქციული დიალოგი საერთო მიზნების მიღწევის გზების შესახებ. გარდა ამისა, შევთანხმდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაჩქარებისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა. ჯორჯ ბუშმა ისაუბრა იმის შესახებაც, რომ რუს კოლეგასთან ახლო აღმოსავლეთის პრობლემის საერთო ხედვა გააჩნია. **"რუსეთი ერთ-ერთია იმ ოთხეულში, რომელმაც "საგზაო რუკა" შეიმუშავა. ახლა უკვე ჩვენ ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებაზე ვიმუშავებთ,"** - განაცხადა მან.

თუმცა, რიგ საკითხებში კმაყოფილების პარალელურად, აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან რუსეთის მისამართით კრიტიკაც გაისმა. **"სამუშაო ურთიერთობების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გვესმის, 21-ე საუკუნეში ძლიერი სახელმწიფოები ძლიერ დემოკრატიას უნდა ემყარებოდეს. დემოკრატია ყოველთვის შეესაბამება ქვეყნის ადათებსა და კულტურას, მე კარგად ვიცი ეს. თუმცა, დემოკრატიას გააჩნია საერთო მახასიათებელიც: კანონის უზენაესობა, უმცირესობების უფლებების დაცვა, დამოუკიდებელი მასმედია და სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ოპოზიცია. რუსეთმა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უზარმაზარი პროგრესი განიცადა. ეს რუსი ხალხის გასაოცარი ტრანსფორმაციაა. თუმცა, ვლადიმირ პუტინთან დიალოგისას მე შევძელი გამომეთქვა ჩემი შეშფოთება ამ ღირებულებებისაგან რუსეთის გადახვევასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს კონსტრუქციული და მეგობრული გზით მოვახერხე. მე კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის ჭეშმარიტი უსაფრთხოებისა და აღმშენებლობის მოტანა მხოლოდ დემოკრატიასა და თავისუფლებას შეუძლია. ჩვენ შესაძლოა, ყოველთვის არ ვიზიარებთ ერთურთის პოზიციებს, რის მაგალითადაც გასული ოთხი წელიც გამოდგება, მაგრამ ჩვენ შევძელით უამრავი შეთანხმების მიღწევა საერთო ინტერესების საფუძველზე. ვფიქრობ, ერთ-ერთი უმთავრესი განცხადება ამ სამიტზე პუტინის მხრიდან გამოთქმული რუსეთში დემოკრატიის მხარდაჭერა იყო,"** - განაცხადა ბუშმა. ამასთანავე, კომპლიმენტის სახით ჯორჯ ბუშმა პუტინის მისამართით ისიც აღნიშნა, რომ იგი ის ადამიანია, რომელიც ზუსტად იმას გულისხმობს, რასაც ამბობს, ეს კი ძლიერ დასაფასებელია დიპლომატიაში. **"ვფიქრობ, სამიტზე გაკეთებული განცხადებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი ვლადიმირ პუტინის დაპირებაა, რომ რუსეთში დემოკრატიის განვითარებას უჭერს მხარს,"** - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა.

აშშ-ს პრეზიდენტის გაწონასწორებული განცხადებების ფონზე საკმაოდ რადიკალური გამოვიდა ვლადიმირ პუტინის გამოსვლა. მის ავტორიტარული მმართველობის სტილზე საყვედურის პასუხად მხოლოდ ის აღნიშნა, რომ დემოკრატია არ უნდა იწვევდეს გაღატაკებას. პუტინმა არც ის გაამხილა, თუ რა რჩევები მიიღო ამერიკელი კოლეგისგან. რაც შეეხება რუსეთში თავისუფალი მასმედიის არარსებობაზე პირდაპირ მითითებას, ვლადიმირ პუტინი მხოლოდ იმის თქმით შემოიფარგლა, რომ მას არ აჩნია საჭიროდ არაფრისაგან პრობლემის შექმნა. **"მე არ ვარ პროპაგანდის მინისტრი. თანაც აშშ-ში თავისუფალი პრესის შენარჩუნების უამრავი მექანიზმი არსებობს. ხელისუფლებისადმი კრიტიკული შეფასებები პრესის მხრიდან დემოკრატიის მანიფესტაციაა. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვაქცევთ ყურადღებას პრესისა თუ ოპოზიციის მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებს, მაგრამ ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ იმ უამრავი არსებული პრობლემის ფონზე, დადებითი მიმართულებით განვავითაროთ რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობა,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. თავისი ამერიკელი კოლეგისაგან განსხვავებით, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ხავერდოვანი რევოლუციები ხიბლავს, ვლადიმირ პუტინი დემოკრატიისკენ ამ გზით ტრანსფორმირებას სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხედ მიიჩნევს. **"მე დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატია ანარქია არ არის. ეს არ არის შესაძლებლობა, აკეთო ყველაფერი, რაც მოგესურვება. შედარება ნიდერლანდებთან უცნაური მაგალითია. ნიდერლანდები მონარქიული სახელმწიფოა. მე ეჭვიც არ მეპარება ამ ქვეყნის დემოკრატიულ ბუნებაში. იგი მართლაც დემოკრატიული სახელმწიფოა, თუმცა ძლიერ განსხვავდება აშშ-სა და რუსეთისაგან. დიდია განსხვავება თავად აშშ-სა და რუსეთს შორის, ამდენად, დემოკრატიულობის ხარისხობრივად შეფასება, უბრალოდ, არაკორექტულია,"** - აღნიშნა პუტინმა.

ასე რომ, აშშ-რუსეთის "კონსტრუქციული დიალოგის" კიდევ ერთი მცდელობა, ბუნდოვანი შედეგით დასრულდა. როგორც ჩანს, განსხვავებული ისტორია და ფასეულობები დემოკრატიის საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებას არ უწყობს ხელს. მართალია, ბუში და პუტინი აღიარებენ, რომ საკამათო ბევრი აქვთ, თუმცა ჯერჯერობით მაინც "თანამშრომლობენ".

### მიხეილ სააკაშვილი: ჯორჯ ბუშმა თავის მოკლე გამოსვლაში საქართველო ოთხჯერ ახსენა

"საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია მსოფლიოს მხრიდან ისეთი მხარდაჭერა, როგორიც დღეს აქვს," - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და დასტურად აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გუშინდელი განცხადება მოჰყავს.

"დღეს ბრატისლავაში, თავის მოკლე გამოსვლაში ჯორჯ ბუშმა საქართველო 4-ჯერ ახსენა. შეიძლება, ვილაცამ თქვას, "მერე რაო", მაგრამ... საქართველოს ამხელა მხარდაჭერა ჯერ არასდროს ჰქონია," - განაცხადა გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი შეფასებით, დიდი სახელმწიფოები არასოდეს ყოფილან ასე დაინტერესებული იმაში, რომ საქართველო წარმატებული სახელმწიფო იყოს. "მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არის დიდი სიღარიბე, ჩვენ უნიკალური შანსი გვაქვს, წარმატებული ქვეყანა გავხდეთ," - დასძინა პრეზიდენტმა.


ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან ყოველ ხუთშაბათს ეთერში „ამბასადორი" 11-იდან 12 საათამდე

პოლონეთის ელჩი იაცეკ კოლტანოვსკი



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10

მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...

საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს „თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.

გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს, გადაიხადეთ დროულად, დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge


რეგიონი

# გურჯაანის ბიუჯეტს ძროხებიც შეავსებენ

*გურჯაანი ის რაიონია, რომლის ხელმძღვანელობაც სულ ახლის ძიებაშია. სწორედ "ექსპერიმენტების" მოყვარულმა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, საგადასახადო კოდექსის, ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შესახებ. საქართველოს კანონი "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების" მეხუთე მუხლის თანახმად, ამიერიდან უკვე საქონელსაც დაუწესებენ გადასახადებს. ერთ ძროხაზე სეზონზე გადასახადი, მოძოვილი ბალახის წონის მიხედვით გამოითვლება. როგორც გურჯაანის საკრებულოში ამბობენ, კანონის ამოქმედების დასაწყისისთვის გადასახადი შეღავათიანია. საკრებულოს "მეცნიერული კვლევით" ირკვევა, რომ მსხვილფეხა საქონელი დღეში მინიმუმ 10 კგ. ნედლ ბალახს მიირთმევს. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სოფლის გლეხებს სიცილად არ ყოფნით.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

იმ დროს, როცა ქვეყნის პრეზიდენტი სოციალურად გაჭირვებულ სოფლის მოსახლეობისთვის შეღავათს აწესებს და მათ მიწის გადასახადს უუქმებს, გურჯაანის ადგილობრივი ხელმძღვანელობა ბიუჯეტის შესავსებად მეტად "ორიგანლურ" მეთოდს მიმართავს. ისინი საგადასახადო კოდექსის ახალი კანონმდებლობის ამოქმედებას აპირებენ, რომლის თანახმადაც თითოეულ ძროხას და ცხვარს, გადასახადს დაუწესებენ. აღნიშნული კანონის ამოქმედების იდეა გურჯაანის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს, ზაზა კობიაშვილს ეკუთვნის. როგორც მან "24 საათს" განუმარტა, ეს საკითხი რაიონის ბიუჯეტის განხილვის დროს, დღის წესრიგში არ დადგებოდა, რომ არა რაიონის ბიუჯეტის სიმწირე. ფინანსთა სამინისტრომ გურჯაანის რაიონს ბიუჯეტი ერთ მილიონი ლარით შეუმცირა. რაც შეეხება წლობით დავალიანებული მიწის გადასახადების ასაკრებლებს, კობიაშვილის განმარტებით, მათი ამოღება ჭირს. კობიაშვილის თქმით, სწორედ ამის შემდეგ მიიღო რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება აღნიშნული გადასახადის დაწესების თაობაზე.

საქართველოს კანონით "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ", ძროხების გარდა, გადასახდებია დაწესებული ტყეში სოკოს, კუნელის, კაკლის და სხვა სახეობის მცენარეების მოკრეფისთვისაც. აქედან ყველაზე მომგებიანი გურჯაანის მთავრობისთვის ძროხებზე გადასახადი აღმოჩნდა. საკრებულოს თავმჯდომარის გაანგარიშებით (ზაზა კობიაშვილი პროფესიით ზოოვეტერინარია) ირკვევა, რომ თითოეული ძროხა დღეში 10 კილოგრამ მწვანე მასას მიირთმევს. **"ეს არის მინიმუმი. საერთოდ კი თითოეული პირუტყვი 20-30 კგ ნედლეულს მოიხმარს, მაგრამ ჩვენ სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა ვიცით. აქედან გამომდინარე, თვეში პირუტყვის პატრონებს მხოლოდ 70 თეთრის გადახდა მოუწევთ. ეს ორი ქილა მაწვნის საფასურია,"** - ასე მარტივად უდგება საკითხს ზაზა კობიაშვილი. ბუღალტრული ანგარიშის მიხედვით, სეზონზე, რომელიც 200 დღეს შეადგენს, ბიუჯეტში წესით 1 მილიონ 950 ათასი ლარი უნდა შევიდეს. თუმცა ბოლოს გამგეობის და სოფლის საკრებულოების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ სეზონზე ძროხების ხარჯზე ბიუჯეტში 159 ათასი ლარი შევა.

იმისათვის, რომ გურჯაანის გამგეობას მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ეს საკითხი განეხილა, ყველა სოფელში, სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან ერთად, სტატისტიკური გამოკვლევა აწარმოეს, რომლის შედეგადაც გამოირკვა, რომ გურჯაანელებს 9 ათასი სული ძროხა ჰყავთ და 18 500 - ცხვარი. **"წარმოიდგინეთ, საგადასახადო კოდექსის მიხედვით რომ გადაიხადოს ძროხის პატრონმა თვეში 10 ლარი, ბიუჯეტი რამდენით შეივსება?"** - კითხულობს გაოცებული საკრებულოს თავმჯდომარე. მისივე თქმით, თვითმმართველობამ და რაიონის გამგეობამ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობა გითავლისწინა და საქონლის პატრონებს სეზონზე 10 ლარს გადაახდევინებენ. ეს რაც შეეხება ზრდასრულ ძროხებს, ბოჩოლებზე კი შეღავათებია დაწესებული.

ეს საკითხი ხუმრობის თემად იქცა გურჯაანის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში. **"საინტერესოა, როგორ უნდა გავიგოთ, თითოეულმა პირუტყვმა რამდენი ბალახი მოძოვა? თუ საკრებულოს და რაიონის გამგეობას უნდა, რომ თანხა პირნათლად ამოიღონ, მოუწევთ, ძროხები და ცხვრები ნახირში წასვლამდე და დაბრუნების დროს სასწორზე აწონონ და ამის შემდეგ გადაახდევინონ საქონლის პატრონს თანხა,"** - ამბობს საგადასახადო სამსახურის უფროსი ნუგზარ კვაცაშვილი.

ზაზა კობიაშვილი საგადასახადო სამსახურის ამ რეპლიკას იმით პასუხობს, რომ კანონი მან კი არა, სამინისტრომ გამოსცა. რაც შეეხება მოსაკრებლების შესახებ პრობლემებს, როგორც კობიაშვილი განმარტავს, ამაში საკრებულომ გამოსავალი უკვე ნახა. ძროხები და ცხვრები ბალახს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ საძოვრებზე მიირთმევენ, რომლის ტერიტორიაც მთლიანად ამ რაიონში 9 ათას ჰექტარს შეადგენს, ხოლო ეს ადგილი კერძო პირებზე იჯარით გაიცემა. **"რაც შეეხება პრობლემას მოსაკრებლების შესახებ, ამაზეც ჩვენ ვიზრუნეთ. საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები გადასახადებს სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორია-საძოვრებზე ამოიღებენ. ასე რომ, ჩვენ მათ საქმეს ვუიოლებთ,"** - ამბობს გურჯაანის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა კობიაშვილი.

რაიონის ხელმძღვანელობის ასეთი გადაწყვეტილება გურჯაანელი მოსახლეობისთვის მიუღებელია. **"ალბათ, სულ მალე, ჰაერს რომ ვსუნთქავთ, ამაზედაც გადასახადებს დაგვიწესებენ,** - ამბობენ გლეხები და ამ ამბავს მაინც არასერიოზულად უყურებენ, - **ბალახი რომ ამოვიდეს, ნაკელია საჭირო. საცოდავ ხალხს სულ მალე, ალბათ, ძროხის ნაკელშიც ჩაეზიარება მთავრობა,"** - ამბობს ჩუმლაყელი ვალიკო ბაზერაშვილი.





# მთავრობა დირექტორების მიმართ "კვერის და მათრახის პრინციპის" გამოყენებას აპირებს

## მანამდე კი საქართველო თავის სიმდიდრეს იტალიაში გამოამზეურებს

დიანა ჩაჩუა

*3 მარტს რომში, საქართველოს მთავრობა, ბიზნესმენების თანხლებით, საქართველოს ეკონომიკური ღირსებების პრეზენტაციას მოაწყობს. "Invest in Georgia"-ს სახელით ცნობილ საერთაშორისო ფორუმზე საქართველო კიდევ ერთხელ, ხმამაღლა განაცხადებს, რომ ღიაა ინვესტიციებისთვის. ამასთან, სანამ რომში საქართველოს დელეგაცია იტალიელებისთვის თავის მოწონებით იქნება დაკავებული, საქართველოში დარჩენილი მეწარმეები "მეწარმეთა შესახებ" კანონისთვის ცვლილებების მომზადებაზე იმუშავებენ. ორივე საკითხთან დაკავშირებით გუშინ, საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციაში განხილვები შედგა. გადაწყდა, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს ბიზნესმენები და მთავრობის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ.*



"მეწარმეთა შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს ბიზნესმენები და მთავრობის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში შემდგარ შეხვედრაზე იტალიაში, საქართველოს პრეზიდენტისა და ქართველი ბიზნესმენების მოსალოდნელი ვიზიტის დეტალებზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეროვნული ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორმა დავით ნატროშვილმა ისაუბრა. საქართველოს დელეგაციას, წინა ფორუმის მსგავსად, საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. მის გარდა დელეგაციაში წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი და ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე. როგორც ნატროშვილმა განაცხადა, მსგავსი ფორუმების წინ საქართველოს მთავრობა მასპინძელ ქვეყანას საქართველოში არსებული საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციას აწვდის, რის შედეგადაც ინვესტორთა ქვეყანა საქართველოს დაინტერესებულ კომპანიებს ახვედრებს.

ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ ინიციატივა გამოთქვა, რომ ყოველი მსგავსი ფორუმის წინ ფედერაციაში დისკუსიები მოეწყოს, რის შედეგადაც, საქართველო უცხოელი ინვესტორების წინაშე მეტად მომზადებული პროგრამით წარდგება.

იტალიაში მოსალოდნელ ვიზიტზე საუბრის შემდეგ ყურადღება "მეწარმეთა შესახებ" კანონს დაეთმო. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მთავარმა მრჩეველმა ქეთევან ქოქრაშვილმა ბიზნესმენთა ფედერაციაში შეკრებილ ბიზნესმენებს "მეწარმეთა შესახებ" კანონში განსახორციელებელი ცვლილებები გააცნო. როგორც კახა ბენდუქიძის მთავარმა მრჩეველმა აღნიშნა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის ზოგიერთი ნორმა არ მუშაობს.

ქეთევან ქოქრაშვილის თქმით, "მეწარმეთა შესახებ" კანონში ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება. კერძოდ, იმ სააქციო საზოგადოებებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო წილი 50 პროცენტს აღემატება, მაქსიმუმ 7 წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო ეყოლება, სხვებს კი - მაქსიმუმ 21-წევრიანი. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებში კი ერთი წევრი აუცილებლად საჯარო მოხელე იქნება, რომელიც ამ საწარმოში ანაზღაურების გარეშე იმუშავებს.

ამასთან, სახელმწიფო საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ველარ დანიშნავენ და გაათავისუფლებენ საწარმოს დირექტორს საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტის მფლობელ აქციონერთან შეუთანხმებლად. მეტიც, დირექტორებს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. **"დირექტორების მიმართ მსოფლიოში აღიარებული "შაქრის და მათრახის პრინციპი" იმოქმედებს: დირექტორს ვაწვდი შაქარს, მაგრამ ვურტყამ მათრახს, თუ ის ამ შაქარს არასწორად გამოიყენებს. დღეს საქართველოში, რატომღაც, მარტო შაქრის პრინციპი მოქმედებს,"** - განაცხადა ქოქრაშვილმა.

აღსანიშნავია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ "მეწარმეთა შესახებ" კანონისთვის ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილი კიდევ ერთი ინიციატივა: აქციების 95 პროცენტის მფლობელს დარჩენილი 5 პროცენტის გამოსყიდვის უფლება ენიჭება.

**"მისასალმებელია ურთიერთობების ის ფორმატი, რაც სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან წამოვიდა. ამის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს დღევანდელი შეხვედრა. მთავრობის ინიციატივა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საბოლოოდ, "მეწარმეთა შესახებ" კანონში ისეთი ცვლილებები განხორციელდება, რომელიც მისაღები იქნება, როგორც საქართველოს მთავრობისთვის, ასევე ბიზნესმენებისთვისაც,"** - განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, წარმოდგენილი ცვლილებები დასახვეწია, რომელთა შორის დეტალურად შესასწავლია ის საკითხები, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, სააქციო საზოგადოებებს, აქციონერებს და მეპაიეებს შეეხება.

გუშინ, კახა ბენდუქიძის მთავარმა მრჩეველმა ბიზნესმენებს ცვლილებების მხოლოდ მუშა დოკუმენტი წარუდგინა. **"ჩვენ გვინდა, რომ მეწარმეებთან ერთად დავხვეწოთ ეს დოკუმენტი და ისე წარვადგინოთ მთავრობაში, შემდეგ კი - პარლამენტში,"** - განაცხადა ქოქრაშვილმა.

შედეგად, ბიზნესმენები და მთავრობის წარმომადგენლები ორ კვირაში კვლავ შეიკრიბებიან ბიზნესმენთა ფედერაციაში. მანამდე კი ისინი წერილობით შენიშვნებს მიაწვდიან სახელმწიფო მინისტრის აპარატს.


„პროქტერ ენდ გემბლი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაეცნობა ახდენს კლიენტის გადაწყვეტილებაზე კრიტიკულ და საქმიან სიტუაციებში გავლენის კონცეპტუალური მეთოდებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი ეყრდნობა მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ამოძრავებს მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შეძენისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება საჯარო ნიშნის გაფართოება-განვითარება და დაეხმარება მყიდველს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. სამუშაოს მოთხოვნებში შედის ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი ორგანიზაციული ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გამოგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855


# სემეკ-მა "თელასს" აჯობა

## კომისიამ "თელასის" დენის ტარიფში მარჟა შეუმცირა

*გუშინ სემეკ-ში "თელასის" სატარიფო განხილვები საკმაოდ თამამი გადაწყვეტილებით დამთავრდა. ათთვიანი განხილვების შემდეგ, კომისიამ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფში "თელასის" მარჟის 0,3 თეთრით შემცირება გადაწყვიტა. კომისიის გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, რაც ენერგოსექტორის მთავარი არბიტრი შესაბამის დადგენილებას მიიღებს.*

მაია ურუშაძე

თუ ასე მოხდა, მაშინ, სავარაუდოდ, დენის ტარიფში "თელასის" მარჟა, 6,6 თეთრის ნაცვლად, მხოლოდ 6,256 თეთრით განისაზღვრება.

სემეკმა "თელასს" დაავალა, 4 მარტამდე, ძაბვის მომხმარებლების კატეგორიების მიხედვით განაწილების, გადაცემისა და სამომხმარებლო ტარიფის გაანგარიშებები წარადგინოს. კომისიაში აცხადებენ, რომ "თელასის" წილის 0,3 თეთრით შემცირება თბილისელებს წელიწადში 20 მილიონ ლარს დაუზოგავს. თუმცა, მოსახლეობისთვის ტარიფში "თელასის" მარჟის შემცირება ისე საგრძნობი არ იქნება, რადგან რეალურად, ერთი კილოვატსაათის ღირებულება მხოლოდ 0,02-ით შემცირდება. კომერციული სტრუქტურებისთვის კი, რომლებიც დიდ სიმძლავრეებს მოითხოვენ, განსხვავება უფრო საგრძნობი იქნება. მათ ტარიფი, სავარაუდოდ, 1,3 თეთრით შეუმცირდებათ.

კომისიამ ტარიფის გაანგარიშების ძველი მეთოდიკით ისარგებლა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად "თელასის" ნასყიდობის ხელშეკრულება დაუდო.

სამომხმარებლო ტარიფი, რომელიც ამ დროისთვის 12,18 თეთრს შეადგენს, ჯერჯერობით, უცვლელია.

გარდა ამისა, სემეკ-მა "თელასს" 2005 წლის 1 აპრილამდე 2004 წლის სრულ საფინანსო ანგარიშგებაზე დაფუძნებული ახალი სატარიფო განაცხადის წარმოდგენაც დაავალა. სავარაუდოდ, 4 მარტს, ანუ "თელასის" მხრიდან ახალი გაანგარიშებების წარმოდგენის შემდეგ, კომისია სამომხმარებლო ტარიფთან დაკავშირებითაც მიიღებს გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ სატარიფო განხილვები სემეკ-ში მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის ელექტროგამანაწილებელმა კომპანია "თელასმა" კომისიას ელექტროენერგიის ტარიფში მისი მარჟის 4 თეთრით გაზრდა მოსთხოვა. "თელასმა" სემეკ-ში შესაბამისი განაცხადი 2004 წლის მაისში შეიტანა. საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად, კომისიამ მას შესაბამისი გაანგარიშებების წარმოდგენა დაავალა. შედეგად, თბილისის ელექტრომომმარაგებელი კომპანიის ტარიფის საკითხის განხილვა კომისიამ მხოლოდ სამი თვის წინ დაიწყო.

სატარიფო განხილვების დაწყებას საკმაოდ დიდი ვნებათაღელვები მოჰყვა. "თელასის" მოთხოვნის საპირისპიროდ, ჟღერდა მოთხოვნები "თელასისთვის" ტარიფიდან კუთვნილი მარჟის შემცირების თაობაზე. საბოლოოდ, თუ კომისიამ თავისი ბოლომდე გაიტანა და შესაბამისი გადაწყვეტილება გამოსცა, დენის სამომხმარებლო ტარიფიდან "თელასს" 0,3 თეთრით ნაკლები დარჩება.

ფოსტა

# გახდება ხუდონჰესი სახალხო მშენებლობა?

*საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელება შესაძლოა. პრეზიდენტის თქმით, ხუდონჰესის სრულად ასამუშავებლად დაახლოებით 500 მილიონი დოლარია საჭირო, რომლის მოძიება სავსებით შესაძლებელია ქვეყანაში სტაბილურობისა და სიმშვიდის შემთხვევაში.*

რაფიელ გელანტია
კავშირის "დემოკრატია და კეთილდღეობა" თავმჯდომარე.

რას წარმოადგენს ხუდონჰესი, რას მისცემს ის ქვეყანას, როცა დასრულდება მშენებლობა?

მდინარე ენგურზე ხუდონის ჰესის მშენებლობის პროექტი შეიმუშავა ინსტიტუტმა "თბილჰიდროპროექტმა" და 1984 წელს, ყოფილმა საკავშირო მთავრობამ დაამტკიცა. სქემატური შეფასებით, ხუდონჰესი უნიკალური და ურთულესი ჰიდრომშენებლობაა რთული რელიეფის პირობებში, რომლის დაძლევა ბევრ ჩვენზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოსაც არ ხელეწიფება ხოლმე საკუთარი საკადრო პოტენციალით და გაბედულებით. საბედნიეროდ, საქართველოს პროფესიონალ ჰიდრომშენებელთა და დარგის სპეციალისტთა მთელი თაობები ჰყავს.

ხუდონჰესი, ენგურიჰესის თაღოვანი კაშხლიდან განლაგებულია 32 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ენგურის ძირითად კალაპოტში. ენგურის საერთო სიგრძე 221 კილომეტრია და სათავეს იღებს კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობების მყინვარებიდან. მისი აუზის ფართობია 4062 კვ. კმ, საშუალო წლიური მოდინება-5.35 კუბ.კმ, მდინარის საერთო ვარდნაა 2600 მეტრი, რაც მდინარეში წყლის ნაკადის დიდი სიჩქარის გამო, უნიკალურს ხდის მას ჰიდროტექნიკური პოტენციალის თვალსაზრისით.

ჰიდრონაგებობის მშენებლობა 1989 წელს დაიწყო მდინარის ვიწრო ხეობაში მრგვალ კლდეებს შორის, რომლებიც ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე მაღლა მდებარეობენ.

ხუდონჰესის დადგენილი სიმძლავრე 638 მეგავატია, ოპტიმალური, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, 700 მეგავატზე მეტი, ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 1444,8 მლნ. კილოვატ/საათი.

ნაგებობის ჰიდროკვანძის შემადგენლობაში შედის: 170 მ სიმაღლის მტკიცე კაშხალი, სამშენებლო გვირაბი, წყალმიმღები და ტურბინების წყალგამტარები, ჰესის შენობა, საექსპლოტაციო გვირაბები, გამანაწილებელი მოწყობილობანი ელექტროაიროვანი იზოლაციით; კაშხლის ზედა ბიეფში გადაგდებულ იქნება მდინარე ლახარი.

ჰესის შენობაში განლაგდება სამი ძალოვანი ჰიდროაგრეგატი ჯამური 700 მეგავატი სიმძლავრით.

ერთ დროს, საზოგადოებასა და ექსპერტთა წრეში, კამათის საგანი იყო წყალსაცავთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები; დაზუსტებულია, რომ ხუდონჰესის წყალსაცავის სარკის ფართობი იქნება 4.0 კვადრატული კილომეტრი, წყლსაცავის საერთო მოცულობა - 230 მლნ. კუბ. მეტრი, მკვდარი მოცულობა - 141.5 მლნ. კუბ. მეტრი, შევსებისა და დაცლის მაქსიმალური სიმაღლე - 1-1,5 მეტრი დღე-ღამეში. ჰიდროსადგური უზრუნველყოფილი იქნება მყარი უსაფრთხოების დუბლირებული სისტემებით. სამამულო და უცხოელი ექსპერტების დასკვნით, ჰიდროტექნიკური ნაგებობის არეალში კლიმატის შესამჩნევი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

ხუდონის ჰიდრონაგებობა, კაშხალს გარდა, მიწისქვეშა ტიპისაა.

ცნობილია, რომ ხუდონჰესის მშენებლობა 1979 წელს დაიწყო; ამჟამად შესრულებულია:

ძალოვანი კვანძის ქვაბულის მიწისა და ქანების დამუშავების სამუშაოთა 60%, კაშხლის მიწისქვეშა კონტურის მიწისა და ქანების ამოღების 80%, ბეტონის სამუშაოთა 61%; იგივე სამუშაოები ძალოვანი კვანძის მიწისქვეშა ნაწილში - შესაბამისად, 60 და 45 პროცენტით; დასრულებულია სამუშაოები და მდინარე გადაგდებულია სამშენებლო გვირაბში; გზების მშენებლობის - 76%; ჩაძირვის ზონაში - 40% და სხვა. შესრულებულ სამუშაოთა საერთო ღირებულებაა - 289,5 მილიონი დოლარი.

მშენებლობის გაგრძელების შემთხვევაში, 2005 წელს უნდა შესრულდეს 40.5 მლნ. დოლარის სამუშაოები. ნავარაუდევია მშენებლობის დასრულება 2007 წლისათვის. ჰიდროკომპლექსის ექსპლოატაციაში გასაშვებად დამატებით საჭიროა 575.0 მილიონი დოლარი.

საეჭვოდ არავის გაუხდია, რომ მსხვილ ელექტროსადგურებში ერთეული ელექტროენერგიის წარმოება რამდენიმეჯერ იაფია თბოსადგურებთან შედარებით, საიმედოა ექსპლოატაციაში, სტაბილური - მუშაობაში, ნაკლებად დამოკიდებული გარეშე ფაქტორებზე, ეფუძნება ბუნებრივად მუდმივად განახლებად რესურსებს. ხუდონჰესის მარგი ქმედების კოეფიციენტი 95.5%-ია.

ჰიდროსადგურები მომგებიანი საწარმოებია. ხუდონჰესი 15 წელიწადში აანაზღაურებს მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს კრედიტების ჩათვლით. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, მათ შორის - ღარიბები, მზად არიან, გახდნენ აქციონერები, რადგანაც ამ ტიპის სადგურებზე დივიდენდები უტყუარია, შედარებით მაღალია და სტაბილური. ამ გაგებითაც ხუდონჰესი იქნება სახალხო მშენებლობა, რომელიც ნაკლებად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

წინასწარი გაანგარიშებით, ხუდონჰესზე ერთი კვ./საათი ელექტროენერგიის წარმოება დაჯდება 3-3.5 ცენტი, საზღვარგარეთ გასაყიდი ფასი, რა თქმა უნდა - შეთანხმებით, მაგრამ გაცილებით უფრო მაღალი იქნება, რაც მეტად პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე. ჰესის ყოველწლიური შემოსავალი 55.07 მილიონ დოლარს მიაღწევს, დღგ-ს გათვალისწინებით - 65 მილიონ დოლარზე მეტს.

ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებას უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დატვირთვაც ექნება.

მშენებლობაზე დასაქმდება, პირველ ეტაპზე, 1000-მდე კაცი, შემდგომ 2500-მდე, მათ შორის - დევნილები, აღიზრდება ახალგაზრდა პროფესიონალთა თაობა. დასავლეთ საქართველო, უპირველესად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი გამოვა ჩიხის მდგომარეობიდან, რომელშიც აფხაზეთში კონფლიქტის გამო დღემდე იმყოფება, გამოცოცხლდება დამხმარე ინფრასტრუქტურები, აფხაზეთიდან შამოვლენ მშენებლები და სპეციალისტები, მოსახლეობა გამოვა მუდმივი ნგრევის, გაჩანაგების, პრივატიზაციის არაპოპულარული სინდრომიდან, კეთილმოეწყობა გზები, აშენდება ხიდები, სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობის ხელში გაჩნდება ცოცხალი ფული, გააქტიურდება მეწარმეობა, ვაჭრობა, მომსახურება და ასე შემდეგ.

მეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი, კერძოდ, ხუდონჰესის მარეგულირებელი ფუნქცია; მხედველობაშია ხუდონისა და ენგურის ჰესების წყალსაცავებს შორის, აუცილებლობის შესაბამისად, წყლის მასების გადანაწილება, რაც, აგრეთვე, აისახება ვარდნილჰესების კასკადზე, სადგურთა სისტემის ელგამოშვების სიმძლავრის ზრდაზე (დაახლოებით, 20-25%), მათს უსაფრთხოებაზე, თავიდან იქნება აცილებული წყალდიდობასთან დაკავშირებით ენგურის ძველი კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ურთულესი პრობლემები. აღნიშნული მდგომარეობა კიდევ უფრო გამყარდება მდინარე ენგურის ზემო წელში დაგეგმილი ახალი ჰიდროსადგურების აშენების შემდეგ.

მშენებლებსა და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხუდონჰესის ოციოდე წლის წინეთ შედგენილი პროექტი უნდა იქნეს გადასინჯული მშენებლობისა და სადგურის უსაფრთხოების, ეკოლოგიური ნოვაციების დანერგვის, ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების რევიზიის თვალსაზრისით, რაც, დამატებით 40-45 მილიონ დოლარს მოითხოვს.

მიჩნეულია, რომ სადგურის აშენებას, საქართველოს ბიუჯეტთან ერთად, დააფინანსებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ან სხვა ინვესტორი, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ პირობას - ქვეყანაში მიღებულ იქნეს კანონი უცხოური ინვესტიციების საიმედო დაცვის გარანტიების შესახებ.

მშენებლობის დასრულების შემდეგ სადგურის ექსპლუატაციას მოემსახურება 80 პროფესიონალი, საშუალო ხელფასი თითოეულზე - 250 დოლარი.

ხალხი, საზოგადოება დარწმუნებულია, რომ სულ მალე საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ ხუდონჰესის მშენებლობის დასაწყებად, სრულიად საქართველოს მოსახლეობის იმედის გასამართლებლად.

გვჯერა, რომ ხუდონჰესი გახდება სრულიად საქართველოს სახალხო მშენებლობა, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის გაბრწყინება.

*თბილისი, 22 თებერვალი, 2005 წელი*

# საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია თბილისშია

*ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების ბოლო პერიოდის ტენდენციის ფონზე, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტს გასულ წლებში დამახასიათებელი სერიოზული აჟიოტაჟი აღარ ახლავს. თუმცა, ვინც საქართველოს ეკონომიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედულია, იმისთვის ნათელია, რომ გასარკვევი საკითხები, საქართველოს ხელისუფლებასთან სსფ-ს მისიას უდავოდ აქვს.*

თამარ ხორბალაძე

გუშინ თბილისში სსფ-ს მისიის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა, აღმოსავლეთისა და შუა აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პაულო ნეუჰაუსის მეთაურობით.

საქართველოს მთავრობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან (სსფ) ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის მემორანდუმს განიხილავს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა.

მისიის ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 7 მარტამდე გაგრძელდება, პირველი შეხვედრა დაგეგმილია ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტთან ირაკლი მანაგაძესთან.

სებ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს ინფორმაციით, სავალუტო ფონდის მისიის ამჟამინდელი სტუმრობის მიზანია „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მიმდინარეობის განხილვა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების და სტრუქტურული რეფორმების საკითხების მიმოხილვა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე იმედოვნებს, რომ „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მიმოხილვა წარმატებით ჩაივლის. ამ პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს სავალუტო რეზერვების შესავსებად მიღებული ორი ტრანშის შემდეგ, წელს, ე.წ. მიმოხილვის პოზიტიურად შეფასების შემთხვევაში, დირექტორთა საბჭო მორიგი ტრანშის გამოყოფის გადაწყვეტილებას მიიღებს.

„სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" სამწლიანია და 98 მლნ SDR–ის (150,3 მლნ აშშ დოლარი) გამოყოფას ითვალისწინებს. პირველი ტრანში, 14 მლნ SDR-ის მოცულობით, ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად, 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. 14 მლნ SDR-ის (21,5 მლნ აშშ დოლარი) მოცულობის მეორე ტრანში კი სებ-ის ანგარიშზე 28 დეკემბერს ჩაირიცხა.

2005 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით, სებ-ის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა 400.14 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ორი სიტყვით

**მოსკოვი** "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი, ხუთშაბათს, დსთ-ს ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს თანათავმჯდომარედ აირჩიეს. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, დავით ონოფრიშვილი რუსეთის დედაქალაქში მიმდინარე საბჭოს სხდომას სს "რუსეთის რკინიგზის" პრეზიდენტთან გენადი ფადეევთან ერთად უხელმძღვანელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტრომ 23 თებერვალს ცენტრალური ბიუჯეტიდან 6,957 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა. როგორც პრაიმ-ნიუსს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ბიუჯეტიდან პროგრამული ხარჯების დასაფინანსებლად 34 ათასი ლარი გადაირიცხა, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების თებერვლის შრომის ანაზღაურებამ 1,567 მლნ ლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახაზინო ვალდებულებების მეექვსე აუქციონზე 25 კონკურენტული, მათ შორის, ერთი ნაწილობრივ, და ოთხი არაკონკურენტული განაცხადი დაკმაყოფილდა. როგორც პრაიმ-ნიუსს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, საანგარიშსწორებო ფასის საერთო თანხამ 1,726 მლნ ლარი შეადგინა.

აუქციონზე სულ გასაყიდად გამოტანილი იყო 2 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 5 კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილმა 30-მა განაცხადმა 36 426 ცალი სახაზინო ვალდებულების ყიდვაზე, თანხით 3,642 მლნ ლარი. **პრაიმ-ნიუსი**

# "მცირე ლიცენზიანტები" ხელისუფლებას მხარდაჭერას სთხოვენ

*მცირე ენერგოგამანაწილებელი კომპანიები ანუ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები" ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ზეწოლასა და უკანონო გადაწყვეტილებების მიღებაში ადანაშაულებენ. გუშინ რამდენიმე ენერგოგამანაწილებელმა კომპანიამ და მათი უფლებების დამცველმა სასტუმრო "მარიოტში" პრესკონფერენცია გამართეს.*

"მცირე ლიცენზიანტები" სემეკის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლითაც 21 ენერგოგამანაწილებელ კომპანიას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ლიცენზია გაუუქმდა. მათგან შვიდმა კომპანიამ ხსენებული გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

როგორც კომპანიების ადვოკატმა მალხაზ ძიძიკაშვილმა განაცხადა, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, სხვადასხვა ადმინისტრაციული ხერხებით, ლიცენზირების პირობების გამკაცრებას და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა დატოვებას ცდილობს. ამის ნიმუშად ძიძიკაშვილს ის კანონპროექტი მოჰყავს, რომელსაც ამჟამად სემეკში ამუშავებენ. ამ კანონპროექტის თანახმად, ყველა ენერგოგამანაწილებელ კომპანიას ლიცენზია ჩამოერთმევა, რომელიც წელიწადში 50 მილიონ კილოვატ-საათზე ნაკლებ ელექტროენერგიას გაანაწილებს. ადვოკატის ინფორმაციით, დღეს კომპანიები წელიწადში მხოლოდ 35 მილიონი კილოვატ-საათის განაწილებას ახერხებენ. **"თუკი სემეკი მცირე ლიცენზიანტებს მათი ბიზნესის გაფართოების საშუალებას მისცემს, შესაძლოა, მათ 50 მილიონ კოლოვატ-საათზე მეტიც გაანაწილონ,"** - განაცხადა ძიძიკაშვილმა. მისივე ინფორმაციით, რამდენიმე ენერგოგამანაწილებელმა კომპანიამ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას კარგა ხნის წინათ მიმართა განაცხადით, რათა მათი ლიცენზიის მოდიფიცირება და გაფართოება მომხდარიყო. თუმცა, სემეკს, გაურკვეველი მიზეზების გამო, მათი წინადადებები დღემდე არ განუხილავს.

ძიძიკაშვილის თქმით, როცა ენერგოსისტემის უმთავრესი პრობლემა აღრიცხვიანობის მოწესრიგებაა, სემეკი ცდილობს, შეავიწროოს ამ ბიზნესით დაკავებული კომპანიები, რომლებმაც ენერგოქაოსის პირობებში მოსახლეობის ელექტრომომარაგების მისია იკისრეს. **"დღეს მათ საკუთარი მომხმარებლები გამრიცხველიანებული ჰყავთ. მოწესრიგებული აქვთ აღრიცხვიანობა და დანერგეს გადახდის კულტურა,"** - განაცხადა ძიძიკაშვილმა.

"მცირე ლიცენზიანტები" მხარდაჭერასა და დახმარებას სთხოვენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, რადგან მიაჩნიათ, რომ დღევანდელი ქვეყნის პირველი პირებისათვის საქართველოში ლეგალური და სუფთა ბიზნესის ბედი სულერთი არ უნდა იყოს.

*24 საათი*

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

2005 წლიდან ყველა აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს. ამ გამოცდების მოდელი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნა. 2005 წლიდან მისაღები გამოცდების ჩატარებაზე ეს ორგანიზაციაა პასუხისმგებელი.

მისაღები გამოცდები საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ჩატარდება. ამ მიზნით შექმნილია 15 საგამოცდო ცენტრი - 3 თბილისში, 2 ქუთაისში, 2 ბათუმში და ა.შ.

აბიტურიენტს შეუძლია, არსებული ცენტრებიდან მისთვის ახლომდებარე და სასურველი შეარჩიოს.

პირველი მარტიდან ყველა რაიონულ ცენტრში სარეგისტრაციო სააგენტო ამოქმედდება, სულ - 73.

აბიტურიენტი მიდის სააგენტოში და შეავსებს განაცხადს, რისთვისაც მას მოუწევს აირჩიოს, ძირითადის გარდა, კიდევ ოთხი ფაკულტეტი, სადაც სურს სწავლის გაგრძელება - სულ ხუთი ვარიანტი. აირჩიოს ქალაქი, სადაც გაივლის ტესტირებას და აირჩიოს უცხო ენა ( ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა). თან უნდა იქონიოს შემდეგი საბუთები: განცხადება, ორი ფერადი ფოტოსურათი 3x4, მომსახურების ხარჯის გადახდის ქვითარი, პირადობის მოწმობის ასლი (თუ მოწმობა არ აგილიათ, მაშინ შესაბამისი ცნობა პოლიციის განყოფილებიდან), ატესტატი ან დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა, რომ მართლაც სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამამთავრებელ კლასში.

განაცხადის შევსების შემდეგ მას ხელზე მიეცემა შტრიხკოდიანი საიდენტიფიკაციო ბარათი, რომლის მეორე, ასევე შტრიხკოდიანი პირი მიდის შეფასების ცენტრში. ამ დღიდან და მისაღები გამოცდების დამთავრებამდე, ვიდრე დაანგარიშებული არ იქნება ქულები, აბიტურიენტი, შეიძლება ითქვას, შტრიხ-კოდის ამარაა და მისი სახელი და გვარი არ ფუნქციონირებს.

*24 საათი*


## აკადემიური წელი აშშ-ში უფროსკლასელებისთვის

**სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიამ"" განაახლა საერთაშორისო სასწავლო პროგრამები მოზარდებისთვის.**

**ინგლისური ენის მცოდნე უფროსკლასელებს (დაბადებულთ 3.03.1987-დან 1.08.1990-მდე) ვთავაზობთ**

**ა.წ. 9 აგვისტოდან ისწავლონ აშშ-ს სკოლებში და იცხოვრონ ოჯახებში.**

**ათთვიანი სასწავლო პროგრამის ღირებულებაა 6000 აშშ დოლარი (J-1 ვიზა, მგზავრობა, ცხოვრება, კვება, სწავლება, სამედიცინო დაზღვევა ამერიკულ კომპანიაში, საორიენტაციო კურსი ნიუ-იორკში).**

**კონკურსი ჩატარდება ა/წლის 26-27 მარტს:**
*1.ტესტირება ინგლისურ ენაში,*
*2. უნარ-ჩვევების შემფასებელი ტესტი.*

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ა/წ. 15 მარტამდე უნდა წარმოადგინონ** ***მშობლების განცხადება (ფინანსური გარანტიებით), ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი 3X4,*** **"მსოფლიო ლაბორატორიის" ოფისში, დ.უზნაძის ქ. N 2, 11-დან 16 საათამდე. ტელ: 95-63-36. ელ-ფოსტა: wolabge@yahoo.com**


ჯარი

# მუხროვანის ინციდენტის სათავე

პირველი გვერდიდან

ჯარისკაცების პროტესტის გარდა, დეკემბრის თვეში კიდევ ერთი მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით: ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ სამხედრო ომბუდსმენი ირაკლი სესიაშვილი ჯარისკაცებთან შესახვედრად არ შეუშვეს, რაც კანონით აკრძალულია.

არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ინციდენტიდან მეორე დღეს, როცა ჯერ მოკვლევაც კი არ იყო დაწყებული (ანუ არავინ იცოდა, სინამდვილეში, რის გამო დატოვეს ჯარისკაცებმა დისლოკაციის ადგილი. დასაზუსტებელი იყო, ნამდვილად მძიმე სოციალურ პირობებში იმყოფებოდნენ თუ არა ისინი), პრეზიდენტი სააკაშვილი, ძალოვანი უწყების პირველი პირები, შინაგანი ჯარების მაშინდელი სარდალი საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ინციდენტში მონაწილე და მასზე პასუხისმგებელი ყველა პირი მკაცრად დაისჯებოდა. გენერალ-ლეიტენანტი თავთუხაშვილი მოვლენებს წინ უსწრებდა და აღნიშნავდა, რომ ეს იყო მის წინააღმდეგ განხორციელებული პროვოკაცია, რომელიც **"გარკვეული ძალების ხელშეწყობის გარეშე ვერ მოხდებოდა".** ხელისუფლების წარმომადგენლები და თვით სახალხო დამცველის მოადგილე ბათუ ახალაია მუხროვანიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს "დეზერტირებს" უწოდებდნენ. ცალკე მსჯელობის საგანია, რატომ ჩაერთო გამოძიებაში უშიშროება.

**"სამართლებრივად ეს ადამიანები არც თვითდათხოვნაში იმყოფებოდნენ და არც დეზერტირები იყვნენ, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ვადები დარღვეული არ იყო. თვითდათხოვნა იწყება ორმოცდა რვა საათიდან, ხოლო დეზერტირობა - ოცდაათი დღიდან. კვალიფიკაცია თავიდანვე არასწორი მიეცა... უნდა ჩატარებულიყო შიდა მოკვლევა და ჯარისკაცებისათვის გამოეყენებინათ დისციპლინარული სასჯელი, თუ დავუშვათ, მათი ქმედება ბრალეული იქნებოდა. საერთოდ გაურკვეველია, ვინ რას ეკითხებოდა უშიშროების სამინისტროს, რომლის საგამოძიებო ნაწილიც ჩაერთო საქმეში,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ყოფილმა სამხედრო ომბუდსმენმა, ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელმა ირაკლი სესიაშვილმა, - **წესით, ამ საქმეს ვერავინ გამოიძიებს. თუ შიდა მოკვლევის შედეგად სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს აღმოაჩენდნენ, ვთქვათ, იგივე კორუფციასთან ან ამბოხთან დაკავშირებით, მაშინ საქმე უნდა გადაეგზავნათ გენერალური პროკურატურისათვის."**



*2004 წლის 20 დეკემბერს მუხროვანის ნაწილიდან ჯარისკაცების გაპარვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კადრში უკანა პლანზე ყოფილი სამხედრო დამცველი ირაკლი სესიაშვილი.*

სესიაშვილი ინციდენტის პირველი დღიდანვე აცხადებდა, რომ საკუთარი თვალით ნახა, რომ მუხროვანში ჯარისკაცები მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები, მოგეხსენებათ, საპირისპიროს ამტკიცებდნენ, თუმცა, მუხროვანში წყლის და გათბობის პრობლემა რომ არსებობდა, ამას ვერც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლები და ვერც შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა უარყოფდა.

ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, როგორც კი საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების მიმართ გაჩნდა მოთხოვნა, სრულყოფილად შეესწავლა ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობები, ხელისუფლება საქმის მიჩქმალვას შეუდგა: **"წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნებოდა კორუფციის შემთხვევები, რომელთა გამომზეურება ხელისუფლებას, ბუნებრივია, არანაირად არ აძლევს ხელს. აქედან გამომდინარე, "ამბოხებულ ჯარისკაცებზე" გამოძიების მხრიდან ზეწოლა შესუსტდა და დღეს მათ უკვე აღარავინ აწუხებს** (შეგახსენებთ, რომ იგივე სესიაშვილი დეკემბრის თვეში აცხადებდა, რომ უშიშროებამ რამდენიმე ჯარისკაცის "დამუშავება" მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი იყო, რომ რამდენიმე ჯარისკაცმა, რომელიც მანამდე პროტესტის მიზეზად მძიმე სოციალურ პირობებს ასახელებდა, უშიშროებაში მოხვედრის შემდეგ, ჩვენება გადათქვა). **ჯარისკაცებს ყოველმხრივ გაუუმჯობესეს საყოფაცხოვრებო პირობები," - ასე განმიცხადეს ჯარისკაცებმა, რომელთაც ერთ დროს მკბენარები აწუხებდათ,"** - დასძინა ირაკლი სესიაშვილმა.

"24 საათი" მუხროვანში მყოფი ჯარსკაცის რამდენიმე მშობელს დაუკავშირდა. **"ჩვენი შვილები კარგ პირობებში იმყოფებიან, მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა,"** – ირწმუნებიან მშობლები და ხაზგასმით გვთხოვენ, რომ მათი გვარ-სახელები გაზეთში არ გამოვწეროთ...

ჩვენი ინფორმაციით, ინციდენტის მონაწილე ჯარისკაცებიდან ზოგიერთი ისევ მუხროვანში დააბრუნეს, დანარჩენები კი სხვადასხვა ნაწილებში გადაგზავნეს. საინტერესოა, რამდენად ინფორმირებული იყვნენ სახალხო დამცველის აპარატში ამის შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მათ "ობიექტური მიზეზების გამო" (ობიექტურ მიზეზებში აპარატში მიმიდინარე რეორგანიზაცია იგულისხმება) ვერ მოახერხეს **"მოვლენებისადმი თვალყურის დევნება".** ერთი რამ, რაც აქ დაბეჯითებით განგვიცხადეს, ის გახლავთ, რომ ამ ჯარისკაცების მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული.

ვინაიდან მუხროვანის საქმეს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი იძიებს, "24 საათი" შეეცადა კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად ხსენებულ უწყებას დაკავშირებოდა. როგორც ორი გაერთიანებული უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ მოგვახსენა, **"საქმე გამოძიებაშია და გამოძიების დასრულებამდე არანაირი კომენტარი არ გაკეთდება."**

**"თქვენ გეტყვიან, რომ გამოძიების პროცესი მიმდინარეობს და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოგბეზრდებათ შეკითხვის დასმა ამ უწყებისთვის... თუ მოკვლევა სამართლიანად და სრულყოფილად ჩატარდება, ამ ბიჭების ბრალეულობა ვერ გამოიკვეთება. სამაგიეროდ, გამოიკვეთება ხელმძღვანელობის ბრალეულობა კორუფციაში... თავიდანვე ამის დაფარვისკენ მიდიოდა საქმე. ხელისუფლება ცდილობდა, რამდენიმე ორგანიზატორი-ჯარისკაცისათვის "შეეტენა" ყველაფერი,"** - ირაკლი სესიაშვილის ამგვარი მოსაზრება საზოგადოების განწყობასაც ემთხვევა.

მიუხედავად ახალი ხელისუფლების მიერ არმიის დაფინანსების გაზრდისა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ დღეს ჩვენი ჯარისკაცების სოციალური პრობლემები საბოლოოდ გადაჭრილია. ამას ზოგჯერ არც ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფენ. თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, ე. წ. შესყიდვების და საფინანსო სისტემაში ჯერ კიდევ "არსებობს ხარვეზები". მისივე განმარტებით, "არ არის გამორიცხული კორუფციული მომენტები ადგილებზე". სხვათა შორის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ თანაბარი დაფინანსების პირობებში, ჯარიკაცების განსხვავებულ სოციალურ პირობებში აღმოჩენა ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალია. ნაწილობრივ, ამავე მიზეზით ხსნიან მუხროვანის ფაქტსაც.

ჯარისკაცთა სოციალურ პრობლემებზე საუბრისას სამხედრო საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის "ასოციაცია სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენლები უარყოფით კონტექსტში იხსენიებენ უმაღლესი მთავარსარდლის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულებას - "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ": **"წარმოდგენილი ბრძანებულებით, ყველა აქამდე არსებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიებს ეხებოდა, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. ამის გამო, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამსახურს სასაზღვრო ძალებში გადიან, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათთვის გაუქმებულია აქამდე არსებული სოციალური დაცვის ყველა გარანტია."**

ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, უმაღლესმა მთავარსარდალმა ოფიცერთა, კაპრალთა და სერჟანტთა შემადგენლობის ყოველთვიური სასურსათო ულუფა უცვლელი დატოვა. **"გაზრდილი ფასების პირობებში, ფაქტობრივად, ულუფა შემცირდა. აღნიშნული ულუფა საერთო საჯარისო შემადგენლობისთვის განისაზღვრა 59 ლარით, რითაც ოფიცრებს ამ თანხაში, მთავარსარდლის ბრძანებულების თანახმად, უნდა მოუვიდეთ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა შეძენასაც, საბაზრო ფასების მიხედვით, სულ მცირე, 115 ლარი სჭირდება."**

და კიდევ ერთი საკითხი, რაც უშუალოდ უკავშირდება ქართულ ჯარში არსებულ ნებისმიერ პრობლემას. სამხედრო ექსპერტები და სამხედრო საკითხებზე მომუშავე არსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად მიუთითებენ დღევანდელი ძალოვანი უწყებების, განსაკუთრებით კი თავდაცვის სამინისტროს ჩაკეტილობაზე, საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობაზე. **"თუ საზოგადოებრივი კონტროლი არ გაძლიერდა, არმიაში, თავდაცვის სისტემაში თავს იჩენს პრობლემები და კორუფციული ფაქტები," -** შენიშნავენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომელთა აზრითაც, ამის ნათელი მაგალითია მუხროვანის დემარში. **"რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ არმიაში ცვლილებები გაატარა და ჯარიკაცებს ყოფითი პირობები გაუუმჯობესდათ. მაგრამ როგორც კი საზოგადოებრივი კონტროლი მოდუნდა, დროის სულ მცირე მონაკვეთში, სამწუხარო შედეგი მივიღეთ მუხროვანის ინციდენტის სახით. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი საზოგადოების მხრიდან კონტროლის გაძლიერებაა,"** – ამბობს ირაკლი სესიაშვილი.


GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით ქ. წალკის წყალსადენის შედა ქსელის რეკონსტრუქცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქ. წალკის განვითარების სათემო კავშირთან "წალკის თემი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "წალკის თემი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, წალკის რაიონი,

რაიონის გამგეობის შენობაში.

საკონტაქტო პირი ჯემალ ვანაძე, სათემო კავშირი "წალკის თემი"-ს თავმჯდომარე

**2005 წლის 25 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 300 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, წალკის რაიონი,

რაიონის გამგეობის შენობა,

საკონტაქტო პირი **ჯემალ ვანაძე**, სათემო კავშირი "წალკის თემი"-ს თავმჯდომარე

**2005 წლის 29 მარტის 15 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **წალკის რაიონის სოფ. ბაშქოის ახალგაზრდობის ცენტრის** რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **წალკის რაიონის სოფ. ბაშქოის** განვითარების სათემო კავშირთან **"ბაშქოი-2004"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბაშქოი-2004"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, წალკის რაიონი,

სოფ. ბაშქოის გამგეობის შენობა.

საკონტაქტო პირი **კონსტანტინე ხორგუანი**, სათემო კავშირი "ბაშქოი-2004"-ს თავმჯდომარე

**2005 წლის 28 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1200 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, წალკის რაიონი,

სოფ. ბაშქოის გამგეობის შენობა,

საკონტაქტო პირი **კონსტანტინე ხორგუანი**, სათემო კავშირი **"ბაშქოი-2004"**-ს თავმჯდომარე

2005 წლის 29 მარტის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

საქართველოში "ბი-პი"-ს საქმიანობის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):
■ უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
■ ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
■ ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
■ ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
■ საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
■ უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
■ უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
■ კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

# ქუთაისის მერიის კორუფციულ საქმიანობას ფინანსური პოლიცია და კონტროლის პალატა ამოწმებს

ბექა სისაური
ქუთაისი

*იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მიერ გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას ქუთაისში არაერთგვაროვნად აფასებენ. ზოგი მის გადადგომას პრესაში დაბეჭდილ სკანდალურ ფოტოსურათებს უკავშირებს (სააბანოო კარნავალზე გეწაძე, ქუთაისის მერი და სხვა ჩინოვნიკები ქამარზე მომშულ საწყრე კალმების ბოთლში ჩადებას ცდილობენ), ზოგიც - ქუთაისში უწყალობის გამო ატეხილ აჟიოტაჟს.*



*ქუთაისის ვიცე-მერი კორუფციულ ბრალდებებს უარყოფს.*

ქუთაისში იმასაც მიუთითებენ, რომ მუშაობის 5-თვიანი პერიოდის განმავლობაში რწმუნებულმა ქუთაისში არსებული კლანურ-კორუფციული სისტემის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და ამიტომაც წავიდა. არსებობს კიდევ ერთი ფაქტი რამაც შესაძლოა, ეს ვარაუდები გაამყაროს. კერძოდ, გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, გია გეწაძემ ქუთაისის ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრება და დახმარება სთხოვა. საქმე ისაა, რომ წელს ქუთაისში გზებისა და ფასადების შესაკეთებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან და მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების პროექტიდან 11 მილიონი ლარი გამოიყო. რწმუნებულმა ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მერიას არ ენდობოდა და მათ კომისიაში შესვლა და თანხების კონტროლის განხორციელებაში დახმარება სთხოვა. აღნიშნული თანხის განკარგვის სატენდერო კომისიას იგი თავად უნდა ჩადგომოდა სათავეში. სატენდერო კომისიის დაკომპლექტების დღეს კი გაირკვა, რომ რწმუნებულმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

არადა, რწმუნებულს მერიის მაღალჩინოსნების მიმართ უნდობლობის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. ქუთაისში რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, საქმედ დაინტერესებული გამოდგა. მომრავლდა მერიის მაღალჩინოსნების სახლებში ძვირადღირებული ევრორემონტების კეთება, ასევე, მათ მიერ ძვირადღირებული ავტომობილების და სახლების შეძენა.

უფრო მეტიც, ქუთაისში უკვე ჩამოყალიბდა ახალი კორუმპირებული სისტემა, რომელიც შევარდნაძისეულისაგან, მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თანხებს "ზემოთ" აღარ უზიდიან და არაოფიციალურ შემოსავალს ქვედა რგოლების წარმომადგენლები მთლიანად ჯიბეში იდებენ. **"მუშაობის 9 თვის თავზე ქუთაისის მერიაში არაორგანიზებულობა, უპასუხისმგებლობა, კორუფცია და დაუსჯელობის სინდრომი ჭარბობს,"** – ასე აფასებენ მერიის მუშაობას მოსახლეობაში. პირველი, ვისი რეპუტაციაც ქუთაისში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ვიცე-მერი გივი ჯიბლაძეა. კერძოდ, გასული წლის განმავლობაში მის ოჯახს "მერსედესის" მარკის მანქანა შეემატა, ხოლო ახლახან, 9 თებერვალს, ჯიბლაძეს ამერიკიდან 2003 წელს გამოშვებული მეორე ავტომობილი, ჰიუნდაი "ელანტრა" ჩამოუვიდა. ამავე დროს, მეზობლების განმარტებით, ჯიბლაძეებმა საცხოვრებელ სახლში ევრორემონტი ჩაატარეს. ასევე საუბრობენ საფიჩხიაზე ძვირადღირებული საკუთარი სახლის შეძენაზეც. თუმცა, სანამ აღნიშნული ქონების შეძენის წყაროებზე ვისაუბრებდეთ, გივი ჯიბლაძის წარსულიდან ერთ მონაკვეთს შეგახსენებთ. "24 საათმა" მოიპოვა მასალები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1992 წელს, ჯიბლაძის მიმართ, განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმეც კი იყო აღძრული. მაშინ ჯიბლაძე 16 წლის იყო, დაზარალებული კი 66 წლის ქალბატონი. გივი ჯიბლაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე N 4192101 ქუთაისის პოლიციაში 1992 წლის 6 თებერვალს აღიძრა, თავდაპირველად - ლოლა ნიქაბაძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე. მოგვიანებით, აღნიშნული დანაშაული აფექტის საფუძველზე მკვლელობის მცდელობად გადაკვალიფიცირდა. დაზარალებულ ლოლა ნიქაბაძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ 1992 წლის 5 თებერვალს, საღამოს, მეზობელი გივი ჯიბლაძე მასთან სახლში მივიდა და განაცხადა: თქვენმა რძალმა შემოგითვალათ, ტყავის ქურთუკი გამოგატანოსო. ლოლა ნიქაბაძემ მეზობლისთვის ქურთუკის გატანება მოინდომა, თუმცა, ამ დროს მას ჯიბლაძემ მაგარი საგნით ცემა დაუწყო. **"გივი ჯიბლაძემ საწოლიდან ჩამოხსნა გადასაფარებელი და პირში ჩამიტენა, რომ დავეხრჩვე და გავეგუდე. იგი თითებით მჩრიდა პირში გადასაფარებელს. შემდეგ შემატყო, რომ ასე ვერ მომკლავდა და დამანება თავი, შევარდა სამზარეულოში, საიდანაც ძვლისტარიანი დანა გამოიტანა. წაქცეულს დანით მომვარდა და რამდენჯერმე დამისვა, გამეჭრა ყელი, ვფიქრობდი, რომ თავს მომჭრიდა. შემდეგ დანა დამარტყა მუცელში, მაგრამ ბევრი მეცვა და ტანსაცმელი ვერ გამიჭრა, დანის პირი კი გადაილუნა,"** - აცხადებდა დაზარალებული. მოგვიანებით, ჯიბლაძემ ნიქაბაძის ყვირილზე შემოსული მეზობელიც დაჭრა. ეს ფაქტი 1992 წლის 6 თებერვალს მოხდა, 25 თებერვალს ჯიბლაძე პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა. 27 თებერვალს კი მაშინ მოქმედმა საქართველოს სამხედრო საბჭომ ამნისტია გამოსცა, რომელიც აფექტის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის მცდელობის მუხლით ბრალდებულების გათავისუფლებასაც ითვალისწინებდა. ჯიბლაძეს ამნისტია შეეხო და ციხიდან გათავისუფლდა. ქუთაისის ვიცე-მერი აღნიშნული ფაქტის კომენტარისაგან თავს იკავებს, ამიტომაც ჩვენი მცდელობა, მისგან კომენტარი მიგვეღო, უშედეგოდ დასრულდა.

ჯიბლაძე ქუთაისის მერიაში არასამთავრობო სექტორიდან მოვიდა. იგი ყოფილი მერის, ნუგზარ ფალიანის გადაყენების მოთხოვნით გამართულ აქციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მოგვიანებით, ვიცე-მერად დაინიშნა. სამწუხაროდ, ჯიბლაძეს სწორედ ის სფეროები ჩააბარეს, რომლებშიც ოდითგანვე დიდი ფული კეთდებოდა. **"ჩემი კორუმპირებულობის შესახებ ჭორები ვრცელდება, რომელსაც გარკვეული ჯგუფები შეგნებულად ავრცელებენ. მაქვს ინფორმაცია, საიდან უნდა მოდიოდეს ეს, მაგრამ დასახელებისაგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ,"** – აცხადებს ჯიბლაძე.

დაუზუსტებელი, მაგრამ ქუთაისში გავრცელებული ინფორმაციებით, სხვადასხვა სახის შესაკეთებელი სამუშაოების ჩასატარებლად ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხების განაწილებისას ვიცე-მერი წილს ითხოვდა. როგორც ამბობენ, თავდაპირველად - 10 პროცენტს, ამჟამად კი - 30 პროცენტს. გავრცელებული ინფორმაციის დასამტკიცებლად, ქუთაისლებს ქალაქში შარშან დაგებული გზები მოჰყავთ, რომლის უმეტესობაც უკვე აყრილია. ეჭვს აღრმავებს ისიც, რომ გზების დამგები ფირმების შესარჩევად ტენდერი კანონის თანახმად არ ჩატარებულა. **"ასფალტის ხარისხიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნა ჩემი ინიციატივით მოხდა. მათ წერილობით დაგვიდასტურეს, რომ ასფალტი არ ვარგა. სამუშაოებს ხელახლა შეასრულებენ, არადა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს მივმართავ,"** - აცხადებს ჯიბლაძე. "24 საათმა" აღნიშნული კომისიის შემადგენლობა შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ გზების ხარისხიანობის შემსწავლელ კომისიას თავად ჯიბლაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრები იმ საგზაო ფირმების ხელმძღვანელები იყვნენ, ვინც გზები შეაკეთა. **"დიახ, კომისიის წევრები იმ ფირმების ხელმძღვანელები იყვნენ, ვინც გზები შეაკეთა. ეს იმიტომ მოხდა, რომ უვარგისი გზა თავისი თვალით ენახათ. ისინი დაგვპირდნენ, რომ ყველაფერს ხელახლა გააკეთებდნენ,"** - აცხადებს ჯიბლაძე.

რაც შეეხება ჯიბლაძის მიერ შეძენილ ახალ ქონებას, იგი განმარტავს, რომ "მერსედესი" მამამისმა ვაზ-099-ის გაყიდვის შემდეგ შეიძინა, ხოლო "ჰინუდაი ელანტრა" კი იაფად, 3 ათას 500 დოლარად მის ძმას ამერიკიდან ჩამოუვიდა, ამჟამად დაზიანებულ მდგომარეობაშია, აკეთებს და გაყიდვას აპირებს. **"სახლები მაქვს მხოლოდ თამარ მეფის და გუგუნავას ქუჩებზე, სოფლებში კი სამი სახლი მაქვს. რაც შეეხება მანქანებს, ჩემს ოჯახს ავტომობილები სულ ჰყავდა, ერთ-ერთი პირველი უცხოური ავტომობილი ქუთაისში მამაჩემმა შემოიყვანა,"** - განმარტავს იგი.

ჯიბლაძის ინიციატივას უკავშირდება ქუთაისის მიკროავტობუსებისათვის სახურავების ყვითლად შეღებვის მეტად უცნაური იდეაც, რომელიც მძღოლებს 50 ლარი დაუჯდათ, თუმცა, ამ იდეის აბსურდულობას, ეტყობა, ბოლოს მიხვდნენ და მიკროავტობუსების სახურავების შეღებვა შეაჩერეს. მოსახლეობაში ეჭვს იწვევს ბაღებისა და სკვერების აღსადგენად გამოყოფილი ზედმეტად გაბერილი თანხებიც. სულ, ქალაქის კეთილმოწყობისათვის შარშან ბიუჯეტიდან 2 148 000 ლარი დაიხარჯა, გაკეთებული გზები კი ხელახლაა დასაგები, შენობების ფასადები მხოლოდ რამდენიმე სახლზე შეკეთდა. რაც შეეხება ბაღებსა დ სკვერებს, მხოლოდ ორი თუ სამი შეკეთდა და მასზეც რეალურზე მეტი თანხაა დახარჯული. მაგალითად, რუსთაველის ქუჩაზე არსებული ბაღის აღდგენისათვის 26 ათასი ლარი გამოიყო. ექსპერტების განმარტებით, იქ გაცილებით ნაკლები ოდენობის თანხის სამუშაოებია შესრულებული. დანარჩენი თანხის ბედი უცნობია. მიუხედავად ამისა, მერიაში აცხადებენ, რომ ბაღის აღდგენა ზუსტად 26 ათასი ლარი დაჯდა. თუმცა, ქუთაისში დარჩა უამრავი მოუვლელი სკვერი, რომლისთვისაც ხელი არავის უხლია. მაგალითად, ბუხაიძის ქუჩაზე სამი სკვერია, უკვე 10 წელია, არც ერთი არ განუახლებიათ. არადა, მწვანე საფარის მოვლისათვის ბიუჯეტში 137 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. რაში დაიხარჯა ეს თანხები, უცნობია. ეჭვს იწვევს ბიუჯეტის სხვა თანხების მიზნობრივი განკარგვაც. მაგალითად, შარშან საგზაო ნიშნების დამონტაჟებისთვის ქუთაისში 62 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, ამ თანხით ქალაქში მხოლოდ ხუთი შუქნიშანი ამუშავდა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ქუთაისის მერიის მიერ ბიუჯეტის თანხების საეჭვო განაწილებისა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გარდა, ქუთაისში კორუფცული შინაარსის ინფორმაციები ინტენსიურად ვრცელდება ქალაქის საფინანსო სამმართველოს, კეთილმოწყობის სამსახურისა და ადმინისტრაციული ინსპექციის მიმართ. "24 საათი" აღნიშნულ ფაქტებზე მასალას უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.

სამწუხაროდ, გია გეწაძის მხრიდან არ ყოფილა მცდელობა, თვითმმართველობა კორუმპირებული კადრებისგან გაენთავისუფლებინა. ქუთაისში მიაჩნიათ, რომ გეწაძემ მათთან დაპირისპირებას გადადგომა ამჯობინა. **"როგორც ჩანს, რწმუნებული შინაგანად პატიოსანი ადამიანი იყო და მერიის კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან დაპირისპირებას წასვლა ამჯობინა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისელმა დიმიტრი ტუკვაძემ. ამჟამად, ქუთაისის მერიაში შესამოწმებლად ფინანსური პოლიცია და კონტროლის პალატაა შესული. საფინანსო პოლიციის ხელმძღვანელობა რამდენიმე დღეში სკანდალური ფაქტების გამომჟღავნებას გვპირდება.

# ასლან აბაშიძის კაბინეტში მომხდარი მკვლელობის გამოძიება ორ კვირაში განახლდება

*სულ რაღაც ორ კვირაში, გენერალური პროკურატურის გამომძიებლები, 1991 წელს, ასლან აბაშიძის მისაღების დერეფანში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიებას განაახლებენ. თავად პროკურატურის წარმომადგენლების ვარაუდით, საქმე, რომელშიც აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე ამჟამად დაზარალებულად ფიგურირებს, საბოლოოდ, მისთვის განზრახ მკვლელობის ბრალდების წარდგენით შეიძლება დასრულდეს.*

გავრცელებული ხმების თანახმად, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნოდარ იმნაძე საკუთარ კაბინეტში თავად ასლან აბაშიძემ მოკლა. თუმცა, არ არის გასაკვირი, რომ თავის დროზე, გამოძიება ტენდენციურად წარიმართა და აჭარის სამართალდამცველ სტრუქტურებში შექმნილი ვერსიის თანახმად, ნოდარ იმნაძე, რომელიც ასლან აბაშიძეს კაბინეტში შეიარაღებული შეუვარდა, აუცილებელი მოგერიების საჭიროებიდან გამომდინარე, გააუვნებელყვეს.

გამოძიების მიერ ოფიციალურად გამოცხადებული ვერსია იმთავითვე მიუღებელი და დაუჯერებელი იყო მოკლული ნოდარ იმნაძის ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც წლების მანძილზე ცდილობდნენ გაერკვიათ, რა ბედი ეწია მკვლელობის საქმეს, თუმცა, გამოძიების მასალები მათთვის კარგა ხანი მიუწვდომელი გახლდათ. მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ მიეცა საშუალება ნოდარ იმნაძის ქალიშვილს ნატო იმნაძეს, გასცნობოდა მამის მკვლელობის საქმის გამოძიების მასალებს, რამაც შესაძლებლობა მისცა, სასამართლოში ეძებნა სამართალი. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შეტანილი სარჩელით, ნატო იმნაძე იმ დადგენილების გაუქმებას ითხოვდა, რომლის თანახმადაც, ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმის გამოძიება შეწყვეტილი გახლდათ მკვლელობის მოტივის, ანუ იმის გამო, რომ მკვლელობა თითქოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოხდა. დადგენილების გაუქმებასთან ერთად, მოსარჩელე მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას ითხოვდა. მიუხედავად ასლან აბაშიძის დაცვის მხარის წინააღმდეგობისა, რომლის აზრითაც საქმის ხელახლა ძიების არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ნატო იმნაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა – მართალია, მკვლელობის საქმეზე ხელახალი ძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც ყველა მოწმის ხელახლა დაკითხვასა და ყველა ექსპერტიზის ხელახლა ჩატარებას გულისხმობდა და რაც, ამდენი წლის შემდეგ, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა. თავად ნატო იმნაძე ამ გადაწყვეტილებითაც კმაყოფილია, რადგან, მისი თქმით, უკვე გამოძიებულ საქმეშიც ბევრია ისეთი მტკიცებულება, რომელიც, ასლან აბაშიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულად გამოცხადების საფუძველს ყოველგვარი გამოძიების გაგრძელების გარეშეც იძლევა.

**"აშკარაა, თავის დროზე, საქმის გამოძიება ისე მიმდინარეობდა, რომ ერთი მხრით, ასლან აბაშიძისთვის პასუხისმგებლობა აეცილებინათ, მაგრამ, თუ როდესმე მისთვის კომპრომატების წარდგენა გახდებოდა საჭირო, მკვლელობის საქმეში საამისოდაც აღმოჩენილიყო საკმარისი საბუთები. ამასთან, ისიც აშკარაა, რომ სხვადასხვა მტკიცებულებების მიჩუმათებით გამოძიება აბაშიძეს "წველიდა,"** - ამბობს ნატო იმნაძე, რომელსაც თავისი სარჩელის დაცვა უზენაეს სასამართლოშიც მოუხდა მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძის ადვოკატმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ასლან აბაშიძის ადვოკატის საჩივარი არგუმენტირებულად არ მიიჩნია და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, მით უმეტეს, რომ ამჯერად, სახელმწიფო ბრალდებაც იმნაძეების მხარეს აღმოჩნდა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ორ კვირაში გამოქვეყნდება, შესაბამისად, ორ კვირაში გახდება ცნობილი, რა მოსაზრებებით იხელმძღვანელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, როდესაც ასლან აბაშიძის დაცვის მხარის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეზე გამოძიებაც ორი კვირის შემდეგ განახლდება, თუმცა, უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ყოფილი მეთაურის ადვოკატებს მათი დაცვის ქვეშ მყოფისათვის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის სტატუსის მინიჭების აცილება გაუჭირდებათ. ამ შემთხვევაში კი, კანონი ბრალდებულზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას ითხოვს.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.......................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.......................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ყველა ჩასასვლელთან სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II" (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".


მოკლედ

## მერაბ ბერიძის სარჩელის განხილვა დღეს განახლდება

თბილისის საოლქო სასამართლოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ყოფილი რექტორის მერაბ ბერიძის ადვოკატების სარჩელს დღეს განიხილავს.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელთა განცხადებით, ბერიძის ადვოკატები რექტორის თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებას ასაჩივრებენ და ბერიძის პოსტზე დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვენ. ბერიძის ადვოკატთა განცხადებით, ყოფილი რექტორის სამსახურიდან უკანონო დათხოვნის გასაჩივრება მერაბ ბერიძის შებღალული რეპუტაციის აღდგენას ისახავს მიზნად.

სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, იმის გამო გადაიდო, რომ სასამართლოზე ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური ინფორმაცია მერაბ ბერიძის თანამდებობის შესახებ. სასამართლომ გამოძიებას მერაბ ბერიძის ზუსტი თანამდებობის დადგენა დაავალა.

ცნობისთვის: სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორს მერაბ ბერიძეს პროკურატურა უნივერსიტეტში სამხედრო კათედრის უკანონო შექმნაში ადანაშაულებს. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რაც ბერიძის ადვოკატმა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლომ 23 თებერვალს მერაბ ბერიძე სამთვიანი პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლა. **მედიანიუსი**

## ადვოკატთა ასოციაცია დამფუძნებელ ყრილობას იწვევს

26-27 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პირველ დამფუძნებელ საერთო კრებას გამართავს. საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 1200-მა ადვოკატმა გაიარა რეგისტრაცია. ყველა ადვოკატი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მანდატის საფუძველზე, დამფუძნებელი კრებაში მონაწილეობას მიიღებს, დადებს ფიცს, მიიღებს ასოციაციის წესდებას, აირჩევს თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს, ეთიკის კომისიას და სარეზერვო კომისიას. საერთო კრების პირველი დღე მიეძღვნება ფიცის დადების ცერემონიალს, მეორე დღეს კი ჩატარდება არჩევნები.

ადვოკატთა ასოციაციის პირველ შეკრებას იუსტიციის საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, ევროპის საბჭოს საგანგებო მდივნის წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი მაიკლ გრეკო და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან.

საქართველოს ადვოკატთა კანონის შესაბამისად, ადვოკატი შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატის ტესტირება, დადებული აქვს ადვოკატის ფიცი, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2003-2004 წლებში ჩაატარა ორი ტესტირება სისხლის, სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციაში, რომელიც 2061-მა იურისტმა გაიარა. ადვოკატები, რომელთაც გამოცდა არ ჩაუბარებიათ, საქმიანობას 2006 წლის ივნისამდე გააგრძელებენ, იმის მიუხედავად, არიან ადვოკატთა ასოციაციის წევრი თუ არა. 2006 წლის ივნისიდან კი ტესტირებაგავლილი ადვოკატებისათვის ასოციაციის წევრობა სავალდებულო გახდება. **პრაიმ-ნიუსი**

## ლევან კენჭაძის საქმის განხილვა განახლდება

უზენაეს სასამართლოში დღეს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის საქმის განხილვა განახლდება. დაკავებულის ადვოკატის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, სასამართლოზე ბრალდების მხარემ საკუთარი სიტყვა უნდა თქვას და კენჭაძისთვის წარდგენილი ბრალის გამო სასამართლოსგან სასჯელის ზომა უნდა მოითხოვოს. პროცესუალურად პროკურორის მოთხოვნის შემდგომ საკუთარ პოზიციას განსასჯელის დაცვის მხარე წარმოადგენს, რის შემდეგაც სასამართლო დასკვნით ეტაპზე გადავა.

ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე 2004 წლის ივნისში დააკავეს. გამოძიება მას ცენტრის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ჩამოწერას და უტილიზაციას ედავება, რითაც სახელმწიფოს 15 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიადგა. განსასჯელი ბრალს არ აღიარებს. ადვოკატებმა ბრალდების მხარეს კენჭაძისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ თანხის ანაზღაურება შესთავაზეს, რაზეც პროკურორმა უარი განაცხადა. **ინტერ-პრესი**

## პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე მოკლეს

მკვლელობა მოხდა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, სადაც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მოკლეს სოფლის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ჯენერი ცხონდია. ცხედარს გულმკერდის არეში ერთი ცეცხლნასროლი ჭრილობა აღმოაჩნდა. ცხონდია წარმოშობით ჩხოროწყუს რაიონიდან იყო, ეცერში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, იქ, სადაც მკვლელობა მოხდა. გატაცებულია მისი კუთვნილი ტაბელური იარაღი.

სამართალდამცველები მკვლელობის შესაძლო მოტივებზე ჯერ არ საუბრობენ, თუმცა გამორიცხული არ არის, ფაქტი პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს ექსპერტ-კრიმინალისტებმა, ამოღებულია იმ იარაღის ტყვიის მასრები, რომლითაც ცხონდიას მკვლელობა მოხდა. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ადრე ნასამართლევი, 22 წლის ალექსანდრე ო. მეტსახელად საბრინა, იგივე ანა მაისურაძე, რომელიც 17 თებერვალს ღამის საათებში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი გაეცნო 32 წლის ვ. ჩ-ს, რომელსაც გარკვეულ საფასურად მოელაპარაკა ინტიმურ მომსახურებაზე, რის შემდეგაც, მივიდნენ სასტუმრო „კოლხეთში", სადაც ალექსანდრე ო-მ პარტნიორს „კოკა-კოლაში" ჩაუყარა საწამლავი. უგონო მდგომარეობაში მყოფი ვ.ჩ. მეორე დღეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს აღმაშენებლის ხეივნის ბოლოში, ტყეში. მისგან გატაცებული იყო 250 ლარი და მობილური ტელეფონი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ისრაელის მოქალაქე იოსებ ბუნტური დააკავეს, რომელსაც საქართველოდან ევროპაში არალეგალური მიგრანტები გადაჰყავდა. იოსებ ბუნტური, ისრაელიდან ჩამოტანილი ყალბი პასპორტებით მიგრანტების ევროპაში გადაყვანას აწარმოებდა. სამართალდამცველებმა თბილისის აეროპორტში, საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის დროს, ისრაელის მოქალაქეების ყალბი პასპორტებით დააკავეს მარნეულში მცხოვრები მამა-შვილი – მარინა და დავით ნასყიდაშვილები. ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 22 წლის გიორგი ბერიანიძე, რომელიც გორის საავადმყოფოსთან ახლოს მდებარე სამთო-ნაკეთობათა საწარმოს დარაჯის, 58 წლის ალექსანდრე თავაძის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მიმდინარეობს მუშაობა მკვლელობის თანამონაწილეთა დასაკავებლად. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** სამართალდამცველებმა სარფის სასაზღვრო პუნქტზე დააკავეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების შემოტანაში ეჭვმიტანილი, თბილისში მცხოვრები, 32 წლის როზა გოგსაძე. მას თურქეთიდან 142 გრამი ჰეროინი შემოჰქონდა. შინაგან საქმეთა აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, დაკავებულს თავისუფლების უვადო აღკვეთა ემუქრება. თავად ეჭვმიტანილი დუმილის უფლებას იყენებს. **მედიანიუსი**

საია GYLA Georgian Young Lawyers' Association

# სად და როგორ უნდა აიღოთ პირადობისა თუ დაბადების მოწმობები და რა დაგიჯდებათ იგი

## საკანონმდებლო სიახლეები

### რა არის სამოქალაქო რეესტრი?

ალბათ, თქვენთვის დღესაც არ არის ცნობილი, თუ რა სახელწოდება და იურიდიული სტატუსი აქვთ ე.წ მმაჩის ბიუროებსა და საპასპორტო მაგიდებს, ვის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ისინი და საქართველოში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, რა დადებითი ნაბიჯები გადაიდგა ამ კუთხით. სამოქალაქო აქტების, ანუ დაბადების, ქორწინება-განქორწინების, გარდაცვალებისა და ა.შ. რეგისტრაციის, ასევე, პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის საკითხებზე მომუშავე ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო სიახლეები განხორციელდა, რამაც ამ სტრუქტურებთან მოქალაქეების ურთიერთობის წესები უნდა შეცვალოს, ხელი შეუწყოს ბიუროკრატიისა და კორუფციის აღმოფხვრასა და ამ სფეროში სახელმწიფოს ეფექტური მომსახურება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს.

2004 წლის 15 ნოემბრიდან ძალაში შევიდა ძსახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც შვიდი სახის სახელმწიფო რეესტრი ჩამოყალიბდა: სამოქალაქო რეესტრი, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების), ლიცენზიებისა და ნებართვების, მაკონტროლებელ ორგანოთა, ნორმატიული აქტებისა და საჯარო რეესტრი.

სახელმწიფო რეესტრის ჩამოყალიბების მიზანია სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციის ერთი უწყების ადმინისტრირების სფეროში მოქცევა. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს **სამოქალაქო რეესტრი,** რომელიც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, თავს მოუყრის სწორედ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას. სწორედ სამოქალაქო რეესტრის ჩამოყალიბებისათვის გახდა აუცილებელი, რომ ეს ორი სფერო გაერთიანებულიყო.

დღესდღეობით, არათუ მმაჩის ბიუროები ან საპასპორტო მაგიდები, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურები და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებიც (სარო - ე.წ. ძმმაჩის" ბიუროები) კი არ არსებობენ. სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები**, რომლებიც აერთიანებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურებსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს, აწარმოებენ სამოქალაქო რეესტრს და შესაბამისად, ახორციელებენ: საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ადამიანების რეგისტრაციას, პირადობის დადასტურებასა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას (დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და ა.შ. აქტების რეგისტრაციას).

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების მიერ პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემა ხდება იქ, სადაც განლაგებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურები, ე.წ. საპასპორტო მაგიდები. ადგილმდებარეობა არ შეუცვლია, აგრეთვე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებსაც.

სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად გამარტივდა მიმართვის პროცედურები ზემოთ მითითებულ მარეგისტრირებელ ორგანოებში, შემცირდა და, რიგ შემთხვევაში, გაუქმდა კიდეც ამა თუ იმ მომსახურებისთვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი.

შევეცდებით, მოკლედ დავახასიათოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოებისთვის მიმართვისა და სათანადო დოკუმენტების მიღების პროცედურა და განვიმარტოთ ამ მოქმედებებთან დაკავშირებული ხარჯები და ვადები.

### საქართველოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხოელთა პირადობის დადასტურება და რეგისტრაცია

**პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა**

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო ბინადრობის მოწმობა კი საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. აღნიშნული დოკუმენტების გაცემას ახორციელებენ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები** (წარსულში ე.წ. საპასპორტო მაგიდები).

**პირადობის მოწმობის** მისაღებად ან შესაცვლელად პირი ვალდებულია, მითითებულ ორგანოში წარადგინოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ორი ფოტოსურათი, ხოლო, თუ წარდგენილი დოკუმენტი არ ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას - აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი.

**ბინადრობის მოწმობის** მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი საბუთი, ორი ფოტოსურათი და საქართველოში კანონიერად ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი.

**საქართველოს მოქალაქის პასპორტი** არის საქართველოს მოქალაქის პირადობისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეზე, რომელმაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს:

**ა) განცხადება –ანკეტა (ანკეტა გაიცემა მარეგისტრირებელ ორგანოში);**

**ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;**

**გ) 3 ფოტოსურათი.**

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო პირადობის მოწმობას, ბინადრობის მოწმობასა და საქართველოს მოქალაქის პასპორტს გასცემს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემისათვის ან შეცვლისათვის დაწესებულია სახელმწიფო ბაჟი ერთი ლარისა და ორმოცდაათი თეთრის ოდენობით, ბინადრობის მოწმობის გაცემისათვის - 15 ლარი, ხოლო საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის - 35 ლარი.

### საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაცია

რეგისტრაციის მიზანია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. რეგისტრაცია არის პირის ვალდებულება, მის მიერვე არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე დაფიქსირდეს, როგორც მუდმივად მაცხოვრებელი. საქართველოში რეგისტრაციის ინსტიტუტი უკვე მიბმულია პირადობის დადასტურებასთან და პირადობისა და რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა ერთი დოკუმენტის სახით.

საქართველოში მცხოვრებ პირთა (საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები) რეგისტრაციასა და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები**.

რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარმოადგინოს:

**ა) განცხადება;**

**ბ) პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;**

**გ) საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის (აქ, ძირითადად, იგულისხმება არაპრივატიზებული ბინები) დამქირავებლის წერილობით თანხმობას - საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე.**

საქართველოში მცხოვრები პირი საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას ვალდებულია, 10 დღეში აცნობოს ეს ფაქტი იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც 5 დღეში გაატარებს მას რეგისტრაციაში.

პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, მისამართის მითითების გარეშე გაივლის რეგისტრაციას იმ ადგილის მიხედვით, სადაც იმყოფება. ასეთი პირი ვალდებულია, 6 თვეში ერთხელ გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ იმ ტერიტორიულ ორგანოში, სადაც რეგისტრირებულია.

რეგისტრაციისათვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი შეადგენს ერთ ლარს. ვინაიდან რეგისტრაცია და პირადობის მოწმობის გაცემა დღესდღეობით ერთობლივად ხორციელდება და გაიცემა ერთი დოკუმენტი, შესაბამისად, **რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 2. 50 ლარს**.

### სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია

**დაბადების რეგისტრაცია**

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის რეფორმის შედეგად, საქართველოში დაბადების რეგისტრაციას ახორციელებენ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები**. დაბადების რეგისტრაციას აღნიშნული ორგანო ახდენს განცხადებისა და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. ბავშვის დაბადების განცხადების ვალდებულება ეკისრებათ:

**მშობელს (მშობლებს);**

**პირს, რომლისთვისაც მშობლებს წერილობით მინდობილი აქვთ ბავშვის დაბადების განცხადება;**

**გ) სახელმწიფო ან კერძო სამშობიაროს, სხვა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს - თუ ბავშვი ამ სამედიცინო დაწესებულებაში დაიბადა ან იმყოფება;**

**დ) მშობიარობის დამსწრე პირს - თუ ბავშვი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების გარეთ დაიბადა და მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვის დაბადების განცხადება;**

**ე) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციის წარმომადგენელს - თუ ბავშვი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაიბადა;**

**ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს, თუ ზემოთ მითითებულმა პირებმა არ განაცხადეს ბავშვის დაბადების თაობაზე და ეს ცნობილი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსათვის.**

კანონმდებლობის მიხედვით, დაბადების რეგისტრაციის საფუძველია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე და ზემოთ მითითებული ერთ-ერთი პირის განცხადება.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, **თუ მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან,** დაბადების რეგისტრაციისათვის განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

**ა) ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა;**

**ბ) მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);**

**გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილება;**

**დ) მშობლების ერთობლივი წერილობითი განცხადება.**

იმ შემთხვევაში, თუ **მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან,** განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

**ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);**

**ბ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილება;**

**გ) მშობლების ერთობლივი წერილობითი განცხადება ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მამის განცხადება და სასამართლო გადაწყვეტილება მამობის დადგენის თაობაზე.**

იმ შემთხვევაში, როცა **დედა დაუქორწინებელია**, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

**ა) დედის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);**

**ბ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე;**

**გ) დედის წერილობითი განცხადება.**

**რეფორმის შედეგად, ზემოთ მითითებულმა ორგანოებმა სათანადო დოკუმენტების წარდგენისთანავე უნდა მოახდინონ დაბადების რეგისტრაცია დაუყოვნებლივ და ყოველგვარი საზღაურის გარეშე.**

### ქორწინების და განქორწინების რეგისტრაცია

ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციას ახორციელებენ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები.**

**ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭიროა:**

**ა) დაქორწინების მსურველ პირთა განცხადება;**

**ბ) პირადობის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;**

**გ) წინა ქორწინების მოშლის დამადასტურებელი საბუთი (მანამდე დაქორწინებული პირისთვის).**

**ქორწინების რეგისტრაციისა და ქორწინების მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟი ცხრა (9) ლარის ოდენობით.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები **განქორწინების რეგისტრაციას** ახორციელებენ მეუღლეთა ერთობლივი განცხადების, ერთ-ერთი მეუღლის განცხადების ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინების საფუძველია იმ მეუღლეთა ერთობლივი განცხადება, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და ერთ-ერთ მეუღლეს არ შეუძლია სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში მოსვლა, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში და მისი ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. **ამ საფუძვლით განქორწინების რეგისტრაციისას სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 30 ლარს.**

2. განქორწინება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე:

**ა) სასამართლოს მიერ ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად (ამ შემთხვევაში განქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი);**

**ბ) სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ფსიქიკური დაავადების ან ჭკუასუსტობის გამო (განქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი);**

**გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა (თავისუფლების აღკვეთის მისჯის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლი).**

**ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციისას გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი შეადგენს ორ (2) ლარს.**

3. განქორწინების რეგისტრაციის მესამე საფუძველი არის სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ. **სასამართლო გადაწყვეტილებითვე განსაზღვრავს განქორწინებისთვის სახელმწიფო ბაჟის (რომელიც, ამ შემთხვევაში, შეადგენს 50 ლარს) გადახდის წესს (ერთ-ერთი მეუღლე გადაიხდის, თუ ორივე - განსაზღვრული წილობრივი მონაწილეობით).**

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოდგენისთანავე.

### მამობის დადგენის რეგისტრაცია

**მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება სამი საფუძვლით: ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით, ბავშვის მამის განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.**

იმ შემთხვევაში, როდესაც მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით, თუ ერთ-ერთ მშობელს არ შეუძლია სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში მოსვლა, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში და მისი ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

თუ მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება ბავშვის მამის განცხადების საფუძველზე დედის გარდაცვალების, ქმედუუნაროდ ცნობის, ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის, აგრეთვე, მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, ბავშვის მამამ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: ბავშვის დედის გარდაცვალების მოწმობა ან ბავშვის დედის ქმედუუნაროდ ცნობის, დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი ან დედის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი საბუთი.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ბავშვის მამის შესახებ მონაცემები აღინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებისა და წარმოდგენილი საბუთების მიხედვით.

**მამობის დადგენის რეგისტრაცია და მამობის დადგენის მოწმობის გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უფასოა.**

### სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, შეიცვალონ სახელი, მამის სახელი ან გვარი. არასრულწლოვან მოქალაქეთა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა შესაძლებელია მათი მშობლების ან იმ მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აგრეთვე, მშობლების მონაცვლე პირთა თანხმობით.

ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის შესაძლო საფუძვლებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია იმისათვის, რათა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა ორგანომ მოახდინოს სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლა.

**სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:**

**ა) თუ სახელი, მამის სახელი, გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკნინებელია;**

**ბ) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი - და არ განხორციელდა ქორწინების რეგისტრაციისას.**

**გ) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს თავისი ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;**

**დ) თუ განმცხადებელს სურს, დაიბრუნოს თავისი ქორწინებამდელი გვარი და ეს არ განხორციელდა განქორწინების რეგისტრაციისას;**

**ე) თუ განმცხადებელს სურს, მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის (მაგ: დედა, მამა, ბებია, ბაბუა და ა.შ) გვარი.**

### რა დოკუმენტები უნდა იქნეს წარდგენილი სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლისათვის?

**სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლის რეგისტრაციისათვის აუცილებელია მოქალაქის განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:**

**ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი - თუ განმცხადებელი სრულწლოვანია;**

**ბ) განმცხადებლის დაბადების მოწმობა (მოწმობის ასლი);**

**გ) განმცხადებლის ქორწინების მოწმობა (მოწმობის ასლი) - თუ განმცხადებელი დაქორწინებულია;**

**დ) განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (მოწმობების ასლები) - თუ განმცხადებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები;**

**ე) მშობლის (მშობლების) მონაცვლე პირთა წერილობითი თანხმობა განმცხადებლის მიერ სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე;**

**ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს ნებართვა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე, ცნობა ნასამართლობის შესახებ.**

ფაქტობრივი აღმზრდელის ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარზე გადასვლის შემთხვევაში, განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის განცხადებას ამოწმებს და მასზე ერთი თვის ვადაში დასკვნას ამზადებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო, რომელიც დასკვნას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში.

სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლისას უნდა გაიცეს საქართველოს მოქალაქის პირადობის ახალი მოწმობა.

**სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დაწესებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ოცდაათ ლარს.**

### გარდაცვალების რეგისტრაცია

გარდაცვალების რეგისტრაციის საფუძველია გარდაცვალების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი; გარდაცვალების ფაქტის დადგენის, მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება; სასჯელის მომხდელი პირის გარდაცვალების შესახებ სასჯელის აღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უწყება; არასასამართლო (შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროები) და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებით, რეპრესირებულ პირთა გარდაცვალების შესახებ ცნობა.

**გარდაცვალების რეგისტრაციისათვის განმცხადებელმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:**

**ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);**

**ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);**

**გ) გარდაცვალების დამადასტურებელი საბუთი (სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან ზემოთ მითითებულ საბუთთაგან ერთ-ერთი);**

**დ) წერილობითი განცხადება.**

**საქართველოს კანონმდებლობით გარდაცვალების რეგისტრაცია უფასოა.**

■ ■ ■

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამოქალაქო რეესტრის რეფორმა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. იგეგმება სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების ერთიან ქსელში ჩართვა, მონაცემების ელექტრონიზაცია და უფრო ეფექტური ადმინისტრირების დანერგვა, რასაც, შესაბამისად, პროცედურების გამარტივება და მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება მოჰყვება.

IRIS

სტატია მომზადებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Centeri-ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება N114-C-00-01-00136-00). სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს USAID-ის თვალსაზრისს.

USAID

დავიწყების გამოსასყიდად



B2

სპექტაკლი, რომელიც ვერდის მოეწონებოდა



B3

დღეს რომ 31 მაისი იყოს...




B5


*აი, მასონთა შეთქმულების ბუდეშიც მოვედით... აღარ მახსოვს, კიდევ რას უწოდებდნენ ხოლმე კავკასიურ სახლს. სხვათა შორის, დუხჭირი გონების გარშემო ქილიკი ადვილია. გაცილებით ძნელია იმის გაგება, რატომ არ იწვევს კავკასიური სახლისა და კავკასიური საქმის წინააღმდეგ მიმართული საყვედურები ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, ცილისწამება საერთო საზოგადოებრივ აღშფოთებას...*
*დიდი საქმეები დაგვისახავს - მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში გვსურს დავიკავოთ ღირსეული ადგილი, ნატოს მხედრული სიმძლავრე გვიზიდავს, ევროკავშირის ხსენებაზე მოგვდის პირწყალი. კავკასიური გარემო კი, როგორც ეტყობა, ერთობ უმნიშვნელო საგნად მიგვაჩნია. ამბობენ, რომელიღაც ქალაქში თერძმა სამკერვალო გახსნა და კარებზე წააწერა: "საუკეთესო თერძი ქალაქში". მეორემ თავისი სამკერვალო იქვე გვერდით გამართა და კარებზე კიდევ უფრო ხმამაღალი წარწერა ჩამოჰკიდა: "საუკეთესო თერძი მსოფლიოში". მესამემაც იქვე გვერდით დაიდო ბინა, წინამორბედთა რეკლამას გადახედა და თავისი კარები ასეთი წარწერით დაამშვენა: "საუკეთესო თერძი ამ ქუჩაზე".*
*ამ ამბავს მაგონებს კავკასიური სახლი და ამ მესამე თერძს - მისი დირექტორი. დაე, ეძებონ უკეთურებმა ნაირა გელაშვილისა და ჩეჩენი საველე მეთაურის, გელაევის ნათესაური კავშირები - ჩვენ მათთან კიდევ უფრო ნაკლები გვაქვს საზიარო.*




# ნაირა გელაშვილი:
# სახელმწიფო - ხალხის ნდობაა

**ნოდარ ლადარია** - წინა კვირას განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან მქონდა საუბარი. იმით დავიწყეთ, რომ განათლების რეფორმას ყველაზე მეტად ის კიცხავდა, ვისაც მასზე ყველაზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა. გული მიგრძნობს, რომ მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხიც ამავე დღეშია. ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ ცხადი ვალდებულება აიღო მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. მაგრამ არ ჩანს, ამაზე ვინმე ფიქრობდეს. შენ მაინც ხომ ვერ გაიხსენებდი, საქართველოში ვინმე რაციონალურად და არგუმენტირებულად ასაბუთებდეს მაჰმადიანი მესხების დაბრუნების შეუძლებლობას ან მიზანშეუწონლობას.

**ნაირა გელაშვილი** - ჩვენთან არ მახსოვს, მაგრამ არიან უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც სერიოზულად სწავლობენ ამ საკითხს. ჩვენს ჟურნალისტებს კი 14 წლის მანძილზე ისიც ვერ გავაგებინეთ, არ იხმარონ ტერმინი "თურქი მესხი". სხვა თუ არაფერი, მრავალ მაჰმადიან მესხს, რომლებიც თავს ქართველებად თვლიან, პირველ რიგში კი იმათ, ვინც საქართველოში ცხოვრობენ, ამით გულში დანას უყრიან. სხვათა შორის, იყო დრო, როცა ამ საკითხზე არავინ კამათობდა. მაგრამ საქმე 1989 წლის ივლისიდან გართულდა, როცა უზბეკი ექსტრემისტები ფერგანაში მცხოვრებ მაჰმადიან მესხებს 17 დღის განმავლობაში არბევდნენ.

**ნ. ლ.** - მაინც რა მიზეზით?

**ნ. გ.** - ტრაგედიის მიზეზები გაურკვეველი დარჩა. თითქოს ირაციონალური ძალადობა იყო. მანამდე კი საქართველოს "ჰელსინკის ჯგუფის" პროგრამაში ცალკე პუნქტად იყო ჩაწერილი მიზანი: მესხთა რეპატრიაცია. ამ პუნქტით მოიპოვეს ჯგუფის წევრებმა უფლებათა დამცველის საერთაშორისო აღიარება.

**ნ. ლ.** - გამოდის, საქართველოს უახლეს ისტორიაში მაჰმადიანი მესხების საკითხი თავიდანვე იყო, როგორც დასავლეთიდან დივიდენდების მისაღები საშუალება.

**ნ. გ.** - ამას არ ვიტყოდი. შესაძლებელია, გულწრფელად ფიქრობდნენ. თავიდანვე ამ საკითხს **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** პატრონობდნენ.

**ნ. ლ.** - იქნებ საქმის კურსში შეგვიყვანო...

**ნ. გ.** - ასი ათასი თუ მეტი მაჰმადიანი მესხი 1944 წლის ნოემბერში გადაასახლეს შუა აზიაში. 1956 წელს მათ მოეხსნათ ეგრეთ წოდებული საკომენდანტო რეჟიმი, რომლის მიხედვითაც ეკრძალებოდათ თავისუფალი გადაადგილება, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით არ მიეცათ სამშობლოში დაბრუნების უფლება. ესეც აუხსნელი დარჩა.

**ნ. ლ.** - იქნებ რამე ვივარაუდოთ...

**ნ. გ.** - ალბათ სურდათ, საქართველოზე მუდმივი დაწოლის იარაღი ჰქონოდათ... 70-იან წლებში ქართველმა ინტელიგენციამ კოლექტიური წერილით მიმართა შევარდნაძეს. წერილის პათოსი იყო: აღვადგინოთ სამართლიანობა ქართველი ხალხის ორგანული ნაწილის მიმართ. ესენი პირველები იყვნენ, ამის მერე ზვიადი და მერაბი შეუერთდნენ. შედეგად, 80-იან წლებში შევარდნაძემ ნელ-ნელა დაიწყო მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლება. 1989 წლისთვის უკვე 300 ოჯახი ცხოვრობდა კოპიტნარში, ნასაკირალში, იანეთში, ხაშურის მახლობლად...

**ნ. ლ.** - მერე რატომღა გაფუჭდა საქმე?

**ნ. გ.** - ფერგანის ტრაგედიამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე ზვიად გამსახურდია წერდა, რომ საჭიროა 300 000 მაჰმადიანი მესხის ჩამოსახლება. სულ ერთ კვირაში შეეცვალა აზრი და ახალი ლოზუნგი აღმართა: არ დავუშვათ საქართველოში ისლამური ურდოების შემოსვლა. ამას უკვე ჩამოსახლებულთა მიმართ რეპრესიები მოჰყვა. 1990-1991 წლებში 200-ზე მეტ ოჯახს მეორე დეპორტაცია მოუწყვეს და ახლა მხოლოდ ექვსასამდე ადამიანი ცხოვრობს.

**ნ. ლ.** - გავბედავ და ვიტყვი, რომ ერთგვარი შესაბამისობა შეინიშნება ფერგანას სისხლიან მოვლენებსა და გამსახურდიას რადიკალურ ცვლილებას შორის... მაინც რამ გამოიწვია ეს ცვლილება?

**ნ. გ.** - შეიძლება დაინახა, რომ აგრესია უფრო პოპულარულია. მოიგონა ახალი საფრთხე და ხალხის წინაშე წარდგა როგორც თურქობისაგან საქართველოს მხსნელი. სწორედ მან დანერგა მტრის ხატი და პრობლემის უარყოფითი ასპექტი, თუმცა არა მხოლოდ მან, ინტელიგენციამაც საკმაოდ იყოჩაღა.

**ნ. ლ.** - ამის გაუთვალისწინებლობა ძალიან სახიფათოა. მტრის ხატი ჯერაც არსებობს და ალბათ პრობლემის უპიროვნო დაუფიქრებელი გადაწყვეტა უარესი იქნება ყველასათვის.

**ნ. გ.** - გეთანხმები. პრობლემა რჩება. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დაიწყოს მზადების პროცესი. უნდა მომზადდეს ნიადაგი საკანონმდებლო დონეზე, შეიქმნას შესაბამისი სამსახური. შევარდნაძის დროს ამის მსგავსი რაღაც არსებობდა, რასაც გურამ მამულია ედგა სათავეში, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ სამსახურმა სათანადოდ ვერ იმუშავა, ალბათ ობიექტური მიზეზების გამოც.

უნდა გამოვიყენოთ არსებული დადებითი გამოცდილება. საქართველოში ცხოვრობს მაჰმადიანი მესხების მცირე რაოდენობა. ეს ძალიან შრომისმოყვარე და კანონმორჩილი ხალხია, ისინი გამოდგებიან სამსახურის პირველ თანამშრომლებად, რეპატრიაციაც მათი ნათესავებით შეიძლება დაიწყოს. მაგრამ აქ ნიადაგი მზად არ არის: ცნობიერებაში ღრმადაა გამჯდარი მტრის ხატი, მათ მიმართ აგრესია. ეს იმუშავებს. საჭიროა ხალხის მომზადება, სამუშაო ძალიან ბევრია.

უბედურება ისაა, რომ მასმედიაც იმავე ცნობიერებას ატარებს და რაც ყველაზე უფრო საშინელია, არ არსებობს არავითარი თანატანჯვა ამ ხალხის მიმართ.

**ნ. ლ.** - მართალია. მაგრამ ამას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს. რამდენიმე ხნის წინათ ჩემი შვილი ჩამოვიდა ბაკურიანიდან. ასე თქვა, იქ ხალხი თავის კილოზე საუბრობს და ისეთივე შთაბეჭდილებაა, იტალიური ტელევიზიის რეგიონულ არხებს რომ უსმენ, სადაც წამყვანებსაც კი ეტყობათ მშობლიური ქალაქის კილო, საქართველოში კი თუ "რუსთავი 2"-ის ან "იმედის" წამყვანებივით არ ილაპარაკე (ჯერ მათი ლაპარაკი რა ბედენაა!) ადამიანი არა ხარო. ჩვენი ინტელექტუალები წამდაუწუმ იხსენებენ საფრანგეთის მაგალითს, სადაც ნორმატიულმა ფრანგულმა "შეჭამა" დიალექტები, მაგრამ არ ახსოვთ უდიდესი ისტორიკოსის, ფერნან ბროდელის ფუნდამენტური ნაშრომის პირველი თავის სათაური - "საფრანგეთის სახელია მრავალფეროვნება" - და არც შარლ დე გოლის ცნობილი სიტყვები აგონდებათ: "შეუძლებელია მართო ქვეყანა, სადაც ყველის ორასზე მეტი ჯიშია". როდის ექნებათ ჩვენთან საქართველოს ცოცხალი მრავალფეროვნების შეგნება?

**ნ. გ.** - ვიდრე დანაკარგებს ვაგროვებთ, არ ექნებათ. ჯერჯერობით მხოლოდ დანაკარგების შეგროვებით ვართ გართული. ასეთი პირობებში კი ბუნებრივია, რომ ჩვენი ხალხი შიშითაა შეპყრობილი და ყველაფერში საფრთხეს ხედავს. მით უმეტეს, საფრთხე სიბნელეში უკეთ ჩანს ხოლმე.

**ნ. ლ.** - სიბნელეზე გამახსენდა. მაღალი ძაბვის ხაზს დააზიანებენ და ენერგეტიკის მინისტრი საზეიმო გამომეტყველებით გვაუწყებს: თბილისი განათებულია! მაშინაც უნდა გვიხაროდეს, თუ რომელიმე ჩაბნელებულ სოფელში ან მეორე კატეგორიის ქალაქში ვცხოვრობთ. მარტო ტოპონიმის უბრალო ხსენება კმარა არსებული განხეთქილების გამოსააშკარავებლად. ეს საქართველო არაა, ეს "პანკისის ხეობაა" — ძალიან შორსაა საბურთალოდან. "კოდორის ხეობა" კი გაცილებით უფრო შორსაა ვაკიდან, საიდან ვარკეთილამდე მანძილიც კი ლამის ასტრონომიულად მოეჩვენება კაცს. შეიძლება ვიკითხოთ, ჩვენი ყბადაღებული პატრიოტების საქართველო სად მდებარეობს, როგორია. რეალურ საქართველოსთან რომ არანაირი კავშირი არა აქვს, ეს ცხადია. მაგრამ როგორია? როგორი უნდათ?

**ნ. გ.** - მაგისი პასუხი მერაბ მამარდაშვილმა მოიგონა: ისეთი, როგორიც თქვენი შვილებისთვის გინდათო.

**ნ. ლ.** - იმ თვალსაზრისით, რომ ქართველს ბავშვისთვის არაფერი ენანება?

**ნ. გ.** - 1990-იან წლებში, როცა მერაბ მამარდაშვილმა ეს თქვა, ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, რომ ქართველების განსაკუთრებული სიყვარული თავიანთი ბავშვებისადმი უბრალოდ მითია. შევხედოთ ჩვენს ეზოებს, პირდაპირ ფანჯრებიდან გადმოყრილ ნაგავში რომ იხრჩობა, შევხედოთ, როგორ აშენებენ გარაჟებს იქ, სადაც ბავშვების სათამაშო ადგილი უნდა იყოს. ჰგავს ეს ქვეყანა იმას, სადაც ბავშვები უყვართ?

ფილოსოფოსის ეს გამონათქვამი ერთგვარი კომპრომისი იყო, რადგან ლამის დაწყევლეს, როცა თქვა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. ესეც ხომ გასაგებია: სამშობლო, რომელიც არ მიისწრაფვის ჭეშმარიტებისკენ სამშობლოს მნიშვნელობას კარგავს. გასაგებია, არა? მაგრამ ფილოსოფოსს იმიტომ ვერ გაუგეს, რომ ენობრივი დაბრკოლება შეიქმნა, რადგან ტოტალიტარიზმის ენაზე აზროვნება შეუძლებელია. ტოტალიტარიზმის ენა ისეთი კონსტრუქციების ერთობლიობაა, რომელიც გონებას კეტავს. პიროვნება ბევრი მეცადინეობის შედეგად არღვევს ამ დაბრკოლებას, გადის მკვდარი ენიდან. მასა კი რჩება.

ჩვენისთანა ქვეყნებში ძველი და ახალი ერთმანეთს განვითარების კონტექსტში კი არ ებმება, არამედ ცუდი ახალი სპობს კარგ ძველს და ცუდი ძველი - კარგ ახალს. უმრავლესობა უბრალოდ კი არ მართავს მოაზროვნე უმცირესობას, არამედ პირდაპირ ახშობს ან სულაც კლავს მას. ეს არის საქართველოს ძირითადი ტრაგედია, რამაც კულმინაცია ჰპოვა ილია ჭავჭავაძის ბედისწერაში: კოლექტივიზმი ფიზიკურად სპობს პიროვნულს. თვით ილია არასოდეს თმობდა ღირებულებებს და არასოდეს იყენებდა შტამპებს. სხვა საქმეა, როგორ კრეჭს მის აზრებს შთამომავლობა...

**ნ. ლ.** - ჰო, ის, თუ როგორ ექცევა მადლიერი შთამომავლობა ილიას მემკვიდრეობას, ალბათ მხოლოდ იმას თუ შეედრება, მოწინავე კოლმეურნეობებში თავის დროზე ჩაის რომ ნამგლით კრეფდნენ. მარტო "ახალი მემარჯვენეების" მიერ განათლების რეფორმისადმი მიძღვნილი პლაკატი რად ღირს. მაგრამ ცალკეული მაგალითების ჩამოთვლა არას გვარგებს. უნდა ვაღიაროთ, რომ თანდათანობით წელს იმაგრებს სრულიად სტიქიური ეროვნულ-რელიგიური დისკურსი. ხელისუფლებაც ამას თითქოს ხელს უწყობს ან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგება.

**ნ. გ.** - ორ სკამზე ჯდომა არ შეიძლება. პოლიტიკოსებს სინამდვილის ცალმხრივი და გამარტივებული ხედვა აქვთ. ერთი შეხედვით, ეს ხედვაც არაა მოკლებული ლოგიკას: ჯერ გავძლიერდეთ, ჯერ ფეხზე დავდგეთ, მანამდე კი ნუ გამოვაცლით ხალხს პირიდან ნაციონალურ იდეოლოგიას. ეს შეცდომაა: ვერ ითვალისწინებენ, რომ ამასობაში ზნეობა ირყვნება, აზროვნება ჩერდება. გარყვნილი ცნობიერება კი ვერ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ნამდვილად ფეხზე დავდგეთ და გავძლიერდეთ. მარტო ხელისუფლება ხომ ვერ შევა ნატოში და ვერ გაერთიანდება ევროკავშირში. ვისთვის უნდა ეს ყველაფერი?

არ ხდება დასავლეთის ათვისება. ან უაზროდ აძაგებენ მას და ამ შემთხვევაში დასავლეთი წარმოუდგენიათ როგორც პორნოგრაფიის, ძალადობისა და მუქთი სიმდიდრის ნაზავი. ან კიდევ ასევე უაზროდ ხოტბას ასხამენ. მოაზროვნე საზოგადოების ხმა კი არ ისმის. დასავლეთის კრიტიკა კი დასავლეთზე უკეთ არავის უწარმოებია. მისი სიძლიერე სწორედ საკუთარი თავის კრიტიკაა.

**ნ. ლ.** - გეთანხმები, რომ პოლიტიკოსების ხედვა ცალმხრივია. მაგრამ ეს ტაქტიკა იმუშავებს?

**ნ. გ.** - აკი გითხარი, რომ ვერ იმუშავებს-მეთქი.

**ნ. ლ.** - ჰო, ხალხს რომ არაფერში გამოადგება და საბოლოოდ ცნობიერებას გაუფუჭებს, ეს იმთავითვე ცხადია. თვით ხელისუფლებას თუ გამოადგება, თუ გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს?

**ნ. გ.** - ცოტა ხნით. იცი, თუ რაიმე არ გამოგდის, ხალხი თანამოსაუბრედ უნდა გაიხადო. ერეკლე მეორემ საქართველო რუსეთს ჩააბარა, მაგრამ მაინც ხალხის საყვარელ მეფედ დარჩა. იმიტომ რომ არავის მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეჰპარვია. კონფუციუსმა თქვა, რომ სახელმწიფო სამი კომპონენტისგან შედგება: ჯარი, ოქრო და ხალხის ნდობა. გაჭირვების ჟამს ჯერ ჯარზე უნდა თქვას უარი, მერე ოქროზე. მაგრამ ხალხის ნდობაზე თუ თქვა უარი, ეს უკვე სახელმწიფო აღარაა. სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ხალხის ნდობაა.

ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, გოეთეს ერთი ნათქვამი წავიკითხე: "მომაკვდინებელ ცოდვასავით მეშინია ცუდად შესრულებული სამუშაოსი". მაშინ მომეჩვენა, რომ "მომაკვდინებელ ცოდვა"-ს შეიძლებოდა მხოლოდ რაღაც უკიდურესი საშინელება შესიტყვებოდა: კაცის კვლა, წამება, სამშობლოს ღალატი. არა ბატონო, გეუბნება: "ცუდად შესრულებული სამუშაო". მერეღა მივხვდი, რომ ცუდად შესრულებული სამუშაოს - ცუდი აღზრდის, ცუდი განათლების, ცუდი მკურნალობის, ცუდად აშენების, მიწის ცუდად მოვლის და ა.შ. - შედეგია ყველა უბედურება. და იმასაც მივხვდი, რომ ევროპა შექმნა კარგად შესრულებულმა სამუშაომ - კარგმა სწავლა-განათლებამ, წესიერმა შრომამ და შრომის კულტურამ. ჩვენ კი ახლაც, და უფრო მეტადაც, ცუდად შესრულებული სამუშაოს, მოჩვენებითი აქტივობების, "ხალტურისა" და სუროგატების ტოტალობაში ვიხრჩობით.

საბოლოოდ მაინც შრომის პრობლემასთან მოვდივართ. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: "შრომის სუფევაო". მას ეს ნანატრი: თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს საფუძვლად ესახებოდა. რადგან: რა არის "შრომის სუფევა"? თავდავიწყებით, სიყვარულით, ცოდნით, პატიოსნად, ხარისხიანად შესრულებულ საქმეში თავს იკრებს მთელი ადამიანი. ეს არის მისი პირველი შესაწირი, რადგან რწმენა საქმის გარეშე, მოგეხსენებათ, მკვდარია. ილიასთვის "შრომის სუფევა" ეს რელიგიური ცნებაა. სადაც არ არის შრომის სუფევა, იქ შეუძლებელია მოვიდეს უფლის სუფევა. როცა მართლა გადარდებს ღმერთის შესაქმის წახდენა - საქმესაც გამოძებნი, რომელსაც წესიერად აღასრულებ და მჯერა, ასეთ შემთხვევაში რაღაც დახმარება აუცილებლად მოვა და ნამდვილი იმედიც აუხსნელად დაისადგურებს შენს გულში.



# აფიშა

## თეატრები

**თბილისისი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი
"აიდა"
(ოპერა ოთხ მოქმედებად)
დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი
რეჟისორი: დავით საყვარელიძე
მხატვარი: პოლინა რუდჩიკი
ქორეოგრაფი: ირაკლი შენგელია
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
პრემიერა
"დოვენ დოვინ..."
(ეძღვნება აფხაზეთის ომს)
რეჟისორი: გიორგი რატიანი
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
ფასი: 2-დან 5 ლარამდე.
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა
დას: 19:00 სთ.

**რუსთაველი**
**მცირე დარბაზი**
**თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი "ნიამორი"**
ფესტივალის გახსნა
(ფილმები: "ევერესტი - ასვლის ქრონიკები", "ბილიკების ენა", "სკალდობა", "წეს-ჩვეულებები და ტრადიციები", "ჩატინი")
დას: 18:00 სთ.
ფასი: 3 ლარი

**დიდი დარბაზი**
"წყევლა"
დას: 11:30; 14:00; 16:30 სთ.
"სიახლოვე"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"33 უიღბლობა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00 სთ.

## გალერეები

**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა
(ორგანიზატორი: აშშ-ს საელჩო)

**TMS**
"უკან სსრკ-ში"
გამოფენის გახსნა: 6 საათზე

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ეროვნული გალერეა**
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი**
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

კვირას, 27 თებერვალს, 14 საათზე - გია აბესალაშვილი ბავშვებისთვის წაიკითხავს ოტია იოსელიანის "დაჩის ზღაპრებს".

# "ნიამორი" გუდაურშიც მოიკრებს ძალებს

ვერა ნეფარიძე

*საერთაშორისო ფესტივალი "ნიამორი" ახალ ფაზაში შედის. დღეიდან კინოთეატრ "რუსთაველის" ახლად გახსნილ მცირე დარბაზში სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების ჩვენება დაიწყება. ოთხი დღის განმავლობაში მაყურებელი იხილავს თექვსმეტ ნამუშევარს - მათ შორის იქნება ფილმები შვეიცარიიდან, იტალიიდან, რუსეთიდან და, რასაკვირველია, საქართველოდან.*

როგორც ცნობილია, თბილისში მიმდინარეობს სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი "ნიამორი". დღემდე "ნიამორის" ფარგლებში გაიმართა ფესტივალის მხარდასაჭერი ფოტოგამოფენა ("ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო"), რომელზეც წარმოდგენილი იყო ოცდაათი ავტორის 150-ზე მეტი ფოტო; გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა გამოერჩია ექსპოზიციის საუკეთესო ნამუშევრები (მისი აზრით, რასაკვირველია). დამთვალიერებელთა რჩეული ფოტოებისგან შემდგარ ექსპოზიციას ორგანიზატორები მარტში ყაზბეგში, მოგვიანებით კი მესტიაში ჩაიტანენ. თუმცა, ეს მოხდება ფესტივალის დასრულების შემდეგ; მანამდე კი ფესტივალის ძირითადი ნაწილი - სატელევიზიო ფილმების ჩვენება და კონკურსი, ასევე ფესტივალის მხარდასაჭერი სპორტული შეჯიბრების ჯერია.

ფესტივალის საკონკურსო ნაწილში მცირედი ცვლილებებია. წინასწარ გამოცხადებული ხუთის ნაცვლად, ჟიურის სამ ნომინაციაში მოუწევს საუკეთესოთა შერჩევა. საქმე ის არის, რომ განაცხადები საორგანიზაციო კომიტეტში მხოლოდ ოთხ ნომინაციაზე (სამთო ექსპედიცია, მოგზაურები, მთა და ადამიანი, ექსტრემი) შევიდა; აქედან ნომინაცია ექსტრემში - მხოლოდ ერთი ფილმი, რის გამოც, ამ ნომინაციაში კონკურსი არ გაიმართება, მონაწილეს კი საორგანიზაციო კომიტეტისგან პრიზი გადაეცემა. თუმცა, ეს ხელს არ შეუშლის ფილმს, გახდეს დამატებითი ნომინაციების გამარჯვებული და იბრძოლოს გრან-პრის მოსაპოვებლად. რაც შეეხება დანარჩენ ნამუშევრებს, მათ შორის საუკეთესოებს ყველა ნომინაციისთვის საგანგებოდ შედგენილი ჟიური შეარჩევს. ჟიურის შემადგენლობაში (ჟიურის ხელმძღვანელობს ეკა გაბაშვილი) არიან რეჟისორები, სპორტსმენები, wwf-ის წარმომადგენელი, ჟურნალისტები... ნომინაციაში "მთა და ადამიანის" გამარჯვებულისთვის wwf-საქართველოს ბიურომ 500 ამერიკული დოლარი დააწესა; და კიდევ ერთი დეტალი: საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ისევე როგორც შარშან, წლევანდელ კონკურსზეც ნომინაცია "მაშველებში" გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზი გადაეცემა ფილმს "ვანო", რომელიც რამდენიმე წლის წინათ უშბაზე დაღუპული პროფესიონალი მთამსვლელისა და მაშველის ვანო გულედანის ბიოგრაფიული ნამუშევარია. ფილმების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს 3 მარტს კვლავ კინოთეატრი "რუსთაველი", ამჯერად დიდი დარბაზი უმასპინძლებს.




"ნიამორს" ექსტრემალურ პირობებშიც უხდება მუშაობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფესტივალის მიმდინარეობისას ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გზადაგზა წყდება. ჯერჯერობით (საბედნიეროდ!) ეს სიახლეები "ნიამორის" სასარგებლოდაა. ახლახან ფესტივალს ფინანსურად დაეხმარა "შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო" (წლევანდელი ფესტივალისთვის ფულადი პრემიები ასევე დააწესეს: "ზაზა დარასელის ფონდმა" და wwf-ის კავკასიის წარმომადგენლობამ). მათ გარეშე ძნელი წარმოსადგენია, გაიმართებოდა თუ არა ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მაგალითად, სნოუბორდისტთა შეჯიბრება გუდაურში, რომელიც დაგეგმილია კვირას, 27 თებერვალს. "ნიამორის მხარდასაჭერი სპორტული შეჯიბრებები იქცევა ერთგვარ პროპაგანდად საქართველოში სპორტის ზამთრისა და სამთო სახეობების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის. მით უმეტეს, რომ 2005 წელს ქართველი მოთხილამურეები და სნოუბორდისტები ზამთრის ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობენ და 2006 წლის ტურინის ოლიმპიადისთვის ემზადებიან. რაც შეეხება მეკლდეურეებს. არ არის გამორიცხული, რომ მალე ეს სახეობაც ოლიმპიური გახდეს. ამიტომ მივიწყებული ქართული სახეობის - მეკლდეურობის პოპულარიზაციისთვის "ნიამორი" თავის პროგრამაში ასეთ შეჯიბრებასაც ითვალისწინებს", - ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები. მეკლდეურეები მოგვიანებით, თბილისში სპორტის დეპარტამენტის კუთვნილ ხელოვნურ კლდეზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მანამდე კი ქართველი სნოუბორდისტები გამოიცდებიან.

# დავიწყების გამოსასყიდად

## დამატებითი სეანსი პრემიერაზე

ვერა ნეფარიძე

*თბილისში "გოეთეს ინსტიტუტის" დარბაზი ძალიან მცირე აღმოჩნდა მათთვის, ვინც ერთდროულად გია ჭუბაბრიას ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის საპრემიერო ჩვენებაზე დასწრება და ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობას შეწირული პირველი ქართველი ქალის მარო მაყაშვილის გახსენება ისურვა. მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს და გუშინაც არავინ გაუშვიათ სახლში ფილმის უნახავად - საპრემიერო ჩვენებაზე სეანსი დაამატეს. "გაფითრებული თებერვლის ლანდის" ჩვენებამ გუშინ ანშლაგით ჩაიარა.*

"მრავალი წმინდა საფლავი ჩვენთვის უცნობია", - თქვა გუშინ კინოდოკუმენტალისტმა გია ჭუბაბრიამ; "რაც ჩვენ გვჭირს, წლების განმავლობაში რომ გაგვიგრძელდა, ეს სახადია, რომელიც ხანგრძლივმა დავიწყებამ მოგვიტანა. ღმერთმა ქნას, ეს ფილმი იყოს გამოსასყიდი", - ამბობს მწერალი გურამ დოჩანაშვილი ცნობილი რეჟისორის ახალ ნამუშევარში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 70 წლის განმავლობაში იუნკერებთან ერთად გარდაცვლილ პირველ ქართველ ქალზე საუბარი კი არა, მარო მაყაშვილის ხსენებაც კი აკრძალული იყო, მაშინ გია ჭუბაბრიას მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს მართლაც შეიძლება ეწოდოს გამოსასყიდი.

როგორ შეიძლება გაკეთდეს კარგი დოკუმენტური ფილმი ერთადერთი შემორჩენილი დოკუმენტური მასალიდან - ფოტოპორტრეტიდან, ეს მხოლოდ კარგმა კინოდოკუმენტალისტმა იცის. გია ჭუბაბრიას ოსტატობაში რომ ქართული დოკუმენტური კინოს მოყვარულები და გულშემატკივრები დარწმუნებულები არ ყოფილიყვნენ, მაშინ გუშინდელ საპრემიერო ჩვენებას არ დაესწრებოდა იმაზე ორჯერ მეტი მაყურებელი, რამდენსაც "გოეთეს ინსტიტუტის" საკმაოდ მოზრდილი დარბაზი იტევს. ერთადერთი ფოტოპორტრეტი და დღიურები - სულ ეს არის, რაზე დაყრდნობითაც მოუხდათ მუშაობა ფილმის სცენარის ავტორებს: გია ჭუბაბრიასა და ნატო ციციშვილს.

"დიდი ხანია, გვინდოდა, გადაგველო ფილმი კოჯრის ფრონტზე გარდაცვლილ, 1921 წლის ტრაგედიის პირველ მსხვერპლ ქალზე, მარო მაყაშვილზე, მაგრამ არ არსებობდა ამის საშუალება; ეს იყო აკრძალული თემა და მხოლოდ 9 აპრილის მერე, როდესაც გაირკვა რუსული არმიის ქმედებები საქართველოს მიმართ, გახდა შესაძლებელი წარსულის გახსენება", - ამბობს სცენარის თანაავტორი ქალბატონი ნატო ციციშვილი და იმასაც იხსენებს, როგორ დაიწყო გია ჭუბაბრიასთან ერთად მარო მაყაშვილის შესახებ გაზეთებში წერა, როდესაც თემას ტაბუ მოეხსნა. მარო მაყაშვილის შესახებ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობა შვიდი თვის წინათ დაიწყო (მანამდე არსებობდა სცენარი), როდესაც ციციშვილი-ჭუბაბრიას ერთობლივმა სცენარმა ქართული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ფილმი ნაწილობრივ დააფინანსა სახელმწიფომ, დანარჩენზე (ანუ ინვესტორზე) ავტორებმა იზრუნეს.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინდელ საპრემიერო ჩვენებაზე რეჟისორს უნდოდა, გაცილებით მეტი ეთქვა საზოგადოებისთვის, ვიდრე მოახერხა. ერთადერთი ხელშემშლელი ფაქტორი ხალხმრავლობა და გვერდით დარბაზში მეორე სეანსის მომლოდინე საზოგადოება იყო. ფილმის დაწყებამდე ძალიან მოკლედ გვითხრა ის, რაც მარო მაყაშვილის დღიურების გაცნობით შეიტყო მათ ავტორზე: "როდესაც ღრმად ჩავწვდი მის დღიურებს, მივხვდი, რომ იგი ძალიან საინტერესო ქალბატონი იყო. სრულიად ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლეში ცენტრალური ადგილი ეჭირა სამშობლოს უანგარო სიყვარულს".

"გაფითრებული თებერვლის ლანდი", - ასე ჰქვია 40-წუთიან მხატვრულ-დოკუმენტურ კინოსურათს. ფილმში ორი - სახელოვანი (დოდო ჭიჭინაძე) და ახალგაზრდა (ეკა ტოგონიძე) მსახიობი მონაწილეობს; მარო მაყაშვილის სავარაუდო საფლავისა და ქაშუეთის ტაძრიდან მისი გამოსვენების ამბავს გვიამბობს ბატონი თამაზ ჩხენკელი; "ბავშვობაში მიოცნებია, რომ მარო მაყაშვილის გვერდით მებრძოლა", - გვიმხელს მწერალი ზაირა არსენიშვილი; როგორ მალავდნენ გარდაცვლილის ოჯახში მის დღიურებს, - მოგვითხრობს მარო მაყაშვილის უმცროსი და ნუგეშა მაყაშვილი, რომელიც მშობლებს უფროსი შვილის გარდაცვალების შემდეგ შეეძინათ. ფილმი საკმაოდ ლამაზია, სევდიანია, მაგრამ არა მომაბეზრებლად პათეტიკური.

# ალაბამელი ქალების ხელოვნება

## ჯის ბენდის მემკვიდრეობა ქარვასლაში

სოფო კილასონია

*გუშინ საღამოს ქარვასლის დიდ დარბაზში ალაბამას შტატის ერთ-ერთი დასახლების ჯის ბენდის მოსახლეობის ისტორიული ხელსაქმის - ქვილთის ნიმუშები გამოიფინა. ექსპოზიცია, რომელმაც არაერთი ცნობილი მუზეუმი მოიარა, ჩვენს ქვეყანას ამერიკის საელჩოსა და საზოგადოება "ჯი თი ჯი"-ს ინიციატივით ესტუმრა. გამოფენის ორგანიზატორმა კარენ მასგრეივმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ საქართველოში ყოფნისას გადაწყვიტა ამ ექსპოზიციის თბილისში ჩამოტანა. დანაპირები შეასრულა კიდეც. ალაბამური ხელოვნების გვერდით დარბაზში ამავე ტექნიკის ქართული ნიმუშებია.*

თებერვალში, აფროამერიკული კულტურის თვეში, ამერიკის საელჩო ყოველთვის გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს. ამჯერად მისი ყურადღება ჯის ბენდის ქალების ნახელავზე, მათ ტრადიციულ და ისტორიულ საქმიანობაზე შეჩერდა. ორი საუკუნის განმავლობაში სამხრეთ ალაბამაში შეუმჩნევლად მოღვაწეობდნენ ჯის ბენდის ქალები, რომლებიც განუწყვეტლივ განაახლებდნენ სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილებისა და საბნების მხატვრულ სტილს, ამასთან, პატივს მიაგებდნენ და ინარჩუნებდნენ წინაპართა ტექნიკასა და ტრადიციებს. წლების განმავლობაში მათ შექმნეს და თანდათან დახვეწეს საკუთარი ტექსტილის ნიმუშები და ის, რაც აუცილებლობა იყო, ხელოვნებად აქციეს. აღმოფხვრეს ის განსხვავება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ხელობასა და ხელოვნებას შორის.

ბენდი, ფაქტობრივად, კუნძულს წარმოადგენს, მისმა იზოლირებამ უდავოდ განსაკუთრებული ელფერი შესძინა მისი მოსახლეობის კულტურულ მემკვიდრეობას. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც ძველი, ისე შედარებით ახლად შექმნილი ქსოვილის პანოები. ნაირფერადი აბსტრაჰირებული "საბნები" სიხალისეს ანიჭებს საგამოფენო დარბაზს. ამერიკული ნაწარმის მკვეთრი ფერადოვანი შეხამება ბევრით განსხვავდება გვერდით დარბაზში გამოფენილი თუშური "თიკვის საფენების" (რომლებიც მეოცე საუკუნის 20-იან წლებს ეკუთვნის) შედარებით მუქი და ურთიერთგარდამავალი ფერადოვნებისგან.


იური ლობოდინის ფოტო

სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქსოვილის ნაჭრებით შექმნილ მთლიანობაში ზოგან ფორმა, ზოგან კი სრული აბსტრაქცია იკითხება. ალაბამური მუსიკისა და სიმღერების ფონზე დამთვალიერებელს შორიდანაც შეუძლია აღიქვას და შეაფასოს ექსპოზიცია, რომლის ფერადოვანი მონახაზები მკვეთრად ანათებს დარბაზის კედლებზე. ფერთა არაჩვეულებრივი შეხამება, რიტმის გრძნობა, მოულოდნელი ფერადოვანი გადასვლები ისაა, რითიც პირველ რიგში ხასიათდება ეს ნამუშევრები. ექსპოზიცია ორი ამერიკელი ფოტოხელოვანის ნამუშევრებსაც აერთიანებს. შავ-თეთრი ფოტოები, რომლებიც 30-იან წლებშია გადაღებული და ძირითადად ჯის ბენდის დასახლებასა და ალაბამელ შავკანიან მოსახლეობას აღწერს. ავტორები მათ ყოფას აფიქსირებენ და გარე სამყაროსთან აპირისპირებენ.

"ეს ნაწარმი საქართველოში იმიტომ ჩამოვიტანე, რომ აშშ-ს საელჩომ საქართველოში მთხოვა, მსგავსი გამოფენა წარმომედგინა ქართველი ხალხისთვის. ეს ნამუშევრები წარმოადგენს "სამოც წელსა და ოც ქალბატონს", ქალბატონებს, რომელთაც ეს ნაწარმოებები შექმნეს. აქ წარმოდგენილთა შორის ყველაზე ძველი 1950 წელსაა შესრულებული, ყველაზე ახალი კი - 1990 წელს. ძალიან მინდა, რომ ქართული კულტურის ნიმუშები წავიღო შტატებში და ამერიკულ საზოგადოებას ვუჩვენო, რათა მათაც ჩემსავით შეიყვარონ ქართული კულტურა და ხელოვნება." - გვითხრა გამოფენის ორგანიზატორმა კარენ მასგრეივმა.

გამოფენა ქარვასლაში 5 მარტამდე გაგრძელდება. ის, ვინც მის გახსნას ვერ დაესწრო, მშვენიერი ფურშეტით ვერ ისიამოვნა და მრავალ საინტერესო სტუმართან გასაუბრება ვერ მოახერხა, კიდევ დიდი დრო აქვს, ამერიკულ-ქართული, ფერადოვანი და დახვეწილი ქვითლის ხელოვნების ნიმუშები დაათვალიეროს.

# სპექტაკლი, რომელიც ვერდის მოეწონებოდა

## "აიდა" გრძელდება

სოფო კილასონია

*იმის მიუხედავად, რომ ვერდის "აიდას" საპრემიერო სპექტაკლზე თუ მის მზადებაზე საკმაოდ ბევრი დავწერეთ, ერთი მისია მაინც შეუსრულებელი დამრჩა. მონაწილეთა ოთხი შემადგენლობით ჩავლილი ოთხი სპექტაკლი სრული ანშლაგით ჩატარდა. "აიდაც" სულ უფრო იხვეწებოდა და "მშვენდებოდა". მოქმედებებს შორის მაყურებელი, რომელიც არც ერთ წარმოდგენას არ აკლდა, იმაზე მსჯელობდა, თუ რომელი იყო საუკეთესო, რომელი ტენორი თუ სოპრანო უფრო მოეწონა და სხვა. თუმცა ფაქტია, რომ ახალი სპექტაკლით მოხიბლულთა რიცხვი ყოველი ახალი სპექტაკლის შემდეგ საგრძნობლად მატულობს. რაც ყველაზე თვალში საცემია, თითქმის მთელმა თბილისმა გაიცნო და დაიმახსოვრა ვოკალისტ-შემსრულებელთა გვარები და სულ სხვადასხვა ადგილას შეიძლება მოისმინოთ საუბარი გიორგი ონიანზე, ნანა ქავთარაშვილზე, ირაკლი გრიგალაშვილზე თუ სხვებზე. ოპერის დასის ასეთი პოპულარობა და მისადმი ასეთი ინტერესი დიდი ხანია, თბილისს არ ახსოვს. ამიტომ კიდევ ერთხელ დავუთმოთ ყურადღება განახლებული საოპერო დასის პირმშოს, თუმცა, ამჯერად არა საკუთარ აზრსა და შეხედულებებს, არამედ მაყურებელთა მოსაზრებებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*"აიდას" გენერალური რეპეტიცია.*

**მეორე სპექტაკლის შემდეგ ბატონ რისმაგ გორდეზიანს გავესაუბრე:**

"სპექტაკლის სანახავად დიდი მღელვარებით მივდიოდი. "აიდა" ჩემი უსაყვერლესი ოპერაა. თბილისის თეატრში თითქმის ყველა დადგმა მაქვს ნანახი. ამიტომ ძალიან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ახალი დადგმა ჩემთვის სრულიად უცნობი შემსრულებლებით. "აიდა" ბევრ სხვა ქვეყანაშიც მინახავს და, სიმართლე გითხრათ, მაინტერესებდა, რა სიახლეს შემოგვთავაზებდა თბილისის ოპერის თეატრი. სპექტაკლით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს დადგმა, თავისი ყველა კომპონენტით, ძალიან მაღალ დონეზეა შესრულებული. რა იგულისხმება ამაში: ვერდის მუსიკას არ სჭირდება პროპაგანდა. ის ყოველთვის ახდენს შთაბეჭდილებას. მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ჟღერს ორკესტრი. ორკესტრი, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად ჟღერდა, რაც ბოლო დროს ჩვენს თეატრში არც ისე ხშირად მსმენია. რაც შეეხება მომღერლებს, ძალიან მიხარია, რომ პრაქტიკულად ყველა მომღერალი, ვინც გამოდიოდა, ჩემთვის უცნობი იყო. გამაოცა იმან, რომ მარტო აიდას პარტიის ხუთი შემსრულებელი გვყავს მომზადებული. ძალიან სასიამოვნოა, რომ ყველა მათგანი მაღალ დონეზე მღეროდა და ასრულებდა როლს. განსაკუთრებით გამოვყოფ გუნდს, რომელმაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა. მართალი გითხრათ, არასდროს მიმიქცევია საგანგებო ყურადღება ქორეოგრაფიისთვის. ცეკვები ყოველთვის დანამატივით იყო სპექტაკლში. ამ შემთხვევაში ისინი საკმაოდ გემოვნებითაა მორგებული ოპერის სულზე.

საგანგებოდ შევჩერდები რეჟისორზე; ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეჟისორს არსად არ უმტყუნა გემოვნებამ. სპექტაკლში ყველაფერი კარგად არის გააზრებული. ეს არ არის ის შემთხვევა, როცა ნოვატორობა გაწუხებს ადამიანს, ან რაღაც ისეთს გთავაზობს, რაც ტვინის ჭყლეტას მოითხოვს. ძალიან კარგადაა გამოყენებული სივრცე, დეკორაციები, სცენის ტექნიკური შესაძლებლობები. განსაკუთრებით შეიძლება დაგამახსოვრდეს რამდენიმე ადგილი, როცა გუნდი "მიწიდან ამოდის," შემდეგ ქმნის სივრცეს მოცეკვავეთა გამოსვლისთვის, მერე ეშვება, გამოდიან და ქმნიან გზას ტრიუმფალური გამოსვლისთვის; ასევე კედელი, რომელიც ხშირად იხსნება. ტექნიკური შესაძლებლობები მეტად რაციონალურად არის გამოყენებული.

განსაკუთრებით მეშინოდა იმის, რომ დრამატულ რეჟისორს ძალიან დრამატული არ გაეხადა სპექტაკლი. როცა მომღერალი გამოდის მომღერლის ფუნქციიდან, როცა ის ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ დრამატული თეატრის მსახიობს დაემსგავსოს, ყოველთვის დისკომფორტს იწვევს მაყურებელში. აქ, ვფიქრობ, არც ერთი შემსრულებელი არ გამოსულა საოპერო მსახიობის ფარგლებიდან. სპექტაკლი რეჟისურის თვალსაზრისით ძალიან კულტურულად არის დადგმული.

აღმოვაჩინე, რომ დავით საყვარელიძის სახით გვყავს ძალზე ნიჭიერი საოპერო რეჟისორი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი საოპერო სპექტაკლის ჩვენს სცენაზე განხორციელება.

მხატვრობამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სულ მეშინოდა, რომ ან სცენა არ ყოფილიყო ძალიან გადატვირთული, ან - პირობითობა უაზრობამდე მისული. ვფიქრობ, ამ ორ უკიდურესობას შორის ზომიერი შუალედი იქნა შერჩეული.

"აიდაში" ყველა კომპონენტი: ორკესტრის, გუნდისა და სოლისტების ძალიან კარგი შესრულება, რაც მშვენიერმა დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა შეძლო, ჩინებული რეჟისურა, კარგი მხატვრობა - ყველაფერი ჰარმონიულია. შესაძლოა, არის საკამათო საკითხები, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს "აიდას" ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა, რაც მე მინახავს და თეატრიდან უაღრესად ნასიამოვნები წამოვედი."

**სპექტაკლისადმი გულგრილი არც ბატონი გულბათ ტორაძე დარჩენილა:**

"უზარმაზარი განსხვავება ჩანს თეატრის, ოპერის დასის ადრინდელ მდგომარეობასთან შედარებით. ოპერა ორკესტრმა ისე შეასრულა, რომ, ვფიქრობ, მოხუცი ვერდიც ძალიან კმაყოფილი დარჩებოდა. ზაზამ ზუსტად შეასრულა ის, რასაც მოითხოვს პარტიტურა და, საერთოდ, ყველა ამოცანა, რაც დირიჟორს ევალება. მშვენივრად ჟღერს კომპაქტური ადგილები, ტუტები და შესანიშნავად, სუფთად - ორკესტრის სოლო პარტიები. ისმის ვერტიკალი, ჰარმონია. ეს გახლავთ ძალიან დიდი ღირსება, რაც დირიჟორის დამსახურებაა. აქამდე ოპერის თეატრი თვლემდა. არავის ვამტყუნებ - დრომ მოიტანა. ახლა გუნდი შესანიშნავია, ძალიან კარგია. იგი ძლიერად ჟღერს და ამავე დროს არ ყვირის. ეს ძალიან დიდი ღირსებაა. რომელი თეატარი მოახერხებს პრემიერის ოთხი შემადგენლობით ჩვენებას?"

**დაბოლოს, ჩვენი მაესტრო - ნოდარ ანდღულაძე:**

"პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ფუნდამენტური ფაქტი: მე მგონი, ჩვენს საოპერო თეატრში ახალი ერა დაიწყო. ჩემთვის ესაა ყველაზე მთავარი. მუსიკა და რეჟისურა ორგანულადაა შერწყმული. იქმნება ძალიან ძლიერი ენერგეტიკული ველი, რომელიც მთლიანობაში აღიქმება. ეს არის, ის რაც ჩვენს თეატრს აკლდა. განახლებული "აიდა" არის თანამედროვე მიდგომა კლასიკასთან; ეს ძალიან რთულია: როდესაც კლასიკა იტოვებს კლასიკურ ფორმებს, თავისი შინაარსითა და სიღრმით, და ამავე დროს არის თანამედროვე ხედვით ამოყვანილი, ისე, რომ არ არის დაკარგული ტრადიცია, მაგრამ ამავე დროს ძალიან ახლებურია. ასეთი რამ იშვიათად ხდება, საერთოდ, რომელიმე გადაწონის ხოლმე. შემსრულებლები, მოგეხსენებათ, დიდი ოსტატები არიან. მათ გვერდით ახალგაზრდებიც ძალიან კარგად ჩანან. განსაკუთრებით აღვნიშნავდი ამონასროს პარტიის შემსრულებელს სულხან გველესიანს. მისი ხმა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

შესანიშნავი შტრიხები აქვს ზაზა აზმაიფარაშვილს. ძალიან საინტერესოა ტემპობრივი ნოვაციები, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ვერდისაც მოეწონებოდა. ორკესტრის წყობა მკაცრი და დისციპლინირებულია, გუნდი შესანიშნავად ჟღერს. არ მინდა, ისინი ცალ-ცალკე დავინახო. ვხედავ ერთ მთლიან სპექტაკლს ძალიან ლაპიდარული, მარტივი და გამომსახველი კონტურით. მთავარია ძირითადი კონტური, რათა შეიქმნას ატმოსფერო. ამაშია დიდი ნიჭი. მხატვარიც მომეწონა. თითქოს ერთფეროვანია, მაგრამ აქ ეგვიპტის ის სულია, რომელიც ვერდის ამოქმედებდა. იგი ხელნაწერებიდან ამოდიოდა და სიტუაცია საკმაოდ თანამედროვედ ესმოდა. სპექტაკლში მე ვხედავ ვერდის ხელწერას. ძალიან ბედნიერი ვარ, ვულოცავ ყველას."

**P.S.** დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრი ისევ "აიდას" გვთავაზობს. რადამესის პარტიას გიორგი ონიანი შეასრულებს, ამონასროს - ირაკლი გრიგალაშვილი, აიდას - მაკა ასპანიძე, ამნერისს - თეა დემურიშვილი. ამ შემადგენლობით სპექტაკლი ჯერ არ გვინახავს. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი დადგმა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იქნება.


ისარგებლეთ ლაი·ლაი & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 3 ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების წარდგენა შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | ლადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ლუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


ნინია კაკაბაძის სვეტი

# "გალავანში" დამწყვდეული მედია



დღეს უცხოური თუ ქართული ორგანიზაციები ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ მედია ცენზურის თუ თვითცენზურის მარწუხებშია მოქცეული. ახალს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ამ აზრს დავადასტურებ. იმასაც დავამატებ, რომ ამას ბევრი მიზეზი აქვს და იმის კვლევაც უშედეგოა, დღეს ჟურნალისტების "პროფესიული" საქმიანობა ცენზურას ექვემდებარება თუ თვითცენზურას. ისიც ფაქტია, რომ ყოველი მათგანი ცდილობს, თავისუფლების ილუზია შექმნას.

უკანასკნელად ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ჟურნალისტებთან დაკავშირებით კანცელარიის შემთხვევამ მიიპყრო. ქცევის თუ ეთიკის ახალი წესები ანუ ახალი ნორმები. ჟურნალისტები პირველიდან მესამე სართულამდე აუმაღლებიათ, ლიფტთან დგომა აუკრძალავთ, სართულებზე თავისუფალ გადაადგილებაში შეუზღუდავთ. კიბეებზე რომ მისდევდნენ მინისტრებს და ლიფტის კართან რომ ცოცხალ კედელს ალმართავდნენ ხოლმე, ეს ყოფილა თავისუფლების პირველი მანიშნებელი. ასეთი დევნის შედეგად ყველა საინფორმაციო საშუალებას ზუსტად ერთი და იგივე ამბავი მოჰქონდა, სიტყვათა წყობაც მსგავსი იყო, ახლა კი ვწუხვართ, რომ მთავრობა მხოლოდ იმ ინფორმაციას მოგვაწვდის, რაც მას სურს. მაპატიოს ყველა ჟურნალისტმა, მაგრამ მე არც აქამდე ვფიქრობდი, რომ ისინი იმას ამბობდნენ, რაც მათ სურდათ და არა მთავრობას. იმ ამბებსაც კი, თუ ვინ ვის კაბინეტში დაძვრებოდა, ყველასგან ერთდროულად ვიგებთ და, რაც ყველაზე კომიკურია, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ "დამატებითი" ინფორმაციით ახალი ვერაფერი გავიგეთ. ეს იმ დონის ჭორაობაა, ბავშვობაში რომ ვამბობდით, მაია გელამ გააცილა, ესე იგი, მოსწონსო; ეს ვარაუდი კი ზოგ შემთხვევაში მართლდებოდა და ზოგ შემთხვევაში - არა. ერთი სიტყვით, ის რომ კანცელარიაში ჟურნალისტებს თავისუფალი მიმოსვლის საშუალება აღარა აქვთ, ამაში ვერც მე ვხედავ რაიმე ტრაგიკულს და, საბედნიეროდ, ვერც ჟურნალისტები - ეტყობა, არც მათ სიამოვნებთ კიბეებზე მინისტრების დევნა. სასიხარულო კი ერთი რამ ნამდვილად არის. იმ დღეს, როდესაც ჟურნალისტების მოძრაობის არეალი შემოსაზღვრეს, საინფორმაციო გამოშვებებში მათი ძველი, გაბრაზებული ტონის კვალი შევნიშნე და გამიხარდა. იქნებ ის დროც მალე დადგეს, როცა ჟურნალისტები მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მიიღებენ, შემდეგ თავად გააანალიზებენ, აღარ მოუნდებათ, იყვნენ მარიონეტები, რომლებიც საკუთარ მოვალეობად მიიჩნევენ მხოლოდ ჩინოვნიკის მიერ წარმოთქმული ბრტყელი ფრაზების გამეორებას და სხვას არაფერს.

**ცენზურის ორი მეთოდი**. ახალი საქართველოს ხელისუფლება ზეწოლის განსახორციელებლად ორ ხერხს მიმართავს: ახალს და ძველს. ძველი - ჟურნალისტთან ურთიერთობის ჩვეული, სტანდარტული ფორმაა: ზარი სტუდიაში წინასწარ, რეპორტაჟის გასვლამდე და მეორე, კიდევ უფრო მარტივი. როგორც ამბობენ, რამდენიმე წამყვანს და საინფორმაციოს შეფს აკრძალული რესპონდენტების გამზადებულ სიას უგზავნიან. კონკრეტულად ვინ ხვდება ამ სიაში, ნამდვილად ვერ გეტყით. მეორე მეთოდი - შედარებით თანამედროვე - ჩინოვნიკთა მეგობრული ურთიერთობა ჟურნალისტებთან და შემდეგ მეგობრული რჩევის თუ თხოვნის სახით დელიკატური შენიშვნები თუ მითითებები, კეთილგანწყობილი თანამოაზრის სტატუსით, მომავალ სიუჟეტთან თუ რეპორტაჟთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი ცენზურის უფრო მომგებიანი ფორმაა, არც გაღიზიანებას იწვევს და არც აგრესიას. ორივე მხარე კმაყოფილია, გარდა მაყურებლისა თუ მკითხველისა, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყნის ის ნაწილია, რომელიც არცთუ ისე აქტუალურია დღეს: საერთო საქმე კეთდება და ხელს ნურავინ შეგვიშლის.

შორიდან თუ ახლოდან მაყურებელი თვალისთვის მედიისა და ხელისუფლების ერთიანობა მეტისმეტად ადვილი შესამჩნევია. ამის გასაქარწყლებლად ორივე მათგანი პერიოდულად დგამს ნაბიჯს: თვეში ერთხელ მედია პირდაპირ ეთერში მოიწვევს შალვა ნათელაშვილს და კრიტიკულობის ილუზიაც შექმნილია. ხელისუფლება კი ერთ მშვენიერ დღეს, რიგით ასმეჩვიდმეტე ბრიფინგზე, სახალხოდ უპასუხებს ოპოზიციის წარმომადგენელს და ამით დააფიქსირებს, რომ კრიტიკა ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ასეთი გაცვლა-გამოცვლის პირნციპებზეა დაფუძნებული დღევანდელი მედია და ხელისუფლება, რისი რეალური მიზეზიც ჩვენთვის ცნობილია. ისინი არა მხოლოდ იდეოლოგიურად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს. და ასე, ერთმანეთზე გადაბმულები, შორს რომ ვერ გავფრინდებით, ესეც ფაქტია.

მიუხედავად ამისა, გამოსავალი მაინც არსებობს. პოტენციალი ქართველ ჟურნალისტებში დევს. მათი გაბრაზება (უკანასკნელმა ფაქტმა დამანახა) ჯერ კიდევ შეიძლება, თუნდაც მაშინ, როდესაც შევიწროება მათ შეეხებათ და თუნდაც მაშინ, როდესაც ეს შევიწროება კანონიერი იქნება. ჩვენება სურათისა, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველა დამეთანხმება, კარგს არაფერს მოგვიტანს, ვინაიდან ცოტა ხანში ეს ხალხი კიდევ ერთხელ გამოიღვიძებს, კიდევ ერთხელ დადგება ფეხზე. კიდევ ერთი სამოქალაქო ომი თუ თუნდაც ყვავილოვანი რევოლუცია კი (რომელსაც დღემდე გამართლებულად მივიჩნევ) მგონი, ამჯერად არავის გვინდა. ამიტომ ვნატრობ იმ დღეს, როდესაც ქართველი ჟურნალისტები ერთმანეთთან კი არ დაიწყებენ პაექრობას, არამედ გაერთიანდებიან, ერთად შეუტევენ ხელისუფლებას შეცდომებისთვის და ერთად დაიცავენ დაჩაგრული ადამიანების უფლებებს.

**პირველი ნაბიჯი.** მე ასეთ პირველ ნაბიჯს შემოგთავაზებდით: ერთ-ერთ მორიგ ბრიფინგს ბოიკოტი გამოუცხადეთ და მათი PR ყბედობა გაუშუქებლად დატოვეთ. ხელისუფლებას მედიის მაშინ შეეშინდება, როდესაც ჩვენს ერთიანობას დაინახავს. ცალკეული ადამიანები მას არ აშინებს. ცალკეულებს გიჟებად, უკეთეს შემთხვევაში, მარგინალებად ნათლავს და ასე იწყნარებს თავს - ერთგული ჟურნალისტების იმედით. ამიტომ გაერთიანდით. ეს ერთადერთი გამოსავალია ქართული მედიისა და ბედნიერი მომავლისთვის. კრიტიკის გარეშე სახლს ვერ ავაშენებთ.

ინფოთეკა

### რუისი ჩემპიონების მიზეგვით იმუქრება

არცთუ მოკრძალებული განცხადებით გამოიჩინა თავი კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა ჯონ რუისმა: "მძიმეწონოსანთა რეალური აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი მე ვარ. არც ერთი სხვა ფედერაციის ჩემპიონი ჩემთან არ იჩხუბებს. მე ვარ მძიმეწონოსანთა დივიზიონის მეფე; კინგ კონგი ემფაიერ სთეით ბილდინგის სახურავზე, სხვა დანარჩენები ქუჩაში მდგომნი ქვევიდან ზემოთ მე მიყურებენ".

რუისმა (41-5-1, აქედან 28 ნოკაუტით) პირობა დადო, რომ ჯეიმს ტონისთან მოახლოებულ მატჩში ამ უკანასკნელს კუდით ქვას ასროლინებს: "ვიდრე საჩემპიონო ქამრების გაერთიანებას დავიწყებდე, ტონისთან ჩხუბი შემთვის შესახურებელი ვარჯიში იქნება...

ტონისთან გამარჯვების შემდეგ სხვა ჩემპიონებთან - კლიჩკოსთან, ბერდთან, ბრიუსტერთან ჩხუბი მსურს. ერთადერთი მძიმეწონოსანი ჩემპიონი ვარ, რომელიც ტურნირის ჩატარებას ვთავაზობ. თუ ჩემს წინადადებას არ დათანხმდებიან, ერთმანეთის მიყოლებით მივბეგვავ, რადგან დივიზიონში მე საუკეთესო ვარ".

### კოლუმბიელი ველომრბოლები დოპინგმა დაღუპა

აკრძალული პრეპარატების გამოყენების გამო შვიდ კოლუმბიელ ველომრბოლს ერთი თვიდან ორ წლამდე დისკვალიფიკაცია ელის. დოპინგზე მხილებული სპორტსმენების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა კოლუმბიის ველოსპორტის დისციპლინარულმა კომიტეტმა.

### "არსენალს" რეიესი და ბერგკამპი დაუსაჯეს

"როიტერსის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" ესპანელი თავდამსხმელი ხოსე ანტონიო რეიესი დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

შაბათს, ინგლისის თასის მეხუთე წრის მატჩში, "არსენალისა" და "შეფილდ იუნაიტედის" შეხვედრაში ესპანელმა მეტოქე გუნდის მოთამაშეს დენი კალიპას შეგნებულად სახეში უთავაზა. 35-ე წუთზე მომხდარმა ინციდენტმა მოვლენები იქამდე დაძაბა, რომ "მეთოფეების" ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერგკამპიც ჩაითრიეს აყალმაყალში და მოედნიდან გააძევეს - ისიც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცით.

რაც შეეხება რეიეს, ის გამოტოვებს ინგლისის ჩემპიონატის ორ მატჩს "სუთჰემპტონთან", "პორტსმუტთან" და საკლუბო თასის განმეორებით მატჩს "შეფილდთან".

### პრემიერლიგაში მიკროჩიპიან ბურთებს გააგორებენ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას განზრახული აქვს, უახლოეს მატჩებში ახალი ტექნოლოგია გამოსცადოს. სიახლე კი ბურთში ჩაკერებული მიკროჩიპია, რომლის მეშვეობითაც ზუსტად განისაზღვრება მოედანზე ბურთის ადგილმდებარეობა. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი სადავო გოლებია.

### ბლატერი კორუფციის აღმოფხვრას შეუდგა

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მიიჩნევს, რომ ფეხბურთში კორუფციის დამარცხება მხოლოდ პროფესიონალ მსაჯებს შეუძლიათ. გერმანულ ჟურნალ "კიკერთან" საუბარში ბლატერმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის სკანდალი, რომელსაც გერმანელი მსაჯის რობერტ ხოიცერის მაქინაციებთან მივყავართ.

"იმისთვის, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდეს, მსაჯები პროფესიონალები უნდა იყვნენ. მათი ერთადერთი შემოსავალი მატჩიდან მიღებული გასამრჯელო უნდა იყოს, - თვლის ბლატერი. - უკვე ათი წელიწადია, ამაზე ვლაპარაკობ. პროფესიულ ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს. მგონია, რომ შესაძლებელია, აქედან გარკვეული თანხა მსაჯებისთვის გამოიყოს. მსაჯის გასამრჯელო დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ ლიგაში ემსახურება მატჩებს. დარწმუნებული ვარ, წელიწადში 100 ათასი ევრო საკმაოდ რეალურია".

ფეხბურთი

# ანდრეი შევჩენკო "ოქროს ბურთის" და "ზვეზდას" შემდეგ

**ანდრეი შევჩენკო**
**დაიბადა** 1976 წლის 29 სექტემბერს
**თავდამსხმელი**
**კლუბები:** "დინამო" (კიევი, უკრაინა; 1994-1999), "მილანი" (მილანი, იტალია; 1999-)
**ტიტულები:** უკრაინის ჩემპიონი - 1995, 1996, 1997, 1998, 1999; უკრაინის თასი - 1996, 1998, 1999; იტალიის ჩემპიონი - 2004; იტალიის თასი - 2003; იტალიის სუპერთასი - 2004; ჩემპიონთა თასი - 2003; ევროპის სუპერთასი - 2003; უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელი - 1997, 1999, 2000, 2001, 2003, 2004; უკრაინის საუკეთესო სპორტსმენი - 1999; ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, "ოქროს ბურთი" ("ფრანს ფუტბოლი") - 2004; "ბრინჯაოს ბურთი" ("ფრანს ფუტბოლი") - 1999, 2000; ფიფას რეფერენდუმი, მსოფლიოს მესამე ფეხბურთელი - 2004; "უორლდ სოკერის" რეფერენდუმი, მსოფლიოს მესამე ფეხბურთელი - 1999, 2000, 2004; უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1999 (18 გოლი); იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 2000 (24), 2004 (24); ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი - 1999 (10), 2001 (9); ევროპის "ბრინჯაოს ბუცი" - 2001 (24)
უკრაინის ნაკრებში ჩატარებულ 58 თამაშში გაიტანა 26 გოლი

2004 წელი "მილანის" უკრაინელ თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოსთვის ბრწყინვალე გამოდგა - პოპულარულმა ფრანგულმა ჟურნალმა "ფრანს ფუტბოლმა" ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, ხოლო ფიფამ თავის რეფერენდუმში მესამე ადგილი მიაკუთვნა. შეგახსენებთ, რომ შევჩენკო სერია ა-ს ჩემპიონიც გახდა და მეორედ მოიგო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული.

რამდენიმე დღის წინ შევჩენკო კიდევ ერთხელ აღიარეს - რუსულმა სპორტულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი რეფერენდუმის შედეგები შეაჯამა - მილანის უკრაინელი ბომბარდირი ერთხმად აღიარეს საუკეთესოდ. შევჩენკო პრიზ "ზვეზდათი" დააჯილდოეს.

ანდრეიმ ოჯახიც შექმნა - ამერიკელ მოდელ კრისტენ პაზიკთან რამდენიმეწლიანი მეგობრობა ქორწინებით დააგვირგვინა, წლის მიწურულს კი ვაჟიც შეეძინა, რომელსაც ბედნიერმა წყვილმა ჯორდანი დაარქვა.

ერთი სიტყვით, 2004 წელი უკრაინელი ფორვარდისთვის დიდებული გამოდგა. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, "სპორტ-ექსპრესიდან" და ფრანგული "ფრანს ფუტბოლიდანაა" გადმოქართულებული.

**- მძიმეა "ოქროს ბურთი"?**

- ჯერ ვერ გეტყვით, ორ-სამ თვეში შევიგრძნობ. ისე, ძალიან ლამაზი ნაკეთობაა, თვალს მჭრის!

**- გაგიხარდათ?**

- რა თქმა უნდა! ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ხშირად ვიყავი კანდიდატი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხელმოცარული ვრჩებოდი. ძალიან მიხარია, რომ ოცნება ავისრულე. უზომოდ ბედნიერი ვარ!

**- თქვენი აზრით, რის ხარჯზე აჯობეთ დეკუს და რონალდინიოს?**

- ვფიქრობ, მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად ვთამაშობდი, გოლები ხშირად გამქონდა... ევროპის ჩემპიონატზე რომ ვერ გამოვედი, ეს მაეჭვებდა - პორტუგალია ჩემპიონი რომ გამხდარიყო, ალბათ, "ოქროს ბურთს" დეკუ მოიგებდა, მაგრამ... რაც შეეხება რონალდინიოს, ის დიდებული იყო! ვფიქრობ, მომავალში ორივე მიაღწევს წარმატებას.

**- მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის წლებში "ფრანს ფუტბოლის" ჯილდოს ამ ტურნირში მონაწილე ფეხბურთელი იგებდა. გამონაკლისი მხოლოდ კევინ კიგანი იყო 1978 წელს და თქვენ...**

- ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ბერძნების გამარჯვება პორტუგალიაში შემთხვევითი იყო. მე ასე არ მგონია. ოტო რეჰაგელის ნაკრებმა გუნდური ფეხბურთი აჩვენა და ამის ხარჯზე მიაღწია წარმატებას.



სწორედ ამიტომ არ დაიჩრდილა ჩემი თამაში საკლუბო დონეზე.

**- ევრო 2004-ზე ვინ მოგეწონათ?**

- რუნი და კრისტიანო რონალდო! ახალგაზრდები არიან, დიდ კლუბებში თამაშობენ და ალბათ ხვალინდელი ფეხბურთიც მათია.

**- რა უფრო მნიშვნელოვანია - საკლუბო ჯილდოს მოგება თუ "ოქროს ბურთისა"?**

- ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა - ორივე ძვირფასია და დასამახსოვრებელი. უპირატესობას ვერც ერთს ვერ მივანიჭებ.

**- რამდენად დიდია "მილანის" წვლილი თქვენს წარმატებაში?**

- უდიდესი! იცით რატომ? უკრაინის ნაკრებში 2004 წელს რაიმე განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიმიღწევია, ყველა ტიტული მხოლოდ კლუბში მოვიგე. აქედან გამომდინარე, "მილანის" დამსახურება დიდია. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ "ოქროს ბურთის" ჩემთვის გადმოცემა "მილანის" აღიარებაცაა.

**- თანაგუნდელებზე რას იტყვით?**

- ყველას მადლობას ვუხდი თითოეული პასისთვის, რომლებსაც ჩემი გოლები მოჰყვა! "მილანში" არა მარტო კოლეგები, პირველ რიგში მეგობრები მყავს. ამის გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ოლეგ ბლოხინისა და იგორ ბელანოვის შემდეგ მესამე უკრაინელი ხართ, რომელმაც "ოქროს ბურთი" მოიგო...**

- ძალიან ვამაყობ! ვფიქრობ, ჩემი აღიარება ყველას დაარწმუნებს, რომ აღმოსავლეთ ევროპაშიც არიან ძლიერი და კარგი ფეხბურთელები.

**- თქვენი აზრით, "ოქროს ბურთს" ვინ იმსახურებდა?**

- ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ ჯილდოს დაუფიქრებლად გადავცემდი პაოლო მალდინის - დიდებული ფეხბურთელია და საოცრად შრომისმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ოცდაათს გადააბიჯა, უმაღლეს დონეზე თამაშობს. როცა მოთამაშე ამდენ ხანს საუკეთესოთა შორისაა, უნდა დააფასო!

**- თქვენ აგრძელებთ "მილანის" დიდი ფორვარდების მარკო ვან ბასტენისა და ჟორჟ ვეას გზას. თავის დროზე ისინიც გახდნენ "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის გამარჯვებულნი...**

- მარკო მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა, სამჯერ მოიგო "ოქროს ბურთი", ჟორჟს კი პირადად ვიცნობ - მის გვერდით რამდენჯერმე ვითამაშე კიდეც. მეამაყება, რომ მათ შემდეგ "მილანიდან" მე მოვიგე "ოქროს ბურთი"!

**- 1998 წელს თქვენს გადაბირებას "მილანი" ცდილობდა, მაგრამ კიევში კიდევ ერთი წლით დარჩით. ამბობენ, უშუალოდ ვალერი ლობანოვსკის მოთხოვნა იყოო...**

- არა, მსგავსი რამ არ ყოფილა. იმ წელიწადს "მილანს" ჩემი გადაბირება სერიოზულად არ უნდოდა. ესაა და ეს.

**- იტალიაში თავდაპირველად ასე მოგიხსენიებდნენ: "ბიჭი ჩერნობილიდან". ხომ არ ღიზიანდებოდით?**

- რა თქმა უნდა! თუმცა, პრესის დამოკიდებულება მალე შეიცვალა...

**- "მილანზე" ყოველთვის თბილად საუბრობთ. იტალია, ალბათ, თქვენი მეორე სამშობლოა...**

- არა, სამშობლო ერთია - უკრაინა. უბრალოდ, მილანი ძალიან მიყვარს, ისევე როგორც იტალია. ამ კლუბში, ქალაქში და ქვეყანაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. იტალიაში ძალიან კეთილმოსურნე ხალხი ცხოვრობს.

**- რამ შეიძლება გაიძულოთ "მილანის" დატოვება?**

- ალბათ, მხოლოდ უკრაინულმა გაზეთებმა.

**- კიევის "დინამოში" ათნომრიანი მაისურით თამაშობდით, "მილანში" შვიდი ნომერი ხართ...**

- თავიდან გამიჭირდა, თუმცა, მერე შევეჩვიე. ისე, შვიდი ნომრით თამაში ცუდი არაა. სხვათა შორის, ნაკრებშიც ვთხოვე თანაგუნდელებს შვიდნომრიანი მაისურის დათმობა და ისინიც დამთანხმდნენ...

**- ორიოდე წლის წინ მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ შევჩენკოს სანაცვლოდ 90 მილიონ ევროს იხდიდა და ამ თანხიდან 20 მილიონს პირადად თქვენ გთავაზობდათ...**

- შესაძლოა, პრესაში დაიწერა კიდეც ამის შესახებ, მაგრამ ჩემთან არავინ მოსულა მსგავსი წინადადებით. და, საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ მეეჭვება, "მილანმა" გამასხვისოს.

**- "მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინია, თუმცა, ის კარიერას რამდენიმე წელიწადში დაასრულებს. კაპიტნობაზე არ გიფიქრიათ?**

- ერთ-ორ მატჩში, შესაძლოა, მომიწიოს სამკლაურის გაკეთება, მაგრამ ოფიციალურად ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია - კაპიტანი რინო გატუზო იქნება.

**- ახლახან 2009 წლამდე გაახანგრძლივეთ კონტრაქტი. გინდათ, რომ კარიერა "მილანში" დაასრულოთ?**

- ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებიც რამდენიმე წლით ადრე გეგმავენ ცხოვრებას. ხელშეკრულება მხოლოდ იმიტომ გავახანგრძლივე, რომ აქ თავს კარგად ვგრძნობ და მინდა, კლუბს, რომელმაც ჩემთვის ბევრი გააკეთა, მცირედით მაინც დავუბრუნო ვალი.

**- ლობანოვსკისთან შეხვედრამ თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

- მკაცრად მელაპარაკა, მაგრამ მაშინვე მივხვდი - ასე მხოლოდ იმიტომ იქცეოდა, რომ ჩვენთვის, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის სიკეთე სურდა. მან ამიხსნა, რომ შემეძლო დიდი ფეხბურთელი გავმხდარიყავი, თუმცა, საამისოდ ცხოვრებაში ბევრი რამ უნდა შემეცვალა, რაც მთავარია, მუხლჩაუხრელად მეშრომა. მისმა სიტყვებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კაცმა, რომ თქვას, ყოველთვის ასე იყო...

**- ამბობენ, ლობანოვსკი დაუნდობელი იყოო. მართალია, რომ დის ქორწილში არ გაგიშვათ?**

- სრული ჭეშმარიტებაა! იმ დღეს შეკრებაზე ვიყავით... სიმართლე გითხრათ, არც მითხოვია ერთი დღით გათავისუფლება. ათი წლიდან დისციპლინას ვარ მიჩვეული და ის, რომ ოჯახისთვის ღირსშესანიშნავი მოვლენა უნდა გამომეტოვებინა, ჩემთვის უცხო არ იყო. ეგ კი არა, ფეხბურთის გამო ბებიის დაკრძალვასაც ვერ დავესწარი...

**- ჩემპიონთა ლიგა მოგებული გაქვთ, ანუ ევროპის საკლუბო მწვერვალი დაპყრობილია. თუ გაქვთ აუსრულებელი ოცნება?**

- რა თქმა უნდა - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე უკრაინის ნაკრების მაისურით მინდა თამაში! მჯერა, 2006 წელს გერმანიაში ჩემი ქვეყნის ღირსებას დავიცავ!

**- ჟურნალისტებმა პოსტ-საბჭოურ სივრცეში საუკეთესო მოთამაშედ გაღიარეს...**

- ძალიან მესიამოვნა! ჩემთვის ყოველი პრიზის მოგება სასიამოვნოა. უკლებლივ ყველა რესპონდენტმა პირველ ადგილზე დამასახელა, ესე იგი, შარშან მართლაც საუკეთესო ვიყავი!

**- მაისში დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს გაეჯიბრება, რითაც ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლის იუბილე აღინიშნება. ითამაშებთ ამ მატჩში?**

- თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, არც დავფიქრდები. მატჩი ისეთ მოვლენას ეძღვნება, რომ ჩემი მხრიდან მისი დაუფასებლობა დიდი შეცდომა იქნება.

**- თქვენი ქვეყნის პირველ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს - ოლეგ ბლოხინი. მის ხელში უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარმატებით თამაშობს. რას გვეტყვით მასზე?**

- როგორც ფეხბურთელს, ბლოხინს ყველა ძალიან კარგად იცნობს - დიდებული მოთამაშე იყო. ის უკრაინული ფეხბურთის ლეგენდაა! რაც შეეხება მწვრთნელ ბლოხინს, მომთხოვნი და პრინციპულია. რაც მთავარია, გამოცდილია. მჯერა, უკრაინის ნაკრებს წარმატებას მოუტანს.

**- ბლოხინსა და მის წინამორბედ ლეონიდ ბურიაკს შორის დიდი სხვაობაა?**

- დიახ. ბურიაკი შედარებით რბილი იყო, თანაც, ვფიქრობ, ჯერ არ იყო მზად უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელობისთვის.

**- შესაძლებელია თუ არა, რომ გულშემატკივარმა გაგაბრაზოთ და მერე თქვენ კანტონასავით მოიქცეთ, ანუ ქომაგი გალახოთ?**

- მეეჭვება, ასეთი რამ მოხდეს. გაბრაზებით კი, შესაძლოა, მართლაც გავბრაზდე.

**- მდგომარეობიდან თქვენი გამოყვანა ძნელია?**

- ათ წელიწადზე მეტია, პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და არ მახსოვს შემთხვევა, ფეხბურთელს ან გულშემატკივარს გაველიზიანებინე და მერე სხვების დასაშოშმინებელი გავმხდარიყავი.

**- შედარებით სასიამოვნო თემაზე გადავიდეთ: რაულს გოლი რომ გააქვს, საქორწინო ბეჭედს კოცნის, მიროსლავ კლოზე სალტოს აკეთებს, ალან შირერი მარჯვენა ხელს შემართავს... თქვენ რატომ არ გაქვთ განსაკუთრებული ჟესტი?**

- ემოციების გამო. ნამდვილად ვერ დავგეგმავ, რა უნდა გავაკეთო გოლის გატანის შემდეგ. მაგრამ ერთს დანამდვილებით გეტყვით - გოლი უზომოდ მიხარია!

**- სხვათა შორის, ჟურნალისტები ხშირად გადარებენ მარკო ვან ბასტენს...**

- ძალიან მსიამოვნებს, რომ ასეთი ფორვარდის გვერდით მაყენებენ, მაგრამ მისი თამაში კარგად არ მახსოვს, მხოლოდ ვიდეოფირზე მინახავს. ვან ბასტენი რომ ბრწყინავდა, მე ოლეგ ბლოხინის, ოლეგ პროტასოვის და გენადი ლიტოვჩენკოს თამაშს ვუყურებდი.

**- თქვენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხართ, მაგრამ კათოლიკურ ქვეყანაში ცხოვრობთ. თუ დადიხართ იტალიურ ეკლესიებში?**

- დიახ, დავდივარ. ერთხელ "მილანი" რომის პაპთან იყო აუდიენციაზე და მასაც ჩამოვართვი ხელი. სხვათა შორის, მილანში დროგამოშვებით ჩემი მოძღვარიც ჩამოდის...

**- ადამიანში ყველაზე მეტად რა თვისება გხიბლავთ?**

- უბრალოება და ადამიანურობა!

**- რა გაღიზიანებთ?**

- მიკერძოება. საერთოდ, არ მიყვარს ის ადამიანები, რომელთაც რაიმე კონკრეტული საქმის კეთება არ შეუძლიათ და მხოლოდ იმით ერთობიან, ვინმეზე რაიმე აუგი თქვან.

**- სტატისტიკას თუ აწარმოებთ?**

- არა. რა აზრი აქვს ციფრების თვლას? ფეხბურთი გუნდური თამაშია და მარტო ვერაფერს გახდები!

**- ფეხბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ?**

- ჩოგბურთი და ჰოკეი. ჩოგბურთს ვთამაშობ კიდეც. რაც შეეხება ჰოკეის, ცქერას ვამჯობინებ. სხვათა შორის, მილანში ჰოკეის ორი გუნდია, თუმცა, ძლიერი არც ერთი არ არის. მეტწილად შვეიცარიაში დავდივარ ჰოკეის საყურებლად.

**- ცნობილია, რომ გიყვართ კარგად ჩაცმა. რომელ დიზაინერს ამჯობინებთ?**

- ჯორჯო არმანის პროდუქცია განსაკუთრებით მომწონს და, ბუნებრივია, მის ტანსაცმელს ვატარებ. ერთხელ, ინტერესის გამო, პოდიუმზე მისი კოლექციაც წარვადგინე. უცნაური შეგრძნება იყო...

**- სად ამჯობინებთ დასვენებას?**

- ზღვაზე, ტროპიკულ ქვეყნებში. რა სჯობს ლაჟვარდისფერ ცას, მზეს და თბილ სანაპიროს. ყველაზე ძალიან ბერმუდის კუნძულებზე გატარებული შვებულება დამამახსოვრდა - პირველად იქ ვცადე წყალში ყვინთვა და ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე, პროფესიონალი მყვინთავის ლიცენზია ავიღო... საინტერესო იყო ბაჰამის კუნძულებზე გატარებული დღეები. არის ერთი ადგილი, საიდანაც დაისის ცქერა საოცარია. გგონია, მზე ას-ორას მეტრში ეშვება... ზედიზედ სამ დღეს ვტკბებოდი ამ სანახაობით...

**- შარშან, 14 ივლისს, ვაშინგტონში იქორწინეთ. რატომ ამერიკის დედაქალაქი და არა, ვთქვათ, მილანი ან კიევი?**

- მხოლოდ ერთი მიზეზის გამო - იტალიაში და უკრაინაში ამას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა და შემაწუხებელი იქნებოდა. ამერიკაში კი ფეხბურთი სულაც არაა პოპულარული და ჩვენც წყნარად მივუყვებოდით ყველა პროცედურას. თანაც, ამერიკა კრისტენის სამშობლოა...

**- სად და როდის გაიცანით მომავალი მეუღლე?**

- 2001 წლის მარტში, ერთ-ერთ მილანურ წვეულებაზე. სხვათა შორის, თავად გამეცნო - მომიახლოვდა და მითხრა, საიდანაც მეცნობითო. მერე ათი დღე ვურეკავდი, თუმცა, ხან არ მპასუხობდა, ხან ცივად მესაუბრებოდა. მოგვიანებით გამახსენდა რომ ერთ-ერთ მოდურ ჟურნალში მყავდა ნანახი. მახსოვს, საცურაო კოსტიუმებს უწევდა რეკლამას...

**- იცოდით, რომ თქვენამდე კრისტენი სილვიო ბერლუსკონის ვაჟთან, პიერ-პაოლო ბერლუსკონისთან მეგობრობდა?**

- არა. მოგვიანებით გავიგე, თუმცა, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**- კრისტენი ამერიკელია, თქვენ უკრაინელი. რომელ ენაზე საუბრობთ?**

- თავდაპირველად იტალიურად, მაგრამ ახლა ინგლისურადაც ვსაუბრობთ. სხვათა შორის, კრისტენმა ცოტა უკრაინულიც იცის.

**- მილანში შესანიშნავი სახლი გაქვთ, მაგრამ მონტეკარლოში ცხოვრებას ამჯობინებთ. რატომ?**

- იქ უფრო წყნარად ვართ. გულშემატკივრები ნაკლებად გვაწუხებენ. თანაც, მონტეკარლო მილანიდან არც ისე შორია...

**მოამზადა**
**ლაშა გოდუაძემ**

ინფოთეკა

### კურნიკოვას "ფანს" კურნიკოვა აუკრძალეს

მაიამი-ბიჩზე რუსი ჩოგბურთელის ანა კურნიკოვას ვილის მახლობლად ერთი თვის წინათ დაკავებულ ვინმე უილიამ ლეპესკუს კურნიკოვასთან მიახლოება ათასი ფუტის მანძილზე (304,8 მეტრი) აუკრძალეს. ლეპესკუს, რომელიც რუს ჩოგბურთელს მოსვენებას არ აძლევდა და ფეხდაფეხ დასდევდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა კურნიკოვასთან ელექტრონული ფოსტით შეხმიანებაც, მათ შორის ფსევდონიმითაც.

### ქალი მამაკაცის წინააღმდეგ?

IBA-ს ვერსიით ნახევრად მძიმე წონითი კატეგორიის ჩემპიონის ენ ვულფის მენეჯერების განცხადებით, მათი კლიენტი მომავალ ორთაბრძოლას 2 ივლისს მამაკაც მოკრივესთან გამართავს. სავარაუდოდ, ქალი მოკრივის მეტოქე საშუალო წონის უნდა იყოს, რომლის კანდიდატურაც მისისიპის შტატის მოკრივეთა კომისიამ უნდა დაამტკიცოს.

"არა მგონია, საუკეთესო ვაჟ მოკრივეებთან ორთაბრძოლა შევძლო, მაგრამ უბრალოდ კარგ მოკრივეებთან სავსებით შესაძლებელია. მინდა, ყველამ ნახოს, თუ რა შემიძლია. ალბათ ყველაზე საშიში ქალი ვარ მსოფლიოში, რადგან ჩემთან ჩხუბი არავის უნდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემს მიერ პირველივე რაუნდში დანოკაუტებული ვონდუ უორდი ნახეს. ყოველ შემთხვევაში, ვაჟ მოკრივეებს ჩემს წინააღმდეგ რინგზე გამოსვლის მაინც არ ეშინიათ".

იმ შემთხვევაში, თუ ეს ორთაბრძოლა შედგა, ის გახდება მეორე ოფიციალური პროფესიული დაპირისპირება ქალსა და კაცს შორის.

TV-სპორტი

### პარასკევი. 25 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) - "სან ლორენცო" (არგენტინა)
14:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "ვილიარეალი" - "ატლეტიკო"
18:05 "FUTBOL MUNDIAL"
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 "ფეხბურთი ჭრილში"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:10 ლიბერტადორესის თასი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) - "სან ლორენცო" (არგენტინა)
22:55 თავისუფალი დარტყმა
23:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:05 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "ტიუმენი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 12:40, 16:15, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:25 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
11:55 "მოტოვებული კვირა"
12:55 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 "ჰოკეი - პლუს"
14:15 მძლეოსნობა. ესპანეთის დიდი პრიზი
16:30 ტაილანდური კრივი
17:30 კალათბურთი. NBA- შ ჩემპიონატი. "DALLAS MAVERICKS" - "SACRAMENTO KINGS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
21:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ჩინეთსა და იაპონიაში
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი - პლუს"
22:30 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
00:00 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:30 ახალი ამბები
00:45 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. სუპერგიგანტი

**EUROSPORT**

10:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი
13:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი იტალიაში. სუპერგიგანტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
21:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
00:15 ჭიდაობა
01:00 ექსტრემალური სპორტი
01:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
02:45 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# დღეს რომ 31 მაისი იყოს...

## ქართული კლუბები ევროტურნირებს მიღმა?

მიხეილ აბაიშვილი

"დღეს რომ 31 მაისი იყოს, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადებდი, რომ წელს ვერც ერთი ქართული კლუბი ევროტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა", - ასეთი არასახარბიელო პერსპექტივა აქვთ ჩვენს გუნდებს სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარის გერა ხეცურიანის აზრით.

წელიწადზე მეტია, რაც ლიცენზირების კომიტეტი ასეთ საგანგაშო მესიჯებს გზავნის. ეს საკითხი მწვავედ იდგა 2004 წლის დასაწყისშიც. ქართული კლუბები მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით დაუშვეს ევროტურნირებში, რომ უეფამ 2004 წელი გამაფრთხილებელი შეტყობინებების გასაკეთებლად განსაზღვრა. თუმცა, ამ ერთი შეხედვით "ლაით რეჟიმმაც" შეიწირა ერთი ქვეყანა - ყაზახეთი, რომლის კლუბებმაც 2004 წელს ევროტურნირებში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

საუბარია კლუბებისა და იმ სტადიონების ლიცენზირებაზე, რომლებზეც ქართულმა გუნდებმა ევროტურნირების საშინაო მატჩები უნდა ჩაატარონ. საკითხი ორ ნაწილად არის გაყოფილი და ორივე თანაბრად მნიშვნელოვანი, აუცილებლად მოსაგვარებელია. პირველი გახლავთ კლუბების ლიცენზირება, რაც გულისხმობს უეფას სტანდარტებთან შესაბამისობაში მათ მოყვანას. ამისთვის ევროპის საფეხბურთო ასოციაციას ოთხი კომპონენტი აქვს შემუშავებული. კერძოდ, კლუბების მენეჯმენტი, ლიცენზირებული მწვრთნელი, საფეხბურთო კლუბის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა (საწვრთნელი ბაზა, სავარჯიშო მოედნები...) და ფინანსური გარანტიები (კლუბს არ უნდა ჰყავდეს კრედიტორები და უნდა ჰქონდეს ფინანსური გარანტიები). ამ თემას ფართოდ არ გავშლი, რადგან "24 საათს" არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება ქართული კლუბების ლიცენზირების საკითხზე და იმ კონკრეტულ მოთხოვნებზე, რომელთა შესრულება სავალდებულოა ლიცენზიის მისაღებად. ვიტყვი მხოლოდ, რომ თითოეული ქართული კლუბი ვალდებულია, ყოველწლიურად გაიაროს ლიცენზირების პროცესი. ამისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტი ქართულ კლუბებს ეხმარება, რომ თითოეული კომპონენტი შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. როდესაც ეს პროცესი დასრულდება და სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტში თავს მოიყრის სრული დოკუმენტაცია, თუ ის შეესაბამება დადგენილ ნორმებს, კლუბი იღებს ლიცენზიას.

საბედნიეროდ, ამ ნაწილში ქართული კლუბების უმეტესობას ყველაფერი წესრიგში აქვს.

მეორე ნაწილი სტადიონების ლიცენზირებას ეხება. დღეს საქართველოში მხოლოდ ორი სტადიონია, რომელიც მეტ-ნაკლებად უახლოვდება ლიცენზირების გავლისთვის აუცილებელ პირობებს. ეს არის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და "ლოკომოტივი", რომელსაც ეროვნულზე უკეთ აქვს საქმე. ორივე სტადიონის ლიცენზირება კი აუცილებელია იმ უბრალო მიზეზი გამო, რომ უეფას კვოტა აქვს დაწესებული: მხოლოდ ორ გუნდს შეუძლია, ევროტურნირების საშინაო მატჩები ერთ არენაზე ჩაატაროს. საქართველოს კი უკვე რამდენიმე წელიწადია (და წელსაც ასე იქნება), ევროტურნირებში ოთხი გუნდი წარმოადგენს. შესაბამისად, ორ გუნდს ეროვნულ სტადიონზე, ორსაც "ლოკომოტივზე" მოუწევს თამაშების მასპინძლობა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გუშინ კლუბების ლიცენზირების პრობლემებზე ისაუბრეს.*

ეროვნულ სტადიონს ლიცენზიის მოსაპოვებლად ბევრი პრობლემის მოგვარება მოუწევს. პრესლოჟის მოწყობა, მოედნის საფარის გამოცვლა, სტადიონის მდგრადობაზე აუდიტის დასკვნის მიღება, ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილების დამატება, გასახდელებისა და საშხაპეების გარემონტება და სხვა. იმის ასახსნელად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ეს კომპონენტი, მაგალითს მოვიტან: უეფას ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ დასაჯდომი ადგილები და ტრიბუნებს შორის კიბეები სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ ფერად უნდა იყოს შეღებილი. ეს ერთი შეხედვით უწყინარი მოთხოვნაც რომ არ დაკმაყოფილდეს, უეფა სტადიონს ლიცენზიას არ მისცემს. ადვილი მისახვედრია, რამდენად მკაცრი იქნება ეს ორგანიზაცია სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა გაზონის ხარისხი ან სტადიონის მდგრადობა.

როგორც თბილისის "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გია ისიანმა თქვა, სტადიონის დირექცია მზად არის, საჭირო ვადებში ყველა პრობლემა მოაგვაროს. ამისთვის ქალაქის მერიამ კეთილმოწყობის სამსახურს უკვე გადაურიცხა შესაბამისი თანხა და ტენდერიც გამოცხადდა. თუმცა, საქმე ჯერ მაინც არ იძვრის.

"ერთი კვირის შემდეგ ლიცენზირების კომიტეტი სრული შემადგენლობით ეწვევა ეროვნულ სტადიონს და დაწყებული სამუშაოების (თუ, რა თქმა უნდა, ის დაიწყება) მონიტორინგს მოახდენს. ამ პროცესში მონაწილეობისთვის ყველა დაინტერესებულ საინფორმაციო საშუალებას ვეპატიჟებით", - განაცხადა ხეცურიანმა.

"ლოკომოტივის" სტადიონს ძირითადად ბიუროკრატიული ხასიათის პრობლემები აქვს. კლუბები, რომლებსაც ამ სტადიონთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სურთ, თვით თბილისის "ლოკომოტივიც" კი, ამას ვერ ახერხებენ იმის გამო, რომ ვერ პოულობენ ჩინოვნიკს, რომელიც სტადიონის მხრიდან... ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერს! ამის გამო ჭიანურდება სტადიონის მდგრადობასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადებაც. იმედია, ეს პრობლემა არ არის იმდენად ძნელად გადასაწყვეტი, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის თუნდაც ერთწლიანი იზოლაცია გამოიწვიოს.

თუმცა, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ამის საშიშროება რეალურად არსებობს. ორივე სტადიონის წამმზომი ჩართულია. დედლაინი, ანუ ბოლო ვადა 31 მაისია. სწორედ ამ დღეს იწურება უეფასთვის კლუბების და სტადიონების ლიცენზირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.


სახელი ______
გვარი ______
ასაკი ______
სიმაღლე ______
მისამართი ______
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

